


178
1997

საგარტაღი

პრაქტიკა ● მაცნეირება ● ვუზღიცისტიკა

11-12
1997

სამართალი



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 11-12

1997

ნოემბერი-დეკემბერი

თამბაქოს 1926 წლიდან

პრაქტიკა ● მეცნიერება ● პუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი
წურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ჯამლეთ ბაბილაშვილი
- ბელა ბაქაიანიშვილი
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ვლადიმერ ბარათაშვილი
- ირსა ბაჩიაშვილი
- ოთარ ბაგრატიანი
- ჯემალ განუკიძე
- ავთანდილ დემეტრაშვილი
- ბესარიონ ჯორიძე
- გივი ინჟირაძე
- მზია ლეკვიშვილი
- ნოდარ ნეზირიძე
- თეიმურაზ ნინიძე
- ნუზარ საჯაია
- მიხეილ სააკაშვილი
- გიორგი ტყეშელაშვილი
- მინდია უგრეხელიძე
- რომან უნგვალია
- ვალვა ჩიკვაშვილი
- ლადო ჭანტურია
- სერგო ჯორჯანიძე

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს იუსტიციის კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კ. უკატუბა, საქართველოს უზენაესი საპროკურორთა სასამართლო.

გაბითხველთა საპუბლიცისტო:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შეხატლო არ ეთხოვოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 880046, თბილისი, რუსთაველის განზირი 80.

ტელ.: 99 02 46, 98 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ფასი 2 ლარი.

ს ა კ ი ე ზ ე ლ ი

| | | |
|--|--|----|
| კონსტიტუცია | | |
| ნანა ხულუაშვილი — საქართველოს კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან | | 3 |
| ოფიციალური დოკუმენტი | | |
| მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი | | 9 |
| სასამართლო რეფორმა | | |
| ზურაბ დგებუაძე — სასამართლო რეფორმა და სასამართლომდე სამართალწარმოების პრობლემები | | 19 |
| აპტუალური პრობლემა | | |
| ლადო ჭანტურია — პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში | | 24 |
| უცხოეთის გამოცდილება | | |
| გია ლილუაშვილი — ნასყიდობა აშშ-ს ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მიხედვით | | 31 |
| მეურნეობა და სამართალი | | |
| დავით ძიძიგური — სასამართლო ორგანოების მონაწილეობა სამეწარმეო სუბიექტთა რეგისტრაციაში | | 37 |
| აკაკი ჩარგვიშვილი — მოთხოვნის დათმობა და ვალის გადატანა | | 42 |
| ლალი ლაზარაშვილი — სავაჭრო სამართლის განვითარების გზა | | 45 |
| მედიცინა და სამართალი | | |
| ალექსანდრე სოშტარია, ნონა მინდიაშვილი — ეითანაზის სამართლებრივი და ზნეობრივი დეონტოლოგიური ასპექტები | | 52 |
| სისხლის სამართალი | | |
| მარინა პაპუნაშვილი — აფექტის გამართლების პრობლემა | | 56 |
| ნაირა გიგიტაშვილი — ევენტუალური განზრახვის პრობლემა სისხლის სამართალში | | 61 |
| ბელა ბორჩხაძე — პიპოთეზა სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურაში | | 66 |
| რელიგია და სამართალი | | |
| ქეთევან საგინაშვილი — საქართველოში არსებული რელიგიური მიმართულებები და მათი რეგულირებისათვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა | | 70 |
| სამართლის ისტორია | | |
| გიორგი ნადარეიშვილი — სასამართლო პრაქტიკით სამართალგანვითარების ერთი მაგალითი ბიზანტიურ სამართალში | | 73 |
| გიგლიოზგრაფია | | |
| ულარესად საჭირო წიგნი | | 75 |
| კრიზისი | | |
| ნინო მარიაშვილი-ქოჩორაშვილი — ლექსები | | 77 |
| გამოსათხოვარი — ზაურ კალანდაძე | | 80 |

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
ტელ. 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 24.09.97 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.98 წ.,
ფორმატი 70X108/16, ფაზიკური ნ ბეჭდი ფურცელი 5, პ. რიგითი ნ ბეჭდი ფურცელი 7.
სააღრიცხვო-სავაჭრო-საგამომცემლო თაბახი ც.ს. შეკვ. 1262. ტირაჟი 500.

6565 სულაჟვილი

საქართველოს კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან

საქართველოს დემოკრატიულ რევოლუციამ გააღწია და მისთვის მისაღები მართვა-გამგეობის ფორმის შერჩევა 117 წლის მანძილზე შეფერხებული იყო. საქართველო მოწვევტილი იყო საკუთარი პოლიტიკური ნების რაიმე ფორმით გამოვლინების შესაძლებლობას. საქართველოში მმართველობის აბსოლუტურმა მონარქიულმა ფორმამ, თავისი არსებობა მისი ლოგიკური განვითარების გარეშე შეწყვიტა. საქართველოს ერთი დღეც არ უცხოვრია აბსოლუტური მონარქიის შემკვიდრის — შეზღუდული მონარქიის პირობებში.

ქართველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეები კონსტიტუციის შექმნის პროცესში პირველად მაშინ ჩაებნენ, როდესაც საქართველო შედიოდა 1918 წელს შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ამ პერიოდში მზადდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1918 წლის 26 მაისს ფედერაცია დაიშალა და აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას წერტილი დაეკვა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო როგორც სუვერენული სახელმწიფო, თვითონ შეუდგა საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტის — კონსტიტუციის შემუშავებას. დამოუკიდებლობის აქტით, რომელიც საქართველოსთვის პირველი კონსტიტუციური აქტი იყო, ჩამოყალიბდა ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა საქართველოს მომავალი კონსტიტუციური წყობა: სახალხო სუვერენიტეტი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; პოლიტიკური წყობილების დემოკრატიული ფორმა მართვა-გამგეობის რესპუბლიკურ პირობებში; საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი, ზოლო ურთიერთობებში კეთილმეზობლური დამოკიდებულებებისაკენ სწრაფვა; ყოველი მოქალაქის თანაბარი სამართლებრივ-პოლიტიკური უფლებებით უზრუნველყოფა; ყველა ერისათვის თავის ინტე-

ლექტუალურ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა. აი, ის ღირებულებები, რომლებსაც აღიარებდა საქართველოს ახლადგეხადგმული რესპუბლიკა და რომელიც იმავედროულად 117 წლის მანძილზე დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ერის მონაპოვარი იყო.

1918 წლის 1 ივნისს სახალხის თეთრ დარბაზში გაიმართა ეროვნული საბჭოს მორიგი — მესამე სხდომა (თავ-რე კარლო ჩხეიძე), რომელზეც შეიქმნა ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისიები. 6 ივნისს ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისია.¹

რამდენადაც კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი სამართლებრივი პოლიტიკური აქტია, მისი შემუშავების და მიღების პროცესიც უაღრესად დამაბული იყო პოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობების კონსერვაციის მიღწევის თვალსაზრისით. რაც, რა თქმა უნდა, აისახებოდა იმდროინდელ პრესაშიც.

1918 წლის 11 მაისს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთში „საქართველო“ დაიბეჭდა სტატია „საქართველოს კონსტიტუცია“, რომელმაც წარმოაჩინა პარტიის პოზიცია კონსტიტუციურ საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური წყობილების საფუძვლად „სუვერენობა, დამოუკიდებლობა უნდა დაედვას. მხოლოდ დამოუკიდებელი და თავისუფალი პოლიტიკური წყობილება უზრუნველყოფს ერის თავისუფალს და შეუფერხებელ ეკონომიკურს და კულტურულ ზრდა-განვითარებას.“² მათივე აზრით, კონსტიტუციის შექმნისას, ამისავალი პრინციპი ეროვნული მიზნობი და ინტერესები უნდა ყოფილიყო; ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად უნდა

1. მ. მაკაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სათავეებთან. საქართველოს ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია, თბ., 1993, გვ. 16-20.
2. იქვე, გვ. 7.

20944

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომხდარიყო თავისუფალი საქართველოს აშენება. მათ არსებულ მდგომარეობის გათვალისწინებით, სრული სიცხადით ესმოდათ თუ რა რთული იყო „მთელი საქართველოს თავის მოყრა, შეერთება და ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად გადაქცევა“.³ საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა იმაზე, რომ ქვეყანა უნდა ყოფილიყო დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. მათი გაზუთი „ერთობა“ 1918 წლის 7 ივნისს აღნიშნავდა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო ყველაზე დემოკრატიული და სხვებისათვის მისაბამიც კი.

1920 წლის 22 ნოემბერს გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ჩვენი კონსტიტუციის პროექტი აღიარებს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმას, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მუდმივ ფორმას და წერტილიც სწორედ აქ უნდა დაიხვას“.⁴ მოკლედ, ამ პროცესში კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების მსოფლმხედველობა, მათი იდეოლოგია. სოციალ-დემოკრატების აზრით, კონსტიტუცია უნდა იყოს (და არის კიდევ) გაბატონებული სოციალური კლასის ინტერესების მსახური და მისი უზენაესობის ამსახველი იურიდიული ლოკუსენტი.

კონსტიტუციის შინაარსი დამოკიდებულია წამყვან პოლიტიკურ ძალაზე. ამიტომ, ბუნებრივია, საინტერესო იქნება ამ ძალისა და ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერთა პოზიცია. მითუმეტეს, როდესაც ეს ორი ცნება ერთ პიროვნებაში იყრის თავს. იმ პერიოდში ასეთი პიროვნება საქართველოსათვის ნოე ჟორდანიას გახლდათ. მან 1918 წლის 4 აგვისტოს პარტიულ კრებაზე წაიკითხა მოხსენება „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“.⁵ სანამ მის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე ვილაპარაკებთ, სასურველია გავისხენოთ ცოტა მოგვიანებით (1919 წლის 18 თებერვალს) მისივე გამონათქვამი: „დღეს ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული სოციალური და პოლიტიკური წყობა. მხოლოდ საჭიროა მივცეთ მას იურიდიული და კონსტიტუციური ფორმა“.⁶ იმ დროს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა რომ დემოკრატიული იყო და კონსტიტუციაც იგივეს დაადგენ-

და ეს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ აქ საუბარში იყო დემოკრატიის ტიპზე, იგივე მმართველობის ფორმაზე, რომლითაც ივლიდა შემდგომ საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა და ქართველი ერი. მართვა-გამგეობის რომელ ფორმას გულისხმობდა ნ. ჟორდანიას პოლიტიკური წყობილების ცნების ქვეშ, ძნელი გასარკვევია. დამოუკიდებლობის წლებში საქართველო პარლამენტარიზმის გზით ვითარდებოდა, მაგრამ ჩვენი მაშინდელი პოლიტიკური ლიდერის იდეალი არ იყო მსოფლიოში გავრცელებული დემოკრატიის არც ერთი ტიპი. საპარლამენტო დემოკრატია, მისი წმინდი საბოლოო პრინციპების გამო, ნ. ჟორდანიამ დაიწუნა. ამერიკული ე. წ. უფლებადანაწევრებული დემოკრატია (იგივე მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა) მიუღებელი იყო მისთვის, რადგან „დემოკრატიზმიდან ეს არ გამოდინარეობს“, რაც შეეხება ე. წ. პირდაპირ დემოკრატის (შვეიცარიის მაგალითი), რომელიც უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებდა წინა ორთხანთან შედარებით, ცხადი იყო, რომ ჩვენს პირობებში იგი განუხორციელებელი იდეალი იყო.

აი, ასეთ პირობებში შემოგვთავაზა ნ. ჟორდანიამ „საშუალო ტიპი პარლამენტალურ და პირდაპირ დემოკრატის შორის“.⁷ მან დაახასიათა საპარლამენტო რესპუბლიკა და აღნიშნა, რომ პარლამენტარიზმის პირობებში ხელისუფლების თავმოყრის ცენტრი არის პარლამენტი და ამით ხალხი პარლამენტის არჩევის შემდეგ სახელმწიფო მმართველობაში არავითარ მონაწილეობას აღარ ღებულობს. მისივე თქმით, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხი უფრო ფართოდ ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამ პირობებში ხელი-სუფლება პარლამენტში, თავმოყრის ნაცვლად, განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ხალხის ხელში რჩება ხელისუფლების დიდი ნაწილი, რომელსაც საშუალება აქვს ამ ხელისუფლების გამოვლენისა ცენტრიდან და დემოკრატიული ორგანოების — ადგილობრივი თვითმმართველობების საშუალებით. მისივე აზრით, სახელმწიფო წყობილების ფორმა უნიტარული უნდა ყოფილიყო, რისთვისაც საჭირო იყო ორი აუცილებელი პირობა: ნამდვილი დამოუკიდებლობა და ძლიერი დემოკრატიული ხელისუფლება.

ნოე ჟორდანიამ უპირატესობა მიანიჭა ერთპალატიან პარლამენტს, რომლის უზენაესობაც საკანონმდებლო საქმიანობაში შეზღუდული უნდა ყოფილიყო რეფერენდუმით.

მთავრობის თავმჯდომარე შეეხო მთავრობის მოწყობის საკითხს და აღნიშნა, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავრობა არ ატარებს

3. იქვე, გვ. 8.
 4. მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება, ნაწილი II, თბ., 1993, გვ. 10.
 5. „საქართველოს პარლამენტი“. გაზ. „თბილისი“, 1995 წლის 16 აგვისტო, № 7, გვ. 24.
 6. დემეტრაშვილი ა., მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, გვ. 16, თბ., 1992.

7. მაცაბერიძე მ., დას. ნაშ., გვ. 22.



პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და იგი გამოცდილი ადმინისტრატორებისაგან შემდგარი კოლეგია. მისი თქმით, რადგან პარლამენტთან ერთად ხალხსაც გააჩნია საკანონმდებლო უფლებამოსილება, ამიტომ მთავრობა არ შეიძლება იყოს პარლამენტის აღმასრულებელი განსტოება, რადგან კანონმდებელი პარლამენტის უმრავლესობის აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს ასევე კანონმდებელი ხალხის უმრავლესობის აზრს. მას გარდამავალ ეტაპზე დასაშვებად მიაჩნია მთავრობის თავმჯდომარის და ერთი ან ორი მთავარი მინისტრის პასუხისმგებლობა. აქვე ისიც აღინიშნა, რომ არაპარლამენტარული სამინისტრო ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოს.

კომისიის პირველი სხდომები იმ ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბებას მიეძღვნა, რომელთა საფუძველზეც უნდა შექმნილიყო საქართველოს კონსტიტუცია. პირველ სხდომაზე პ. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ მსოფლიოში გაერცელებულია დემოკრატიის სამი ტიპი: ამერიკული უფლებადანაწევრებული დემოკრატია; ფრანგული პარლამენტური (იგივე წარმომადგენლობითი) დემოკრატია; შვეიცარული პირდაპირი დემოკრატია და რომ უნდა გავვეთვალისწინებინა ჩვენი „სამწლიანი პარლამენტური პრაქტიკა“.⁸ ამ სხდომებზე ნ. ჟორდანიამ კვლავ დაიწუნა მსოფლიოში გაერცელებული მართვაგებების ყველა ფორმა და კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციასთან დაკავშირებით; მან აღნიშნა, რომ პარლამენტმა მთავრობის ჩამოყალიბება ერთ პირს კი არ უნდა მიანდოს, არამედ მისი წევრები თვითონ უნდა ანდონონ, რითაც თავიდან იქნებოდა აცდლებული სამთავრობო კრიზისები. მთავრობის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები პარლამენტის წინაშე უნდა ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი (თუმც მთავრობით, თვითონვე უარყო დამფუძნებელ კრებაზე კონსტიტუციის პროექტის განხილვისას თავმჯდომარის პასუხისმგებლობა). სულ სხვა მოსაზრების იყო პ. საყვარელიძე. მას მიაჩნდა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს უნდა შეეთავსებინა შინაგან საქმეთა ან საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. მთავრობა უნდა ყოფილიყო პარლამენტის მორჩილი, რაც გამოინატებოდა არა მისდამი პასუხისმგებლობაში, არამედ გადაწყვეტილებების უსიტყვო შესრულებაში, მაშინაც კი, როდესაც მას არ ეთანხმებოდა.

საბოლოოდ, ჩამოყალიბებული პოზიცია წარმოაჩინა კომისიის თავმჯდომარემ ს. ჯაფარიძემ: „შერეული ტიპის ფრანგულ და შვეიცარულ სისტემათა შორის მიახლოება უნდა იყოს

უფრო შვეიცარული ტიპისკენ. ერთპალატიან პარლამენტი, პრეზიდენტი განსაკუთრებული უფლებებით, არაპოლიტიკური, არამედ საქმიანი სამინისტრო. უნდა აასრულოს სამინისტრომ ის, რასაც პარლამენტი დაადგენს, აღმასრულებელი უფლება იზღუდება ადგილობრივი თვითმმართველობათა უფლების გაფართოებით. დანაშაულობის დროს თუ არ გადადგება სამინისტრო, ცხადია, მიეცემა სამართალში“.⁹ ამის შემდეგ კომისიის მუშაობა შეჩერდა კომისიის წევრთა სისტემატური გაცდენების გამო.

დაახლოებით ასე დაასრულა მუშაობა კომისიამ, რომელმაც ვერ შესძლო პარლამენტისათვის წარედგინა კონსტიტუციის პროექტი, მაგრამ მან ჩამოაყალიბა უმთავრესი პრინციპები და ძირითადი მონახაზი კონსტიტუციისა. აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნეოდა თუ რამდენ პალატიანი უნდა ყოფილიყო პარლამენტი, საკამათო იყო დეპუტატთა რიცხოვნობა და უფლებამოსილების ვადაც. პარლამენტის არჩევნები საყოველთაო, პირდაპირი იქნებოდა ფარული კენჭისყრის საფუძველზე, პროპორციული საარჩევნო სისტემით.

1919 წლის 12 მარტს აირჩა დამფუძნებელი კრება, რომელმაც 16 წევრის შემადგენლობით აირჩია საკონსტიტუციო კომისია. 19 მარტს უკვე ჩატარდა მისი პირველი სხდომა, რომელზეც აირჩიეს თავმჯდომარე — ს. ჯაფარიძე და მდივანი — გ. ფაღავა.

კომისიის მისწრაფება ნაყოფიერი მუშაობისაკენ და მის მიერ ორგანიზაციული საკითხების მოგვარების სიჩქარე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება გრძნობდა რუსეთის მონაწილეობულ აგრესიას და ცდილობდა მისთვის ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით გამყარებული არსებობა დაეპირისპირებინა.

1920 წლის ივლისისათვის საკონსტიტუციო კომისიამ დაამთავრა კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა 21 ივლისის სხდომაზე მიიხილა. კონსტიტუციის განხილვის წესი კამათის გარეშე მიიღეს. გათვალისწინებული იყო პროექტის ხუთი წაითხვა.¹⁰

24 ნოემბრის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ პ. საყვარელიძემ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა კონსტიტუციის პროექტი. მან მოკლედ მიმოიხილა კონსტიტუციის შინაარსი.

1 დეკემბრიდან კრება შეუდგა კონსტიტუციის პირველ მოსმენას, მის ზოგად განხილვას. კამათი გამოიწვია აღმასრულებელი ხელისუფ-

9. იქვე, გვ. 33.

10. იქვე, გვ. 3-6.

8. იქვე, გვ. 19.



ლების ორგანიზაციისა და პარლამენტის წინაშე მისი პასუხისმგებლობის ფორმამ. კონსტიტუციის ავტორთა მიერ შემოთავაზებული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების კონტინენტალურ პრინციპზე დამყარებული ორგანიზაცია, როდესაც მთავრობის ფორმირება და მისი მოღვაწეობა მთლიანად დამოკიდებულია პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე და მთავრობა თავის საქმიანობაზე ანგარიშვალდებულია როგორც სოლიდარულად, ასევე ინდივიდუალურადაც მისი წევრებით. ამ საკითხმა უკმაყოფილება გამოიწვია კრების წევრებს შორის, რადგან მთავრობის გაშვების შემდეგ ვაკუუმი ჩნდებოდა. აღარ იყო თანამდებობის პირი, რომელიც ხელახალი მთავრობის ფორმირებამდე პასუხისმგებლობას აიღებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ გამოთქვა მოსაზრება, „ჩვენში არ იქნება პრეზიდენტი ცალკე პიროვნება, მაგრამ ჩვენში იქნება ისეთი პირი, რომელიც აასრულებს მის მოვალეობას“.¹¹ მან ასევე გამოყო „დამორჩილების“ პრინციპი, რაც ნიშნავდა იმას, რომ როცა ესა თუ ის მინისტრი არ არის რაიმე დადგენილების თანახმა, ის მაინც ვალდებულია მისი შესრულებისა და არა წასვლისა. თუ „დამორჩილების“ პრინციპი გატარდებოდა ცხოვრებაში, მაშინ რის საფუძველზე უნდა მოეხდინა პარლამენტს უნდობლობის გამოცხადება? (ნ. ს.) მთავრობის თავმჯდომარე არჩეული უნდა ყოფილიყო ვადით, რომლის გასვლამდეც მისი თანამდებობიდან გადაყენება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთი პოზიცია კი განპირობებული იყო იმით, რომ სამთავრობო კრიზისს არ გამოეწვია სახელისუფლებო კრიზისი. ამ შემთხვევაში კი თავმჯდომარე იქნებოდა ის პიროვნება, რომელიც მთავრობის არყოფნის პერიოდში შეაგებდა სახელმწიფო მექანიზმში არსებულ ვაკუუმს. იგი ცდილობდა გაერღვია კავშირი მთავრობის მთლიანი პროგრამის მიუღებლობასა და კერძო პრაქტიკულ საკითხებზე უთანხმოებას შორის. თუ საერთო პოლიტიკური ხაზი პარლამენტის მოწონებას იმსახურებდა, კერძო პრაქტიკულ კითხვებს კრიზისები აღარ უნდა გამოეწვია. ა. ჩხენკელის თქმით, პროექტში შერწყმული იყო ფრანგული პასუხისმგებლობა და შვეიცარული უპრეზიდენტობა.¹² მაგრამ იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია მთავრობის თავმჯდომარის, მისი საჭმეპყრობლისა და ძირითადი მამომრავებელი ძალის დაზოგვა, შესაძლებელია ვილაპარაკოთ მთავრობის პასუხისმგებლობაზე? თავმჯდომარე ზომ

მთავრობის შემადგენლობაში? ესაშარადამკითხველი მთავრობის თავმჯდომარის უპასუხისმგებლობის პირობებში არ შეიძლება ვილაპარაკოთ მთავრობის პასუხისმგებლობაზე. ეს მხოლოდ ცალკეულ წევრთა პასუხისმგებლობაა.

იგივე ა. ჩხენკელის თქმით, „პრეზიდენტის უარყოფა არ ნიშნავს თვით მისი ფუნქციების უარყოფას“. ნ. ჟორდანიას აზრით კი, „პარლამენტარიზმიდან უეჭველად გამომდინარეობს პრეზიდენტის არსებობა, მაგრამ მე ვამბობ, რათა დემოკრატიზმიდან ეს არ გამომდინარეობს“, ე. ი. სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი მთავრობის თავმჯდომარე თავისი უფლებრივი მდგომარეობით სხვა არაფერი იყო, თუ არა პრეზიდენტი.

სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის (რომლებიც პრეზიდენტის ინსტიტუტს უჭერდნენ მხარს) დიდი განსხვავება არ იყო. მათი უთანხმოება დაკავშირებული იყო ამ პარლამენტის წინაშე უპასუხისმგებლო და იმავდროულად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე პასუხისმგებელი პირის სამართლებრივი მდგომარეობის წარმოდგენაში. სახელმწიფო მექანიზმში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობა, რომელიც იქნებოდა ყოველდღიურ პოლიტიკურ შეხლა-შემოხლის პროცესზე მალა მდგომი“.¹³

გიორგი გვაზავა უპირატესობას ანიჭებდა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტინენტალურ მოდელზე მოწონებას. ბრძანებდა, რომ მიუღებელი იყო მხოლოდ კონსტიტუქცია ბატონი ჟორდანიასი, მისი დედააზრი კი საეხებით მიხალდები. რომ „საჭიროა სათავეში იდგეს ერთი ვადით არჩეული პირი, აღჭურვილი სათანადო უფლებით. ასეთი პირი არის პრეზიდენტი რესპუბლიკისა“. გ. გვაზავა აღნიშნავდა, რომ საჭიროა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და მის გვერდით პასუხისმგებელი მინისტრთა კაბინეტი“.¹⁴

ამჟამად, რომ ნ. ჟორდანიას არა თუ არ მოსწონდა მართვა-გამგეობის საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმები, არამედ ისინი არადემოკრატიულადაც კი მიაჩნდა. სწორედ ამასვე მიუთითა გ. გვაზავამ, რომ ეს მცდარი მიდგომა იყო საკითხისადმი. ჩვენი მხრივ დაჟამატებთ, რომ პოლიტიკური წყობილების დემოკრატიულ რეჟიმს შეუძლია ფუნქციონირება როგორც საპრეზიდენტი, ისე საპარლამენტო რესპუბლიკაში, ხოლო მეოცე საუკუნის პირობებში, თვითმმართველობის მონარქიულ ფორმაშიც კი.

11. „საქ. დემოკრ. რესპ. 1921 წლის კონსტიტუცია, დოკუმენტები და მასალები“, კრ. II, თბ., 1993, გვ. 11.

12. იქვე, გვ. 24.

13. იქვე, გვ. 28.

14. იქვე, გვ. 21.



ნ. ჟორდანიას წინააღმდეგი იყო მთავრობის თავმჯდომარის გადაყენების. მისი აზრით, შეიძლება უნდობლობა გამოცხადებოდა ყველა მინისტრს, გარდა თავმჯდომარისა. ცალკეულ მინისტრს, ძირითადად, მაშინ უცხადებენ უნდობლობას, როცა იგი თვითონ გადაუხვევს მთავრობის კურსს, მაგრამ შესაძლოა პარლამენტს არ მოეწონოს გარკვეული მიმართულებით მთავრობის საქმიანობა და რაკიდა თავმჯდომარე აყალიბებს და ხელმძღვანელობს მთავრობის პოლიტიკის განხორციელებას, უპირველესად, სწორედ იგი უნდა იყოს პასუხისმგებელი. რაღა თქმა უნდა, ეს ლოგიკურია. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხთან მიმართებაში თვით ვეაზნავს შეხედულებებამც განიცადეს ტრანსფორმაცია დროის შესაბამისად. იგი ეროვნული საბჭოს პირველივე სხდომაზე 1918 წლის 11 ივნისს დაეთანხმა ჟორდანიას და განაცხადა, რომ „საჭირო იყო მტკიცე მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც არ უნდა იყოს დამოკიდებული ყოველთვის პარლამენტური ბრძოლის მოქმენტი-ბისაგან“.¹⁵

ამ საკითხისადმი, უფრო კრიტიკული მიდგომა ჰქონდათ სხვა მემარცხენე ძალებს. სოციალ-დემოკრატიის ს. დადიანი აცხადებდა: „პრეზიდენტი თავისი უფლებებით იგივე შეეფა“.¹⁶ ესერების წარმომადგენლის ლეო შენგელიას თქმით კი: „ამ კონსტიტუციით ნამდვილად თვითმყრებელია მთავრობა“.¹⁷

მაინც რამ განაპირობა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით აზრთა ასეთი შეხლა-შემოხლა? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის საკითხში შევიცარული, ე. წ. პირდაპირი დემოკრატიის გაფეტიშება, რაც პ. სავარეულიძის თქმით, „ჩვენში განუხორციელებელი იდეალი იყო“.¹⁸ მეორე, მათი აზრით, პრეზიდენტის არსებობისას, მის ხელში დიდი ძალაუფლება იყრიდა თავს, რაც ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიზმის პრინციპებს. მესამე, მათ ზემოთქმული ორიდან გამომდინარე უპირატესობა მაინიჭეს მმართველობის ორგანოს — მთავრობის მოწყობის კოლეგიალურ ფორმას; მეოთხე, სოციალ-დემოკრატიისტიებისათვის მიუღებელი იყო „ხელისუფლების აბსოლუტური დანაწილება“ და მეხუთე, იქ, სადაც სუვერენობა მინიჭებული აქვს ხალხს, თურმე ყოვლად შეუძლებელი ყოფილა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება.¹⁹

გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენი კონსტიტუციის ნაკლი — პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუთვალისწინებლობა — მწარედ გაინსვენეს ქართველმა პოლიტიკოსებმა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე 1925 წლის მარტში დაწერილ „პოლიტიკურ ანდერძში“ გამოთქვამს სინანულს: „თუ სადმე კი არის საჭირო საკმაო უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი, ეს გახლავთ სწორედ საქართველო“.²⁰ ხოლო მოგვიანებით, ეროვნულ-დემოკრატი რევოლუციონარული ბრძანებაში: „...მოუღებელი „კონსტიტუციის“ ძალით, საქართველო უპრეზიდენტო, უთავო რესპუბლიკა გახლდათ“.²¹

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმან, თუ როგორი წესით უნდა მიეღოთ კონსტიტუცია. ერთნი რეფერენდუმის გზას იცავდნენ, მეორენი კი დამოუკიდებელი კრების უმთავრეს ფუნქციად სწორედ ახალი რესპუბლიკის არსებობის იურიდიულ გაფორმებას მიიჩნევდნენ, თანაც საომარ პირობებში რეფერენდუმის გამართვა შეუძლებელი იყო. ასე მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელმაც მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც ყველაზე დემოკრატული კონსტიტუციამ — მან 4 დღე იარსება. კონსტიტუციამ საქართველო გამოაცხადა თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მისი წყობილების ფორმად — დემოკრატიული რესპუბლიკა, სახელმწიფო ენად აღიარა ქართული ენა.

საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურა მარტივი იყო. იგი შედგებოდა პრეამბულის, 17 თავისა და 149 მუხლისაგან. მისი შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ:

საკანონმდებლო ორგანოა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტი. მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამი წლით. საყოველთაო საარჩევნო უფლება ხორციელდება 20 წლის ასაკიდან. მკაცრად განისაზღვრა პარლამენტის კომპეტენცია, მათ შორის, საკანონმდებლო, საფინანსო, სასამართლო, საგარეო პოლიტიკური, სამხედრო, საკონტრო-

15. მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სათავეებთან. საქართველოს ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია, თბ., 1993, გვ. 32.

16. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დოკუმენტები და მასალები, კრ. II, თბ., 1993, გვ. 15.

17. იქვე, გვ. 18.
 18. „საქართველოს პარლამენტი“, ვაზ. „თბილისი“, 1995 წლის 22 ივლისი, № 4, გვ. 24.
 19. საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დოკუმენტები და მასალები, კრ. II, თბ., 1993, გვ. 14.
 20. იქვე, გვ. 38.
 21. გაბაშვილი რ., მოგონებები, 1992, გვ. 24.



ლო უფლებამოსილებანი. პარლამენტის ხელმძღვანელი ორგანო — პრეზიდიუმი ყოველწლიურად უნდა გადახალისებულ იყოს. კანონ-შემოქმედებითი ინიციატივის ორალ-ორი სუბიექტი იქნა ცნობილი: პარლამენტის ყოველი წევრი და 5000 ამომრჩეველი.

აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მთავრობას, მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრების შემადგენლობით. განისაზღვრა მთავრობის საერთო უფლებები და მოვალეობები. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებათა სფერო აბსოლუტურად განსაზღვრული არ არის.

ყოველი მინისტრი, მისთვის საგანგებოდ მინიჭებული უწყების საქმიანობაზე პარლამენტის წინაშე აგებდა პასუხს. მთავრობის თავმჯდომარეც ფაქტობრივად იყო პარლამენტის უნდობლობის შემთხვევაში შეეცვალა ესა თუ ის მინისტრი ან მთლიანად მთავრობა. თავმჯდომარის უფლებამოსილება განისაზღვრებოდა ერთი წლის ვადით. უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნოდა პარლამენტის მიერ არჩეულ სენატ¹ სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ სასამართლო საქმეთა წარმოების საკითხიც გა-

ნისაზღვრებოდა კანონით. ხალხი წარმოჩნდა ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ.

კონსტიტუციაში ცალკე თავი ჰქონდა დათობილი ადგილობრივ თვითმმართველობას.

საქართველოს კონსტიტუციას, ვფიქრობ, შემდეგი ნაკლოვანებანი ჰქონდა:

1. პრეზიდენტის სახით სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტის არ არსებობა, რამაც ამ თანამდებობის პირის უმთავრესი ფუნქციების მთავრობის თავმჯდომარის ხელში თავმოყრა განაპირობა;
2. მთავრობის თავმჯდომარის პოლიტიკური პასუხისმგებლობის არ არსებობა. ამან კი გამოიწვია ის, რომ მთავრობის თავმჯდომარე სახელმწიფო ორგანოთა იერარქიაში მოექცა უმაღლეს საფეხურზე;
3. ამ უკანასკნელის შემდეგ, ალბათ, აუცილებელი იყო იმპიჩმენტის მექანიზმის გათვალისწინება;
4. მთავრობის ფორმირება ერთი წლის ვადით, რითაც იგი საქმეს მოსწყვდებოდა, ან სულაც შეიძლება პოპულისტური პოლიტიკა ეწარმოებინა.



გერმანის რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის პირთა ქვეყნის კოდექსი

მიღებულია გერმან-ს. გენერალური ასამბლეის 34/169 რეზოლუციით
1979 წლის 17 დეკემბერს

გენერალური ასამბლეა, ითვალისწინებს რა, რომ გერმან-ს. წესდებაში აღი-
არებული მიზნები, მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებ-
ას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ პატივის-
ცემის გაზრდის საქმეში ყველასათვის, განუსხვავებლად რასისა, სქესისა, ენისა
და რელიგიისა.

კერძოდ, მიუთითებს რა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცი-
ისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებზე,

მიუთითებს რა აგრეთვე, დეკლარაციაზე, ყველა პირთა წამებისა და სხვა
სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველ სახის მოპყრობებისა და
დასჯისაგან დაცვის შესახებ, რომელიც იქნა მიღებული გენერალური ასამბ-
ლეს მიერ 1975 წლის 9 დეკემბრის 3452 (XXX) რეზოლუციით,

შხედველობაში იღებს რა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის
მართლწესრიგის დაცვის ფუნქციების ხასიათი და ის, თუ რა სახით ხორციელ-
დებიან ისინი, ახდენენ უშუალო გავლენას ცალკეულ პირთა და აგრეთვე საზო-
გადოების ცხოვრების ხარისხზე მთლიანობაში.

აცნობიერებს რა ამოცანის დიდ მნიშვნელობას, რომელსაც ნებაყოფლო-
ბით და ღირსეულად ახორციელებენ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის
პირები, ადამიანის უფლებების პრინციპების შესაბამისად,

ამასთან ითვალისწინებს რა, ამ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირე-
ბული უფლებების ბოროტად შესაძლო გამოყენებას,

აღიარებს რა, რომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცე-
ვის კოდექსის შემოღება არის მხოლოდ ერთ-ერთი, რამდენიმე მნიშვნელოვან
ღონისძიებათაგან, რომლებიც არიან იმ მოქალაქეთა განკარგულებაში, რომ-
ლებსაც ემსახურებიან მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები, მათი
ყველა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

აცნობიერებს რა, რომ არსებობს მართლწესრიგის ფუნქციის ჰუმანური
კანონრციელების დამატებითი მნიშვნელოვანი პრინციპები და წინაპირობები,
კერძოდ, რომ:

ა) ისევე, როგორც სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტე-
მის ყველა სხვა დაწესებულებები, ასევე სამართალდამცავი ორგანოებიც უნდა
წარმოადგენდნენ საზოგადოებას მთლიანად, პასუხი უნდა აგონ მის წინაშე და
მის წინაშე უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული;

ბ) ეთიკური ნორმების ეფექტიანი შესრულება მართლწესრიგის დამცველ
თანამდებობის პირთა მიერ დამოკიდებულია კანონების კარგად გააზრებული,
ერთობლივად მიღებული და ჰუმანური სისტიმის არსებობაზე;

გ) მართლწესრიგის დამცველი თითოეული თანამდებობის პირი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს, რომლის მიზანსაც შეადგენს დანაშაულის თავიდან აცილება და მასთან ბრძოლა, და რომ ამ სისტემაში მართლწესრიგის დამცველი ყოველი თანამდებობის პირის ქცევა ზემოქმედებას ახდენს მთელ სისტემაზე;

დ) წესრიგის დამცველ ყველა ორგანოს ნებისმიერი პროფესიის ძირითადი წინაპირობის შესაბამისად აუცილებლად უნდა მოეთხოვოს თვითკონტროლის განხორციელება, სრული შესაბამისობით იმ ნორმებთან და პრინციპებთან, რომლებიც გადმოცემულია წინამდებარე დოკუმენტებში, და რომ მართლწესრიგის დასაცავად თანამდებობის პირთა ქცევა უნდა ექვემდებარებოდეს გულმოდგინე შემოწმებას საზოგადოების მხრიდან, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს ან საბჭოს, სამინისტროს, პროკურატურის, სასამართლოს, ომბუცმენის, ნოქალაქეთა კომიტეტის ან ამ ორგანოების ნებისმიერი სხვა ურთიერთმიმართების ან საზედამხედველო ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ;

ე) ნორმებს, როგორც ასეთებს არ ექნებათ პრაქტიკული ღირებულება მანამდე, სანამ მათი შინაარსი და მნიშვნელობა სწავლებისა და მომზადების მეშვეობით და კონტროლის განხორციელების გზით არ გახდება მართლწესრიგის დამცველი ყოველი თანამდებობის პირის ქცევის კრელოს ნაწილი.

იღებს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსს, ნოცემულს წინამდებარე რეზოლუციის დანართში და ადგენს მის წარდგენას (თავრობებისათვის რეკომენდაციით, დადებითად იყოს განხილული მისი გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის ფარგლებში, პრინციპების კრებულის სახით, რომლებიც დაცულნი უნდა იყვნენ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ.

106-ე პლენარული სესიონი,
17 დეკემბერი, 1979 წელი.

დანართი

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი

მუხლი 1. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები განუწყვეტლივ ახორციელებენ კანონის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან რა საზოგადოებას და იცავენ რა ყველა პირებს სამართალსაწინააღმდეგო აქტებისაგან პასუხისმგებლობის იმ მაღალი ხარისხის შესაბამისად, რომელსაც მოითხოვს მათი პროფესია.

კომენტარები:

ა) ტერმინი „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები“ მოიცავს ყველა დანიშნულ ან არჩევით თანამდებობის პირებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სამართლის გამოყენებასთან, რომლებსაც გააჩნიათ საპოლიციო უფლებამოსილებანი, განსაკუთრებით სამართალდამრღვევთა დაკავების უფლებამოსილებანი;

ბ) იმ ქვეყნებში, სადაც საპოლიციო უფლებამოსილებანი ხორციელდება სამხედრო ხელისუფალთა მიერ სამხედრო ან სამოქალაქო ტანსაცმელში, ან სახელმწიფო უშიშროების ძალების მიერ, ტერმინ „მართლწესრიგის დამცველი“



თანამდებობის პირების“ განსაზღვრება მოიცავს ასეთი სამსახურების თანამდებობების რიგებს;

გ) იგულისხმება, რომ საზოგადოების სამსახური გულისხმობს, კერძოდ, დახმარებისა და სამსახურის გაწევას, საზოგადოების იმ წევრთათვის, რომლებიც თავიანთი პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან განსაკუთრებული ხასიათის სხვა მიზეზების გამო საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას;

დ) იგულისხმება, რომ ეს დებულება მოიცავს არა მარტო ყველა ძალადობის, ძარცვის ან მავნებლურ აქტებს, არამედ ვრცელდება ყველა სახის აკრძალვებზე, რომლებიც დადგენილია სისხლისსამართლებრივი კანონებით. ის აგრეთვე ვრცელდება იმ პირთა ქცევაზეც, რომელთაც არ შესწევთ უნარი დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 2. თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები პატივს სცემენ და იცავენ ადამიანურ ღირსებებს და ხელს უწყობენ და იცავენ ადამიანის უფლებებს ყველა პირთან მიმართებაში.

კომენტარები:

ა) ადამიანის აღნიშნული უფლებები დგინდება და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიერ. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, დეკლარაცია ყველა პირების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი სახის მოპყრობისა და დასჯისაგან დაცვის შესახებ, გაერო-ს დეკლარაცია ყველა სახის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია ყველა სახის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღმოფხვრისა და მისთვის დასჯის შესახებ, კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები და ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ;

ბ) ამ დებულებების მიმართ გაკეთებულ ეროვნულ კომენტარებში უნდა იყოს ღიოთიებული რეგიონალური და ეროვნული დებულებები, რომლებიც ადგენენ და იცავენ ამ უფლებებს.

მუხლი 3. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალა, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რომელიც საჭიროა მათი მოვალეობების შესრულებისათვის.

კომენტარები:

ა) ამ დებულებაში ხაზგასმულია, რომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალის გამოყენება უნდა ატარებდეს განსაკუთრებულ ხასიათს; თუმცა ის გულისხმობს, რომ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები შეიძლება იყვნენ უფლებამოსილნი ძალის გამოყენებაზე, რომელიც წარმოადგენს გონივრულად აუცილებელს მოცემულ გარემოებებში, დანაშაულის თავიდან აცილების ან სამართალდამრღვევთა ან სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილთა მართლზომიერი დაკავების განხორციელების, ან

დახმარების აღმოჩენისას, ასეთი დაკავებისას არ შეიძლება იქნას გამოყენებული ძალა, რომელიც სცილდება ამ მიზნებისათვის განსაზღვრულ ფარგლებს;

ბ) ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, ზღუდავს ძალის გამოყენებას მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ, პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. ეს უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ ამ დებულების განმარტებისას პატივი უნდა ეცეს პროპორციულობის ამ ეროვნულ პრინციპებს. ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ განიმარტება ისე, რომ ითქვას იგი წარმოადგენდეს შეუსაბამო კანონიერ მიზანს, რომლის მიღწევა-ცაა საჭირო;

დ) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ითვლება უკიდურეს საშუალებად. საჭიროა ყველა ძალისხმევის გამოყენება იმისათვის, რომ გამოირიცხოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, განსაკუთრებით ბავშვების წინააღმდეგ. როგორც წესი, ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა იქნეს გამოყენებული ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი მიმართავს შეიარაღებულ წინააღმდეგობას ან სხვა სახით საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანებს და როდესაც სხვა ღონისძიებები, რომლებსაც აქვთ ნაკლებად განსაკუთრებული ხასიათი, არ არის საკმარისი სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილის გაკიცხვის ან დაკავებისათვის. ცეცხლსასროლი იარაღის ყველა გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ხელისუფალთ.

მუხლი 4. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ინახება საიდუმლოდ, თუ მოვალეობების შესრულება ან მართლმსაჯულება არ აყენებს სხვაგვარ მოთხოვნებს.

კომენტარი:

თავიანთი მოვალეობების ხასიათის მიხედვით, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები იღებენ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს სხვა პირების პირად ცხოვრებას ან პოტენციურად ზიანი მიაყენოს ამგვარი პირების ინტერესებს და განსაკუთრებით მათ რეპუტაციას. საჭიროა დიდი სიფრთხილე ასეთი სახის ინფორმაციის შენახვისა და გამოყენებისას, რომლის გამხელაც ზღბდა მხოლოდ მოვალეობების შესრულების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. სხვა მიზნით ასეთი ინფორმაციის ნებისმიერი გამხელა არის სრულიად სამართალსაწინააღმდეგო.

მუხლი 5. მართლწესრიგის დამცველმა არც ერთმა თანამდებობის პირმა არ უნდა განახორციელოს, უბიძგოს ან თვალი დახუჭოს ნებისმიერ მოქმედებაზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახავი სახის მოპყრობას ან დასჯას, და კანონიერების დამცველ არც ერთ თანამდებობის პირს არ შეუძლია გააკეთოს მითითება ზემდგომი პირების განკარგულებებზე ან ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებზე, როგორიცაა ომის მდგომარეობა ან ომის მუქარა, ეროვნული უშიშროების საფრთხე, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა ნებისმიერი საგანგებო მდგომარეობა წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახავი სახის მოპყრობისა და დასჯის გამართლებისათვის.

კომენტარები:

ა) ეს აკრძალვა გამომდინარეობს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციიდან, ყველა პირთა წამების და სხვა სასტიკ, არაადამიანურ

ან ღირსების შემლახავი სახის მოპყრობისა და დასჯისაგან დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც:

„(ასეთი მოქმედება წარმოადგენს)“ ადამიანის ღირსების შელახვას და აკიცხება როგორც გაეროს წესდებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი **თავისუფლებების დარღვევა, რომლებიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა** საყოველთაო დეკლარაციაში (და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს);

ბ) დეკლარაცია „წამება“-ს განმარტავს შემდეგნაირად:

„წამება ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლის მეშვეობითაც ადამიანს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, როგორც ფიზიკური ასევე გონებრივი, ოფიციალური პირის მიერ ან მისი წაქეზებით, მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მიღების მიზნით, მის დასჯას მოქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაში არის ეჭვიმიტანილი, ან ბისი ან სხვა პირების დაშინება. ამ განმარტებაში არ ჩაითვლება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც წარმოიშობება მხოლოდ თავისუფლების კანონიერი აღკვეთის გამო, მისი დამახასიათებელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ან მის შედეგად, იმ ხარისხით, რამდენადაც ეს შეესაბამება პატიმრებთან მოპყრობის მიწინააღმდეგ სტანდარტულ წესებს“;

გ) ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი სახის მოპყრობები და დასჯა“ არ იყო განსაზღვრული გენერალური ასამბლეის მიერ, ნაგრამ საჭიროა მისი იმგვარი სახით განმარტება, რომ უზრუნველყოფილი იქნას შესაძლებლობების ფარგლებში რაც შეიძლება ფართო დაცვა, მდგომარეობის როგორც ფსიქოლოგიური ისე ფიზიკური ხასიათის ბოროტად გამოყენებისაგან.

მუხლი 6. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები უზრუნველყოფენ მათ მიერ დაკავებული პირების სრულ ჯანმრთელობას, და კერძოდ, აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ გადაუდებელ ზომებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის.

კომენტარები:

ა) „სამედიცინო დახმარება“, რომლის ქვეშაც იგულისხმება მომსახურება, გაწეული ნებისმიერი სამედიცინო პერსონალის მიერ, ექიმ-პრაქტიკოსების ჩათვლით, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი მოწმობა და დამხმარე სამედიცინო პერსონალის მიერ, ხორციელდება აუცილებლობის შემთხვევაში, ან თხოვნის საპასუხოდ;

ბ) რამდენადაც სამედიცინო პერსონალი ჩვეულებრივ მოწოდებულია მართლწესრიგის დაცვისაკენ, მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა უნდა გაითვალისწინონ ამ სამედიცინო პერსონალის წინადადებები, როდესაც ისინი რეკომენდაციას იძლევიან დაკავებული პირისათვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის თაობაზე სამედიცინო იმ პერსონალის მეშვეობით ან კონსულტაციით, რომელიც არ მონაწილეობს მართლწესრიგის დაცვაში;

გ) იგულისხმება, რომ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარების გაწევას სამართალდარღვევათა მსხვერპლთა და სამართალდარღვევათა განხორციელების პროცესში მომხდარ უბედურ შემთხვევათა მსხვერპლთათვის.

მუხლი 7. მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა არ უნდა ჩაიდინონ კორუფციის რაიმე აქტები. ისინი მთელი ძალით ეწინააღმდეგებიან ასეთ აქტებს და იბრძვიან მათ წინააღმდეგ.

კომენტარები:

ა) კორუფციის ნებისმიერი აქტი, ისევე როგორც ძალაუფლების ბოროტად სხვა ნებისმიერი გამოყენება, შეუთავსებელია მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა სამსახურებრივ სტატუსთან. მართლწესრიგის დამცველი ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა კორუფციის აქტი, კანონი გამოყენებული უნდა იყოს სრულად, რამეთუ მთავრობა არ უნდა მოელოდეს მოქალაქეთა მიერ მართლწესრიგის დაცვას. თუ მათ არ შეუძლიათ ან არ სურთ კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა საკუთარი თანამდებობის პირების მიერ და მათი საკუთარი დაწესებულებების ფარგლებში;

ბ) თუმცა, კორუფციის ცნება უნდა განისაზღვრებოდეს ეროვნული სამართლის შესაბამისად, უნდა გაიგებოდეს, რომ იგი მოიცავს რაიმე მოქმედების ჩადენას ან არ ჩადენას მოვალეობების შესრულების დროს ან ამ მოვალეობათა ძიებით მოთხოვნილ ან მიღებულ საჩუქრებს, დაპირებებს ან სტიმულებს ან ცათი უკანონო მიღების ყოველ შემთხვევას, როცა ადგილი აქვს ასეთ მოქმედებას ან უმოქმედობას;

გ) ტერმინი „კორუფციის აქტი“, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, გაგებულ უნდა იქნას, როგორც მოსყიდვის მცდელობის მომცველი.

მუხლი 8. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები პატივს სცენ კანონს და წინამდებარე კოდექსს. თავიანთი ყველა შესაძლებლობების გამოყენებით ისინი თავიდან იცილებენ და ეწინააღმდეგებიან ყველა ამგვარ დარღვევას.

მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა, რომელთაც აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ ადგილი ჰქონდა ან მომავალში ექნება ამ კოდექსის დარღვევას, აცნობებენ მომხდარის შესახებ ზემდგომ ინსტანციებს და აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა შესაბამის ინსტანციებს ან ორგანოებს, რომელთაც აქვთ ზედამხედველობის ან სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება.

კომენტარები:

ა) წინამდებარე კოდექსი სრულდება ყველა შემთხვევაში, როდესაც იგი ერთვება ეროვნულ კანონმდებლობაში ან პრაქტიკაში. თუ კანონმდებლობა ან პრაქტიკა ითვალისწინებს უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე ეს კოდექსი, დაცულ უნდა იქნას პირველი;

ბ) წინამდებარე მუხლდ მიმართულია წინასწარობის შენარჩუნებისაკენ, ერთი მხრივ, დაწესებულებებში შიდა დისციპლინის აუცილებლობას, რაზეც არის, ძირითადად, დამოკიდებული საზოგადოების უსაფრთხოება, და, მეორე მხრივ, ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევებთან ბრძოლის აუცილებლობას შორის. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები აცნობებენ დარღვევების შესახებ შესაბამის ინსტანციებს და ახორციელებენ სხვა სამართლებრივ მოქმედებებს ინსტანციების ფარგლებს გარეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა სხვა საშუალება ამოწურული ან არაეფექტიანია. იგულისხ-



მება, რომ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები არ ექვემდებარებიან დასჯის ადმინისტრაციულ და სხვა სახის ზომებს იმის გამო, რომ მათ აცნობეს ამ კოდექსის უკვე არსებული დარღვევების ან ასეთის შესაძლებლობის შესახებ;

გ) „შესაბამისი ინსტანციები ან ორგანოები, რომელთაც გააჩნიათ ზედამხედველობისა და სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება“ნი, ნიშნავს ნებისმიერ დაწესებულებას ან ორგანოს, რომელიც ეროვნული სამართლის საფუძველზე არსებობს როგორც მართლწესრიგის დამცავი დაწესებულების ფარგლებში, ასევე მისგან დამოუკიდებლად, სტატუტური, ჩვეულებითი ან სხვა უფლებამოსილებებით, განიხილოს საჩივრები და პრეტენზიები, რომლებიც წარმოიშობა წინამდებარე კოდექსის მოქმედების სფეროში დარღვევებთან დაკავშირებით;

დ) მთელ რიგ ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შესაძლოა განიხილებოდეს როგორც დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ საჩივრების განხილვის ფუნქციებს, მსგავსად აღწერილისა გ ქვეპუნქტში, ზეწოთ. ამიტომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს შეუძლიათ დასაბუთებულად, უკანასკნელი საშუალების სახით და საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ჩვეულებების, აგრეთვე, ამ კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, ამ დარღვევებზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით;

ე) მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები, რომლებიც იცავენ ამ კოდექსის დუბლებებს, იმსახურებენ პატივისცემას, სრულ მხარდაჭერასა და თანამშრომლობას საზოგადოებისა და მართლწესრიგის დამცავ დაწესებულებების მხრიდან, რომლებშიც მსახურობენ ისინი, აგრეთვე იმ პირთაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან მართლწესრიგის დაცვით.

თარგმანი შესრულებულია ავთენტური რუსული ტექსტიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის მიერ.

სახელმძღვანელო პრინციპები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის ეფექტიანი განხორციელებისათვის

დავითიძეაშვილია გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1989 წლის 24 მაისს

ეკონომიკური და სოციალური საბჭო,

მიუთითებს, რა აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან შესახებ, გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუციაზე, რომლითაც ასამბლეამ მიიღო მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი,

მიუთითებს რა აგრეთვე, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაერო-ს მე-7 კონგრესის მე-14 რეზოლუციაზე, რომელშიც კონგრესმა სხვასთან ერთად ყურადღება მიაქცია სახელმძღვანელო პრინციპებს, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის უფრო ეფექტიანი განხორციელებისათვის, რომელიც შემუ-

შაგვებულ იქნა თემაზე „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში გაერო-ს სტანდარტებისა და ნორმების შემუშავებისა და გამოყენების შესახებ“ მე-7 კონგრესის სარეგიონთაშორისო მოსამზადებელ თათბირზე ვარნაში (იტალია), 1984 წელს,

ითვალისწინებს რა, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1986 წლის 21 მაისის IX რეზოლუციის 188/10 განყოფილებას, რომელშიც საბჭო სთხოვდა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის კომიტეტს, მის მე-10 სესიაზე განხილული ყოფილიყო კოდექსის უფრო ეფექტიანი განხორციელების ღონისძიებების საკითხი, ამ საკითხზე სახელმძღვანელო მითითებების შუქზე, რომელიც გააკეთა მე-7 კონგრესმა,

განიხილა რა, დანაშაულის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის კომიტეტის მოხსენება მისი მე-10 სესიის მუშაობის შესახებ,

ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით, ხელი შეუწყობს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის განხორციელებას,

1. ამტკიცებს სახელმძღვანელო პრინციპებს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის ეფექტიანი განხორციელებისათვის, რომლებიც რეკომენდირებულნი იქნენ დანაშაულის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის კომიტეტის მიერ და რომელსაც შეიცავს ამ რეზოლუციის დანართი;

2. სთავაზობს გაერო-ს დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის კონგრესს და მის მოსამზადებელ თათბირებს შეისწავლონ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების დაცვის მხარდაჭერის გზები და საშუალებები;

მე-15 კლენარული სხდომა,
1989 წლის 24 მაისი.

დანართი

სახელმძღვანელო პრინციპები

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის ეფექტიანი განხორციელებისათვის

1. კოდექსის გამოყენება

ა. ზოგადი პრინციპები.

1. კოდექსში შესული პრინციპები, აისახებიან ეროვნულ კანონმდებლობაში და გამოიყენებიან პრაქტიკაში;

2. კოდექსის პირველ მუხლში და მის კომენტარებში ასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, განსაზღვრებას „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები“ ეძლევა რაც შეიძლება ფართო განმარტება;

3. კოდექსი გამოიყენება მართლწესრიგის დამცველი ყველა თანამდებობის პირთა მიმართ, მიუხედავად მათი საუწყებო კუთვნილებისა;

4. მთავრობა იღებს აუცილებელ ზომებს, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირებისათვის ძირითადი სწავლების მსვლელობისას და გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ყველა შემდგომ კურსებზე ეროვნული კანონმდებლობის კოდექსთან დაკავშირებული დებულებების, აგრეთვე ადამიანის

ბ. სპეციალური საკითხები.

1. **შერჩევა, სწავლება და მომზადება.** პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა შერჩევას, სწავლებასა და მომზადებას. მთავრობა ხელს უწყობს აგრეთვე სწავლებასა და მომზადებას გამოცდილების ნაყოფიერი გაცვლით რევიონალურ და სარევიონთაშორისო ღონეებზე;

2. **ანაზღაურება და სამუშაო პირობები.** მართლწესრიგის დამცველ ყველა თანამდებობის პირებს ეძლევათ შესაბამისი ანაზღაურება და ექმნებათ საჭირო სამუშაო პირობები;

3. **დისციპლინა და ზედამხედველობა.** იქმნება ეფექტიანი მექანიზმები შიდა დისციპლინისა და გარე კონტროლის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ზედამხედველობის განხორციელებისათვის მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიმართ;

4. **საზოგადოების წარმომადგენელთა საჩივრები.** გათვალისწინებულია საგანგებო დებულებები ზემოხსენებულ მე-3 პუნქტში ნახსენები მექანიზმების ფარგლებში, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებზე საჩივრების მიღებისა და განხილვისათვის, ხოლო ასეთი დებულებების განხორციელების შესახებ ეცნობება საზოგადოებას.

II. კოდექსის განხორციელება

ა. ეროვნულ ღონეზე

1. მართლწესრიგის დამცველ ყველა თანამდებობის პირებს და სხვა შესაბამის კომპეტენტურ ხელისუფალთ უნდა ჰქონდეთ კოდექსი მშობლიურ ენაზე;

2. მთავრობები ავრცელებენ კოდექსს და მის ძალაში შემყვან ყველა შიდა კანონებს, რათა უზრუნველყონ მის მიერ მოცემული პრინციპებისა და უფლებების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის;

3. იმ ღონისძიებების განხილვისას, რომლებიც მიმართულია კოდექსის გამოყენების ხელშეწყობისაკენ, მთავრობები ორგანიზებას უკეთებენ სიმპოზიუმებს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა როლისა და ფუნქციის შესახებ, ადამიანის უფლებებისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების საქმეში.

ბ. საერთაშორისო ღონეზე

1. მთავრობები პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ 5 წელიწადში ერთისა ცნობებენ გენერალურ მდივანს კოდექსის განხორციელების ხარისხის შესახებ;

2. გენერალური მდივანი ამზადებს პერიოდულ მოხსენებებს იმ პროგრესის შესახებ, რომელიც მიღწეულია კოდექსის განხორციელებაში, სპეციალური დაწესებულებების, შესაბამისი სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების შენიშვნებისა და თანამშრომლობის გათვალისწინებით, რომლებსაც აქვთ საკონსულტაციო სტატუსი ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან;

20944





3. ზემოხსენებულ მოხსენებათა ნაწილის სახით მთავრობები უზარუნან გენერალურ მდივანს კანონების, დადგენილებების და ადმინისტრაციული ინსტრუქციების იმ ნაწილების პირებს, რომლებიც ეხება კოდექსის გამოყენებას, ნებისმიერ სხვა ინფორმაციას მისი განხორციელების შესახებ და აგრეთვე, ძონაცემებს მის გამოყენებაში შესაძლებელი სირთულეების შესახებ;

4. გენერალური მდივანი ზემოხსენებულ მოხსენებებს განსახილველად და აუცილებლობის შემთხვევაში შემდგომი ზომების მისაღებად წარუდგენს დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს;

5. გენერალური მდივანი გაერო-ს ყველა ოფიციალურ ენაზე ავრცელებს კოდექსსა და წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებს ყველა სახელმწიფოებსა და შესაბამის სამთავრობათშორისო და არასამთავრობათშორისო და ორგანიზაციებს შორის;

6. თავისი საკონსულტაციო მომსახურების, განვითარებისა და ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გაერო:

ა) მთავრობათა თხოვნის შესაბამისად წარუდგენს ექსპერტების, რეგიონალური და სარეგიონთაშორისო კონსულტანტების მომსახურებას კოდექსის დებულებათა განხორციელებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით;

ბ) ხელს უწყობს ეროვნული და რეგიონალური სასწავლო სემინარებისა და სხვა თათბირების ორგანიზაციასა და ჩატარებას, რომლებიც ეხება კოდექსს, და აგრეთვე, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა როლსა და ფუნქციებს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების საკითხში;

7) გაერო-ს რეგიონალური ინსტიტუტებისათვის რეკომენდირებულია ჩართონ სემინარები და სასწავლო კურსები კოდექსის შესახებ, და აგრეთვე ჩართონ გამოკვლევები კოდექსის განხორციელების ხარისხის დასადგენად რეგიონების ქვეყნებში და მასთან დაკავშირებით წარმოშობილ სირთულეებზე.

Handwritten signature

ზურაბ დგაბუაძე

სასამართლო რეფორმა და სასამართლომდე სამართლმსაჯულების პრობლემები

დემოკრატიულ სახელმწიფოში მართლმსაჯულების განხორციელება წარმოუდგენელია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გარეშე. ეს უმთავრესი პრინციპი გახლავთ ძლიერი სასამართლო ხელისუფლების ქვეყნისთვის. იგი გულისხმობს: თანაბარი ძალის დამოუკიდებელი ბრალდებისა და დაცვის ინსტიტუტებზე დაფუძნებულ მართლმსაჯულების სასახლის შექმნას; მხარეთა შეჯიბრებითობისათვის სრული თავისუფლების მინიჭებას; მართლმსაჯულებისათვის ძირითადი ამოცანის დაკისრებას, რაც ორი საპირისპირო კუთხიდან თემიდას სასწორზე დადებულ არგუმენტთა (მტკიცებულებათა) შეფასებასა და კონკრეტულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ზღვომარეობს. ამჟამად არსებულ კანონთა პროექტების პაკეტში სასამართლო რეფორმის შესახებ, აღნიშნული პრინციპი უკვე დარღვეულია. სხვადასხვა ქვეყნის მოდელების უსისტემო აღრევით უგულებელყოფილია დემოკრატიული მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპები, რის შედეგაც სახეზეა ახალი, განსხვავებული მოდელი, სადაც არსებობს:

1. ორი გამოძიება (მოკვლევა, გამოძიება), როგორც საბჭოური სისტემის ელემენტი;

2. ერთიანი ცენტრალიზებული დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო (ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციების გარეშე);

3. სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება — პროკურატურა, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას და ზედამხედველობას უწყვეს მხოლოდ მოკვლევის ორგანოს (პროკურატურა თითქმის ყოველ ქვეყანაში აღმასრულებელ შტოს განეკუთვნება);

4. სასამართლო, როგორც მართლმსაჯულებისა და ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედებებზე სანქციების გამცემი ორგანო (დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა და ა. შ.) (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი მოსამართლეები, ამ შემთხვევაში ამერიკელებისაგან განსხვავებით, პირის ბრალეულობის საკითხსაც გადაწყვეტენ);

5. თანამდებობის პირებზე დამოკიდებული და შეზღუდული უფლებების მქონე ადვოკატი (დამცველი).

ასეთ შემთხვევაში სასამართლო გახდება უაღრესად ბიუროკრატიული და წესებულება აღჭურვილი ბრალდების ფუნქციით.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ კომპიტენტურ პირს, უწყებრივი პოზიციებიდან გამომდინარე თუ სხვა მიზეზთა გამო, ხელისუფლების დანაწილება ესმით, როგორც ხელისუფლების სამი შტოს ერთმანეთისაგან აბსოლუტური დამოუკიდებლობა (იზოლაცია). მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არის ურთიერთშეკვებისა და გამიჯვნის ფაქიზი, ზოგიერთი პრინციპი, სადაც დაცულია სახელმწიფოს, როგორც ერთიანი ორგანიზმის არსებობა. მისი უფრო ზუსტი ისტყვი ჟორმ უი რ ა ალბათ ხელი-

სუფლების ბალანსირებაა, რაც საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა (ჩაურევლობას) და დამოკიდებულების (კონტროლის) ზომიერ შეზავებაში მდგომარეობს.

ცნობილი ფაქტია, რომ შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის მოქმედება საბჭოურ (ტოტალიტარულ) სასამართლო სისტემაში, სწორედ სასამართლომდე სამართალწარმოებისას, ე. ი. წინასწარ გამოძიებაში ირღვეოდა. შევეცდებით სასამართლო რეფორმის შესახებ არსებულ კანონპროექტთა პაკეტი ამ კუთხით გავაშუქოთ.

სასამართლო რეფორმის შესახებ კანონპროექტთა პაკეტში განსაკუთრებულ დავას გამოძიების საკითხი იწვევს. უკანასკნელ პერიოდში ფართო გავრცელება პოვა გამოძიების, როგორც ცალკე დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბების შესახებ თვალსაზრისმა. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია „წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ“ არსებული კანონპროექტი. თავად ის ფაქტი, რომ გამოძიების ორგანოები და გამოძიება საბჭოურ სინამდვილეში (კანონმდებლობაში და პრაქტიკაში) დაკნინებული იყო, ამჟამად კი არის ქმედითი მცდელობა მისი რეალური ავტორიტეტის ამადლებისათვის, მისასაღმებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შეთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი გახსნისა და გამოძიების ერთ მთლიან პროცესად წარმოდგენის გაუცნობიერებლობასთან, რაც გავლენას ახდენს პოლიციის (მოკვლევის ორგანოს), გამოძიების, პროკურატურის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ მოწყობაზე.

დასმული პრობლემების მართებულად გადაწყვეტისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა მოიაზრება თვით გამოძიების ცნებაში. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი ამ თვალსაზრისით (ჩვენთან იგი ამჟამად თითქმის უცვლელად მოქმედებს), მკვეთრად გამოიჯნავს გამოძიებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისაგან. აღნიშნული გარემოება აისახება ამ ორგანოთა ორგანიზაციულ მოწყობაშიც. მაშასადამე, სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზაცია და სტრუქტურული მოწყობა პირდაპირ კავშირშია ოპერატიულ-სამძებრო (მოკვლევის) და საგამოძიებო ფუნქციების დაზუსტებასა და ურთიერთდამოკიდებულებასთან. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო დასკვნების გაკეთება შეგვიძლია ოქტომბრის რეკლუციიდან დაწყებული საბჭოთა კავშირის დაშლამდე პერიოდში სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების თავისუბურებათა და ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. დავინახავთ, რომ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობა საბჭოურ საპროცესო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ყოველთვის გამიჯნული იყო. ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან კი, გამოძიების ავტორიტეტის ამადლების მიზნით, მრავალგზის ჰქონდა ადგილი განზრახვას, რათა პროკურატურის უწყებაში შეექმნათ ერთიანი საგამოძიებო სამსახური, რაც არარეალური აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, ამ პროცესს ხელს უშლიდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და გამოძიების ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნა, რაც მყარად დამკვიდრდა საბჭოურ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ყოველივე ამან კი ბუნებრივია დაამკვიდრა გამოძიების ცნების თავისებური გაგება. ამის საწინააღმდეგოდ, დასავლეთში, კერძოდ აშშ-ში გამოძიება გულისხმობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასაც, შესაბამისად არის აგებული სამართალდამცავი ორგანოებიც. მაგ., აშშ-ში გამოძიების ფედერალური ბიუროს სახით არსებობს უმძლავრესი ცენტრალიზებული საგამოძიებო აპარატი, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ასევე არის სისხლის სამართლის სამძებრო ორგანო, ხოლო პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს

ფართო ფუნქციაა გამოძიება. ხსენებულ ორ ორგანოს შორის კომპეტენციათა კამიჯვნა ხდება არა ფუნქციების მიხედვით, არამედ დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, ე. ი. დანაშაულის დინამიურობის, მასშტაბურობის, სირთული-სა და სხვა მონაცემების მიხედვით. გამოძიების ფედერალური ბიურო იძიებს ორასამდე სახის დანაშაულს, ე. ი. ჩვენეული გაგებით ამ საქმეებზე იგი ასრულებს როგორც ოპერატიულ-სამძებრო, ასევე საგამოძიებო ფუნქციებს, რითაც უზრუნველყოფს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან და უწყვეტ პროცესს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ი გამოძიების ფუნქცია მრავალ უწყებაშია გაბნეული. მაგ, გამოძიებას ასევე აწარმოებს პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო, საფოსტო სამინისტროს საინსპექტორო სამსახური და ა. შ., გავრცელებულია კერძო გამოძიება, რომელსაც კერძო დეტექტივი და ადვოკატურა აწარმოებს.

დიდ ბრიტანეთში გამოძიების ძირითადი ორგანოა პოლიცია, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს შს სამინისტრო. აქ პოლიცია არსებობს დეპარტამენტის სახით, პოლიციის თანამშრომლები დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხს, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმართვის შესახებ. წინასწარი გამოძიების დაწყებისა და წარმოების უფლება აქვს ყოველ დაზარალებულ პირს, მის დამცველს, დაზარალებულის დავალებით კერძო პოლიციას, ცალკეულ მძიმე დანაშაულის საქმეებზე — საჯარო დევნის დირექტორს. პოლიცია აწარმოებს საგამოძიებო მოქმედებასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, აგროვებს აუცილებელ მტკიცებულებებს და გადასცემს საქმეს სასამართლოში. სასამართლოში პოლიციელები გამოდიან ბრალდების მოწმედ და სასამართლოში იძლევიან აუცილებელ ჩვენებებს.

საფრანგეთში წინასწარი გამოძიება ფორმალურად (კანონით) სასამართლო საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და ზორციელდება სასამართლო გამოძიებლების მიერ, პრაქტიკულად სასამართლო გამოძიებელი პროკურორის წინადადებით იშვიათ შემთხვევაში აწარმოებს საგამოძიებო მოქმედებებს, ჩვეულებრივ სამართალდარღვევებს მთლიანად პოლიცია იძიებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის № 163 მუხლის თანახმად, პოლიციის მოხელეებმა და მომსახურე პერსონალმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულის გამოძიება, არ უნდა დაუშვან კანონით გათვალისწინებული მითითებების შესრულების დაყოვნება, რამაც შეიძლება საქმის გამოძიებას სირთულეები შეუქმნას, პოლიციის მოხელენი გამოძიებულ საქმეს დაუყოვნებლივ გადაუგზავნიან პროკურატურას.

თუ აღნიშნული საქმის გარჩევა მოითხოვს სასწრაფო სასამართლო მოქმედებას, მაშინ საქმე შეიძლება უშუალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს (რაიონულს) გადაეგზავნოს.

საკითხისადმი განსაკუთრებით ფრთხილი დამოკიდებულება გვჭირდება მაშინ, როდესაც ვქმნით ერთიან დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოსა და სხვა უწყებებს ვართმევთ ამ ფუნქციას, როდესაც მკვეთრად ვიძიებთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას წინასწარი გამოძიებისაგან და შესაბამისად ვაზღვნთ სამართალდამცავ უწყებათა ორგანიზებულ მოწყობას. ხომ არ გამოიწვევს ყოველივე ეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პროცესის გაუმართლებელ გახლეჩვა-დანაწევრებას? ხომ არ აღმოჩნდება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეს ორი მძლავრი საშუალება საყრდენ გამოცლილი და ერთმანეთს დაპირისპირებული? ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო ხომ არ გახდება კიდევ ერთი ფორმალურად დიდი უფლებამოსილების, ფაქტობრი-

ვად კი ძალაწართმეული და ოპერატიულ-სამძებრო (მოკვლევის) სამსახურზე კიდევ უფრო დამოუკიდებელი უწყება. ნუთუ არ კმარა საბჭოური გამოცდილება, როდესაც ისეთ მძლავრ ორგანოშიც კი, როგორც იყო პროკურატურა, ვერ მონგრებდა ერთიანი საგამომიებო აპარატის შექმნა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო (მოკვლევის) სამსახურები ფაქტობრივად სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილს იძიებდნენ.

ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო ორგანოების ერთ უწყებად გაერთიანებამ (შერწყმა) შესაძლოა ზოგიერთს გაუჩინოს შიში ამ ორგანოს თანამშრომელთა მიერ მოსალოდნელი თვითნებობისა, რაც, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია. წარსულის გამოცდილება მოწმობს, რომ მასიური რეპრესიები და ადამიანის უფლებათა უზემი დარღვევები, ასეთი უფლებებით აღჭურვილი ორგანოს გარეშეც ფართოდ იყო გავრცელებული, ვინაიდან არ არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის რაიმე მექანიზმი. მაგალითად, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების შესახებ“ კანონმა მხოლოდ 1958 წელს მიანიჭა ბრალდებულის დამცველს უფლება მონაწილეობა წიგლო წინასწარ გამოძიებაში, ძირითადად, იმ მომენტიდან, როდესაც გამომძიებელი ბრალდებულს გამოუცხადებდა წინასწარი გამოძიების დამთავრებას და წარუდგენდა გასაცნობად საქმის მასალებს. დღეისათვის კი კანონმდებელი ამ სწორე საკმარად შორს წავიდა და მომავალშიც დემოკრატიზაციის პროცესი უფრო გაღრმავდება. მოვლენები ცალმხრივად რომ არ განვითარდეს, აუცილებელია პარალელურად განხორციელდეს არსებითი ხასიათის ცვლილებები, განიხილოს ინსტიტუტის ახლებურად გააზრებისა და მისი როლის ამაღლების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავცდებით სხვა ქვეყნების, თუნდაც აშშ-ს გამოცდილებას, სადაც როგორც აღვნიშნეთ, გამოძიება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისაგან განცალკევებულად არ არსებობს, რითაც ბუნებრივია, თავისუფლების ქვეყანას არავითარი ჩრდილი არ ადგება.

დანაშაული თავისი ბუნებით არის ერთიანი პროცესი, რომელსაც სჩადის კონკრეტული პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი. ე. ი. დანაშაული ერთი მთლიანი მოვლენაა, რომელსაც ერთი სუბიექტი ან სუბიექტთა წრე გააჩნია. თუ ცივილიზებული მსოფლიოსათვის, ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, ყველაზე პრაქტიკულ და დემოკრატიულ ფორმად აღიარებულია პრინციპზე აგებული სისხლის სამართლის პროცესი და შესაბამისად ერთმანეთთან დაპირისპირებული ბრალდების და დაცვის ინსტიტუტებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სასახლე. სავსებით ანომალიურად მივიჩნევთ სასამართლო პროცესამდე დანაშაულის გახსნისა და გამოძიების დონისძიებათა დანაწევრებას, რაც ამ ორგანოთა ორგანიზაციულ მოწყობაში ვლინდება. ასეთი სახის დანაწილება ბუნებრივად იწვევს პასუხისმგებლობის არასასურველ დაქუცმაცებასაც, ხელს უშლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ მივიჩნევთ, რომ საგამომიებო ორგანო ცალკე უწყების სახით არსებობდეს, მაშინ აუცილებელია მასვე ჰქონდეს ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციაც, ვინაიდან დანაშაულის გახსნა და გამოძიება არის ერთ-ერთი უმთავრესი საპოლიციო ფუნქცია. გამოძიება უნდა დარჩეს პოლიციის კომპეტენციაშიც, ე. ი. აუცილებელია მიხედოს ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო ფუნქციათა შერწყმა და არა მათი დანაწევრება. ამ ორ უწყებას შორის კი უფლებამოსილებათა გამიჯვნა განხორციელდეს დანაშაულის დინამიურობის, მასშტაბურობის და სიძნელის მიხედვით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამართალწარმოების დემოკრატიული პროცესი კვლავ გაღრმავდება. მისი ათვლის წერტილი უნდა გახდეს შეჯიბრებითობის პრინციპი. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით აუცილებელია კიდევ უფრო გაიზარდოს ადვოკატის ფუნქცია. მართოდენ წინასწარი გამოძიების ადრეულ სტადიაზე დამცველის დაშვებით ეს პრობლემა არ გადაწყდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მიჩნევა პროცესის თანაბარუფლებიან მხარედ კვლავ ფიქციად ღარჩება.

შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფა წითელი ზოლივით გასდევდა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესს, რაც თავს იჩენდა ე. წ. „შორეული“ პროცესების არსებობით. ე. ი. როდესაც სასამართლო პროცესი უმთავრესად აგებული იყო შეჯიბრებითობის პრინციპზე, ხოლო სასამართლომდე წარბოება სამძებრო (ინკვიზიციურ) საწყისებს ემყარებოდა. შეჯიბრებითობის პრინციპის იგნორირება, განსაკუთრებით ტოტალიტარულ სახელმწიფოში, პიროვნების უფლებასთან სახელმწიფო ინტერესების პრიმატში ვლინდება, რაც სასამართლოში საჯარო და კერძო საწყისების თანაფარდობის აშკარა დარღვევაზე მიგვანიშნებს. სისხლის სამართლის პროცესში სამძებრო საწყისების ლიკვიდაცია მოითხოვს არა მარტო იმ ფუნქციების განაწილებას, რომელთაც ასრულებს მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, დამცველი (ადვოკატი), არამედ შეხედულებების შეცვლას პიროვნების, კერძოდ, ბრალდებულის, ეჭვმიტანილის როგორც გამოკვლევის ობიექტის მიმართ. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბრალდებულის თუნდაც ფართო უფლებით აღჭურვა, რომელთა რეალიზაცია საბოლოოდ გამომძიებელსა და პროკურორზეა დამოკიდებული, არ აქცევს მას სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სრულფასოვან სუბიექტად. ტექნიკებულებების შეგროვების, წარმოდგენისა და გამოკვლევის უფლების ძინიჭებით ადვოკატმა უნდა შეიძინოს უფრო მაღალი სტატუსი, გახდეს არსებითად თავისებური „გამომძიებელი საზოგადოებიდან“. ეს იქნება ერთგვარი კონტროლი საზოგადოების (მოქალაქის) მხრივ სახელმწიფოზე. ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებების შეკრების ძირითადი სიმძიმე პროცესში მონაწილე მხარეებზე გადავა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ფაქტობრივად კვლავ შეასრულებს ბრალმდებლის ფუნქციას, რაც დამახასიათებელია ინკვიზიციური სამძებრო პროცესისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ანალოგიურად წყდება საკითხი დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც.

მიგვანჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ასეთი სახით გარდაქმნა გაზრდის სასამართლოს შესაძლებლობას, როლსა და ავტორიტეტს, რადგანაც დაპირისპირებული მხარეების (ბრალდებისა და დაცვის) მიერ თანაბარი უფლებებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება, თითქმის გამორიცხავს უკანონო ბრალდებათა შესაძლებლობას, ხოლო პიროვნებას უზრუნველყოფს რეალური დაცვის გარანტიით. მოკვლევის (ოპერატიულ-სამძებრო) და გამოძიების ფუნქციათა შერწყმის პარალელურად, დამცველის (ადვოკატის) როლის ამაღლება და გაფართოება გაზრდის თვით გამომძიებლის, ბრალმდებლის პროფესიულ დონესაც, რაც საბოლოო ჯამში, არსებითად შეუწყობს ზელს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

დადო ჭანტური

პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში

თანამედროვე სამართალი არ სჯერდება მხოლოდ ადამიანის ფიზიკურად ხედშესახები სიკეთეების დაცვას. მართალია, სამოქალაქო სამართალში გადაჭწყვეტ როლს ქონება და ქონებრივი სიკეთეები ასრულებენ ისტორიულად, მაგრამ იმ უდიდესმა სოციალურმა გარდაქმნებმა, რომლებიც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საზოგადოებაში მოხდა, წარუშლელი კვალი სამოქალაქო სამართალშიც დატოვეს. ადამიანის, როგორც არა მხოლოდ სიმდიდრის შემქმნელი არსების, არამედ ღირსების მქონე პიროვნებად გაცნობიერების აუცილებლობა უღვეს საფუძვლად პირადი არაქონებრივი უფლებების ჯერ აღიარებას, ხოლო შემდეგ კი მის დაცვას სამოქალაქო სამართალში.

ისტორიულად მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ წარმოიშვა როგორც მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების შესახებ. მის წარმოშობას დონედუსის სახელს უკავშირებენ, რომელმაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში რომის სამართლის კომენტარებისას სამართლებრივი დაცვის ღირს სიკეთედ აღიარა სიცოცხლე, ფიზიკური ხედშეუხებლობა, თავისუფლება და პრესტიჟი¹. დონედუსის ამ შეხედულებას XIX საუკუნის სამართლისმცოდნეობამ დიდი ყურადღება დაუთმო და იმ ეპოქის ცნობილი იურისტების დისკუსიის საგანი გახდა. მაგალითად, სავინი წინააღმდეგი იყო, რომ სამოქალაქო სამართალს ასეთი უფლება ცალკე განმეტკიცებინა. ამას იგი იმით ასაბუთებდა, რომ შეუძლებელია ადამიანის მიერ საკუთარი სხეულისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების აღიარება². სავინის ეპოქის მეორე დიდი თანამოღწეულები პუსტა საკუთარ პიროვნებაზე უფლებას შესაძლებლად კიიჩნევდა. ამ იდეას განამტკიცებდა დერნბურგიც პანდექტების ცნობილ სახელმძღვანელოში³. პირადი არაქონებ-

რივი უფლებების პირველი დეფინიცია მაინც გირკეს ეკუთვნის, რომლის თანახმადაც პირადია „უფლებები, რომლებიც მის სუბიექტს უზრუნველყოფენ საკუთარი პირადი სფეროების ამოთუ იმ ნაწილზე ბატონობას“⁴. პირადი არაქონებრივი უფლების, როგორც საკუთარ პიროვნებაზე უფლების გაგება ერთადერთი არ ყოფილა XIX საუკუნეში. არსებობდა შეხედულებაც, რომელიც პირად უფლებებში ხედავდა საკუთარი ინდივიდუალობის აღიარებისა და პატივისცემის უფლებას საზოგადოებისაგან. ამ შეხედულების გაძლიერება არსებითად გამოიწვია საავტორო სამართლის გაძლიერებამ. მისი არსებობა უკავშირდება გარეისის სახელს, რომელმაც პირადი უფლებების დეფინიციაც კი ჩამოაყალიბა: „სამართლის სუბიექტს აქვს თავისი ინდივიდუალობის, როგორც ასეთის აღიარების უფლება“⁵.

როგორც ჩანს, მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მტკადა ახალგაზრდაა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ XIX საუკუნის სამოქალაქო სამართლის კოდეფიკაციებში მან ასახვა ვერ პოვა. გირკეს დაფინებული მოთხოვნის მიუხედავად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვამ ასახვა მაინც ვერ პოვა. იგი მხოლოდ სახელის დაცვით შემოიფარგლა⁶. ამ მხრივ გამოწვევისა შვეიცარიის სამართალი, რომელიც პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურებას 1881 წლის ვადლებულით სამართალში ითვალისწინებდა (მუხლი 55) და ამ ტრადიციას არც ახალ კანონებში უღადატა⁷.

პირადი უფლებების დაცვის თაობაზე არსებული დიდი სამართლებრივი მასალა სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად ჩამოაყალიბდა

4. Gierke, Otto von, Deutsches Privatrecht. 1895. Bd. I, S. 207.

5. Gareis, Das juristische Wesen der Autorrechte sowie des Firmen- und Markenschutzes. BuschArch 35, 185 ff.

6. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §. 12.

7. შვეიცარიის ცივილური კოდექსის 28-ე მუხლი და შვეიცარიის ვალდებულებებით სამართლის 49-ე მუხლი.

1. Commentarii Iuris Civilis IV. 1590. Kap. 8 §. 2 u 3. ვუთითებ: Staudinger (Haber-mann/Weick. zu §. 1. Rn. 19.
2. Savigny, System des heutigen Römi-schen Rechts. I, 1840. S. 335 ff.
3. Dernburg, Heinrich, Pandekten I. 1912. 8. Aufl. §. 18.

და, უფრო ზუსტად კი, დელიტური სამართლის საფუძველზე. პირადი არაქონებრივი უფლებები აღიარებულ იქნა სამოქალაქო სამართლით დაცულ სიკეთედ და მისი ხელყოფა ჩათვალა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად, რომელიც წარმოშობს დელიტურ ვადლებულებას.

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული და სამეცნიერო ღიტირატურაში აღიარებული ზოგადი პირადი არაქონებრივი უფლებებიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა შეარჩია ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგადი უფლებებში მოათავსა იქ, სადაც ფიზიკური პირების სტატუსის განმტკიცებული. თუმცა აქ მოცემული ბევრი ნორმა თანაბრად შეეხება იურიდიულ პირებსაც. სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საფუძველია.

ვფიქრობ, რომ უაღრესად საინტერესო იქნება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის სფეროში.

**პირადი არაქონებრივი უფლებები
გერმანულ სამართალში**

როგორც უკვე ვთქვი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირადი არაქონებრივი უფლებებიდან მხოლოდ სახელის უფლებას განამტკიცებს. თუმცა ამ უფლების ხელყოფის შემდეგ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლო პრაქტიკის მიერ დელიტური სამართლის საფუძველზე კმაყოფილება — სახელიც განეკუთვნება დელიტური სამართლით დაცულ სიკეთეს⁸.

უაღრესად საინტერესოა გერმანული სასამართლო პრაქტიკის ვეგლუცია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში. მაგალითად, საკუთარ გამოსახულებაზე უფლების დაცვა გერმანიის სასამართლოებმა ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე უზრუნველყვეს. ასე დააკმაყოფილა გერმანიის საიმპერიო სასამართლო ბისმარკის შემკვიდრების სარჩელი ფოტოგრაფების წინააღმდეგ, რომლებმაც მადლად გადაიღეს ბისმარკის ცხედრის სურათი. კერძოდ, ფოტოგრაფები მადლად შეიპარნენ იმ ოთახში, სადაც ბისმარკის ცხედარი ესვენა და გადაუღეს მას ფოტოსურათები. შემკვიდრები მოითხოვედნენ ამ სურათების განადგურებას. საიმპერიო სასამართლომ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა შემდეგი მოტივებით: მოპასუხეებმა სურათები მოიპოვეს სხვის მფლობელობაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევით, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. *Condictio ob iniustam causam*-ის პოზიციიდან გამომდინარე ისინი ვადლებული არიანო გაანად-

გურონ ფოტოგადღებები⁹.

ამ და მისი ანალოგიური შემთხვევების გამო გამოწვეულ ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას შედეგად მოჰყვა 1907 წელს საავტორო კანონის მიღება, რომელს ტექსტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ „გამოსახულების“ გამოქვეყნება ან გავრცელება ანდა გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირის თანხმობით, ვისი გამოსახულება უნდა გამოქვეყნდეს, ან, თუ ის გარდაცვლილია, მისი მემკვიდრეების თანხმობით. გამოცემის ამ წესიდან შედეგებს იმ პირთა გამოსახულების გამოქვეყნება, რომლებიც, ე. წ. ისტორიულ პიროვნებებს განეკუთვნებიან. მათი გამოსახულების გამოქვეყნება შეიძლება ამ პირთა თანხმობის გარეშე მცირე გამოსავლების გათვალისწინებით¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის კანონი „გამოსახულებას“ ვიწრო გაგებით იცნებდა, 1920 წელს გერმანიის სასამართლომ მას უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭა და მის შინაარსში ჩააქსოვა პირის სახცენო, თეატრალური წარმოსახვაც. კერძოდ, სასამართლომ კაიზერ ვილჰელმ II-ის სახის სახცენო წარმოსახვა გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებად ჩათვალა და იმპერატორის მოთხოვნა დააკმაყოფილა¹¹.

„გამოსახულებისაგან“ განსხვავებით ადრეული სასამართლო პრაქტიკა კერძო წერილების გამოქვეყნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავდა, თუკი ეს წერილები ღიტირატურული ღირებულება იყო და შესაბამისად შეიძებოდა მათზე საავტორო სამართლის მოქმედების გავრცელებაც. მაგალითად, საიმპერიო სასამართლომ ამგვარად დაიცვა ნიცშეს წერილი გამოქვეყნებისაგან იმ მოტივით, რომ ისინი ხელოვნების ქმნილებებდ მიიჩნია¹², ხოლო რაც შეეხება რიხარდ ვაგნერის წერილებს, მათზე ასეთი დაცვა არ გავრცელდა იმ მოტივით რომ ეს წერილები საქმიანი სასიათის იყო¹³.

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხში გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ არსებითი გარდატეხა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოახდინა, როცა გერმანიის ძირითადმა კანონმა ადამიანის ღირსება ადამიანის უძირითადეს უფლებად აღიარა. სამოქალაქო სამართლისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება 1954 წელს, რომ-

- 9. RGZ 45, 170 ვუთითებ: Zweigert/Kötz. Einführung in die Rechtsvergleichung. 3. Aufl. S. 694.
- 10. Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 694.
- 11. KG JW 1928, 363. ვუთითებ: Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S. 694.
- 12. RGZ 69, 401.
- 13. RGZ 41, 43. ვუთითებ: Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S. 695.

8. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §. 82b.

ლითაც „ზოგადი პირადი უფლებები“ აღიარებულ იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §. 823-ის პირველი აბზაციით დაცულ სიკეთედ¹⁴. პრაქტიკულად, ეს ნიშნავდა პირადი არაქონებრივი უფლებებისთვის დედიქტური დაცვის უზრუნველყოფას. გადაწყვეტილება შეეხებოდა ჰიტლერის ეპოქის ეკონომიკის მინისტრს დოქტორ შახტს: ერთ-ერთმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც კრიტიკულად მოიხსენიება ჰიტლერის დროინდელი ეკონომიკის მინისტრის დოქტორ შახტის ქიერ მანკის დაუფლებება. შახტის ადვოკატმა წერილი მიასწრა ჟურნალს და მოუწოდა, რომ სტატიაში შესწორებები და დაზუსტებები შეეტანა. ჟურნალმა ადვოკატის წერილიც გამოაქვეყნა როგორც „მკითხველთა წერილი“ და ისეთი ფორმით, თითქოს მოსარჩელე (ადვოკატი) კერძო პირი ყოფილიყო და მხარი დაეჭირა შახტისთვის. მოსარჩელემ (ადვოკატმა) მოითხოვა, რომ მოპასუხეს (ჟურნალს) სათანადო პუბლიკაციით გამოეწოდებინა მკითხველთა შეცდომაში შეყვანა. პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა მოსარჩელის მოთხოვნა და მიუთითა, მოპასუხემ წერილის გამოქვეყნებით მოსარჩელე საზოგადოების თვალში დაამყარა და ამით ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. საკასაციო სასამართლომ კი წერილის გამოქვეყნებაში ვერაფერი ვერ დაინახა მოსარჩელის პიროვნების შეურაცხყოფილი და სარჩელი უარყო. ფედერალურმა სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ქმედების სისხლის-სამართლებრივ მხარეს და გერმანიის ძირითადი კანონის 1-ელ და მე-2 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართლის მიერაც უნდა იყოს დაცული. „შეცვლილი სახით წერილის გამოქვეყნება ხელყოფს მისი შემქმნელის პირად არაქონებრივ სფეროს, რადგან მისი მეშვეობით „პიროვნების მცდარი სურათი წარედგინება საზოგადოებას“¹⁵.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა მთელი ტალღა სასამართლო გადაწყვეტილებების, რომლებმაც პირადი არაქონებრივი უფლებები გერმანულ სამართალში სამოქალაქო სამართლებრივ დაცვის, კერძოდ, დედიქტურ სამართლებრივი დაცვის ობიექტად აქციეს. ამჟამად გერმანიის სამოქალაქო სამართალში პირად არაქონებრივ უფლებათა დარღვევების შემდეგ ჯგუფებს განასხვავებენ:

ა. ხელყოფად ითვლება გამოქვეყნება პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით, ასევე სცენისა და წიგნების გამოყენებით, ე. ი. ყველა იმ საშუალებით, რომლებიც გამოსადეგია იმისთვის რომ პიროვნების არასწორი სურათი შესთავაზოს საზოგადოებრიობას¹⁶. ამას განეკუთვნება

ასევე არასწორი ან ნაწყვეტი ციტატების ქვეყნება¹⁷

ბ. პირადი უფლებების დარღვევად ჩაითვლება ასევე ისეთი სურათების ან ფაქტების გამოქვეყნება, რომლებიც დაუშვებელი მეთოდებით ან ნებაართვის გარეშე იქნა მოპოვებული¹⁸

გ. ხელყოფად მიიჩნევა ფაქტების გამოქვეყნება იმ პირთა პირადი ცხოვრებიდან, რომლებიც არ განეკუთვნებიან ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა კატეგორიას¹⁹.

დ. სასამართლომ პირადი უფლების დარღვევად ჩათვალა ცნობილი პიროვნების სახელის ან სხვა ნიშნების გამოყენება პროექტების რეკლამისთვის მისი თანხმობის გარეშე²⁰.

ე. პირადი უფლებების დარღვევათა შემდეგი ჯგუფისთვის დამახასიათებელია: ესა თუ ის პირი სხვათა პირადი ან ინტიმური ცხოვრების შესახებ მონაცემებს უნებართვოდ გადასცემს ვიდეო სხვა პირებს, რომლებიც შემდგომ ამას იყენებენ მოცემულ პირთა წინააღმდეგ: კერძო მაგნიტოჩანაწერი²¹, ვიდეოკამერით დაკვირვება, კერძო საუბრების მოსმენა და ჩაწერა²², ასევე სამსახურბრივი საუბრების მოსმენა და ჩაწერა, კერძო წერილების გასწავლა უცხო პირების მიერ²³ და ა. შ.

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ლარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და ადრესატის ღირსების შელახვას იწვევს²⁴.

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ბოლო დროს გამოიკვეთა კიდევ ერთი ჯგუფი პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისა, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერულ ტექნიკასთან. კერძოდ, დაპარაკია ისეთ შემთხვევებზე, როცა ამა თუ იმ პიროვნების შესახებ კომპიუტერში შენახული ინფორმაცია უნებართვოდ გადაეცემა სხვა პირებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ჯგუფის სამართალდარღვევას უწოდებენ computer privacy-ს.

პრესა და პირადი უფლებების დარღვევა

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული შემთხვევები მაინც პრესაში გამოქვეყნების მეშვეობით ხდება. ამ დროს ხშირად კონფლიქტი წარმოიშობა პრესის საზო-

14. BGHZ 13, 334.
 15. Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S. 696-697.
 16. BGHZ 13, 334; BGH NJW 1966, 647; BGH NJW 1982, 635.

17. BVerfGE 54, 208 (217).
 18. BGHZ, 20, 345; BGHZ 73, 120; BGH NJW 1985, 1617.
 19. BGHZ, 39, 124; BGH NJW 1988, 1984.
 20. BGHZ, 26, 349; BGHZ, 30, 7, BGHZ 35, 363.
 21. BGHZ 27, 284.
 22. BGHZ, 73, 120.
 23. BVerfG NJW 1992, 815.
 24. BGHZ 45, 296, 310.

გადღობრივ ფუნქციასა და კერძო პირთა ინტერესებს შორის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საჭიროა დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების განხილვა უფრო კონკრეტულად.

თავისუფლად დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის მნიშვნელოვანი საზოგადო ფუნქციებია: ინფორმაციის მიწოდება, კრიტიკა და დიალოგი. ამ ფუნქციებიდან ყველაზე მეტი კონფლიქტი ინფორმაციის მიწოდებასა და კრიტიკას მოსდით კერძო პირებთან. ამ კონფლიქტების განხილვის დროს სასამართლო პრაქტიკა ყურადღებას აქცევს და მნიშვნელობას ანიჭებს ამ კერძო პირთა სტატუსს, უფრო ზუსტად იმას, თუ ვინ არიან ეს კერძო პირები და რამდენად აუცილებელია საზოგადოებისთვის მათი კრიტიკა. ამის მიხედვით გამოყოფენ ამ პირთა სამ კატეგორიას:

პირველ კატეგორიას განეკუთვნება, ე. წ. ისტორიული პიროვნებები, კერძოდ, წამყვანი პოლიტიკოსები და მათ გათანაბრებული საზოგადო მოღვაწეები. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ამ კატეგორიას მიაკუთვნა ბუნდესლიგის ფეხბურთელი²⁵. მათ შესახებ პრესას შეუძლია ყოველგვარი ინფორმაციისა და მონაცემების გამოქვეყნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისთვის. ასევე დაიშვება მათი თავისუფალი კრიტიკა. დასაშვებია მათი სურათების გამოქვეყნებაც ნებართვის გარეშე. თავისუფლების ზღვარი ამ დროს დევს შეურაცხყოფასა და ჟურნალისტის მიერ სინამდვილის, ჭეშმარიტების დადგენის მოვლეობას შორის²⁶.

მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან პირები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ხდებიან პრესის ობიექტი. მათ უნდა ითმინონ მათი პროფესიული საქმიანობის გამო პრესაში გამოქვეყნება და კრიტიკა. მაგალითად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ერთ-ერთი ბანკირის სარჩედი პრესის წინააღმდეგ, რომელმაც ბანკის თაღლითურ საქმიანობასთან დაკავშირებით ახსენა ამ ბანკირის სახელი²⁷. ამასთან, პრესას მოუთხოვება თავშეკავება ისეთი ფაქტებისა და მონაცემების გამოქვეყნებისაგან, რომლებსაც არაფეთარი კავშირი პროფესიულ საქმიანობასთან არა აქვთ²⁸.

მესამე კატეგორიას განეკუთვნებიან პირები, რომლებიც არც ისტორიული პიროვნებები არიან და არც პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით იკავებენ გამორჩეულ ადგილს. ამ კატეგორიის პირთა კერძო ცხოვრების საიდუმლოს დაცვაზე უფრო უპირატესობა ენიჭება მათი ცხოვრებიდან ფაქტების გამოქვეყნებასა და პუბლიკაციას. ეს უპირატესობა შეიძლება გამართლებული

ყოფიერების პოზიციებიდან, კერძოდ, ობიექტური ისტორიის წერა და ა. შ.²⁹.

მიუხედავად პირადი არაქონებრივი უფლებების ამ გერმანული კატალიგისა, სასამართლო პრაქტიკაში მაინც ძნელია იმის დადგენა, მართლა მოხდა პირადი უფლებების ხელყოფა თუ არა. სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის, კონსტიტუციური სასამართლო, პრესაში გამოქვეყნებას და სხვაგვარ პუბლიკაციას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგოდ, თუკი ამ პუბლიკაციაში კამათია არა საგნის გამო, არამედ მიზნად ისახავს მოსარჩელის პიროვნების დამცირებას³⁰.

თუ პირის პირადი არაქონებრივი უფლებებია ხელყოფილი, მას შეუძლია ხელმყოფს მოთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა და აუკანძლოს მას განმეორების ამგვარი პუბლიკაციები. გარდა ამისა, მოსარჩელის შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის აღმოფხვრა, რომელიც მას მიაღდა არასწორი მონაცემების გამოყენების შედეგად. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს დაეკისრება გამამართლებელი ინფორმაციის გამოქვეყნება იმ პირთა მიმართ, რომელთათვისაც იყო პირველი ინფორმაცია განკუთვნილი. სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოპასუხეს თავისი ხარჯით დაეკისროს ინფორმაციის გამოქვეყნება განსაზღვრულ გავრცელებაში³¹.

აღნიშნულის გარდა, ზოგ შემთხვევაში მოსარჩელის შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა არამატერიალურ ზიანზეა დაპირა. თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §. 253 ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ სხულის დაზიანებისათვის ითვადისწინებს, ფედერალური სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აკმაყოფილებს მოსარჩელეთა მოთხოვნებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, თუკი ხელყოფა „ძიძივა“ და გამოწვეულია ხელყოფის უბეში ბრალით³², როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ გადაწყვეტილებებით გერმანული სამართალი პრაქტიკულად დაუახლოვდა შვეიცარიის ვადებულებითი სამართლის 49-ე მუხლს, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში ითვადისწინებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას³³.

პირადი უფლებები ფრანგულ სამართალში

არც ფრანგული სამოქალაქო კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნორმებს პირადი უფლებების დაცვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ფრანგული

29. Staudinger /Habermann/ Weick. Vorb. zu §. 1, Rn. 27.
 30. BVerfGE 85, 1.
 31. BGHZ 99, 133.
 32. BGHZ 35, 363.
 33. Zweigert/Kötz, Einführung, 2. Aufl. S. 699.

25. BGH NJW 1979, 2203.
 26. BGH NJW 1987, 2241.
 27. OLG Stuttgart NJW 1967, 1422.
 28. BGHZ 39, 124.



სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის ახორციელებდა სამოქალაქო სამართლებრივი პირადი უფლებების დაცვას. ამას იგი დელიქტურ სამართალში არსებული ორი ზოგადი ნორმის (მუხლები 1382 და 1383) საფუძველზე უზრუნველყოფდა. კერძოდ, ამ ნორმათა თანახმად, ყველა ვადლებული ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მან მართლსაწინააღმდეგო ბრალული მოქმედებით (ფრანგულად *faute*- მიაყენა სხვას. ამიტომ 1970 წელს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხელში შეტანილ ცვლილებას რაიზე ახალი ამ სფეროსთვის არ შეუმატებია (ამ მუხლის თანახმად ყველას აქვს თავის კერძო სფეროს პატივისცემის უფლება). კანონში არ არის მოცემული განსხვავება ქონებრივ ზიანსა და არამატერიალურ ზიანს შორის. ამ უკანასკნელს ფრანგულად ეწოდება *dommage moral*. ადრეული წლების ფრანგულ სამართლის მეცნიერებაში იყო მცდელობა, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებლად მიეჩინათ ან შეეზღუდათ იგი მხოლოდ განსაზღვრული სახის ქმედებებით, მაგალითად, როცა არამატერიალური ზიანი გამოწვეული იყო სისხლის სამართლის დანაშაულით. ეს შეხედულებები უკვე დაძლეულია. სასამართლო პრაქტიკაც თანაბრად განიხილავს ზიანის ამ ორივე სახეს და სასამართლო გადაწყვეტილებებში არ უთითებს, თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი და რა ოდენობით — არამატერიალური ზიანი³⁴.

არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა გარემოებებზეა დამოკიდებული, მაგრამ ძალიან ხშირად იგი მეტად სიმბოლიურია. მაგალითად, ერთ საქმეში ქამრმა მოსთხოვა ცოლსა და მის საყვარელს იმ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ცოლქმრული ღალატის შედეგად. ვინაიდან საქმის გარემოებებში სასამართლომ მძიმე ხედილი ვერ დაინახა, ცოლს დააკისრა ზიანის ანაზღაურება 1 ფრანკის ოდენობით, ხოლო საყვარელს 100 ფრანკის ოდენობით³⁵.

პირადი უფლებების კლასიკური ფორმების დაცვისას ფრანგულმა სასამართლო პრაქტიკამაც დაახლოებით იგივე მასშტაბები შეიმუშავა, როგორც გერმანულმა ან სხვა ანალიგური ქვეყნების სამართალმა. განსაკუთრებით ეს შეეხება პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვას და პრესის თავისუფლებასთან მისი ურთიერთობის სირთულეებს. ისევე, როგორც გერმანულ სამართალში, არც ფრანგულ სამართალშია იოლი იმის გამოჯენა, თუ როდის უნდა შეიზღუდოს პრესის თავისუფლება პირადი

სფეროების, პირადი საიდუმლოს დაცვის სასარგებლოდ.


მიუხედავად ამ სირთულეებისა, სასამართლო პრაქტიკის შედეგად დავროვდა დიდადი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელს ხდის იმ გარეწული ფორმების განსაზღვრას, რაშიც შეიძლება გამოიხატოს კერძო სფეროს ხედილი. ამგვარ დარღვევებზე მიიჩნევა: ბინაში შეღწევა, მიუხედავად იმისა, ფიზიკურად ხდება ეს თუ სხვა საშუალებებით, კერძოდ, მოსმენით, ფარული კამერით გადაღებით; პირადი და საოჯახო სფეროებიდან ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, მაგალითად, სექსუალური ცხოვრების, ჯანმრთელობის, ქონებრივი მდგომარეობის და ა. შ.³⁶

საკუთარ გამოსახულებაზე უფლება არც ფრანგული სამართლისთვისაა უცხო. იგი საკუთრების შესახებ მოძღვრების საფუძველზე განითარდა და უფრო ადრე იყო დაცული, ვიდრე პირადი უფლებების თეორია წარმოიშობდა³⁷. გამოსახულების უფლებასთან არის გათანაბრებული საკუთარი ხმის უფლებაც. პირს უფლება აქვს არ დაუშვას კერძო თუ საზოგადო ვითარებაში გადაღებული მისი სურათის გამოქვეყნება ნებაბრთვის გარეშე, თუმცა ეს წესი საჭიროებს დაზუსტებას. პირის სურათად არ ჩაითვლება, თუ გადაღება მოხდა პოლიტიკურ სცენაზე, კულტურული ღონისძიებების ფარგლებში, რომლებშიც ეს პიროვნება მონაწილეობდა. თუმცა ამის დადგენა პრაქტიკაში არც ისე იოლია³⁸. რაც შეეხება კომერციული მიზნებით სურათის გამოქვეყნებას, მას ყოველთვის სჭირდება პირის თანხმობა ყოველგვარი გამოწვევისის გარეშე. ოღონდ თანხმობის ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგალითად, თუ სურათი გადაღებისთვის გადაღებულ გასაძირველს აძლევს პირს, ეს უეჭველად ჩაითვლება თანხმობად.

გერმანული სამართლის მსგავსად, ფრანგული დოქტრინაც აღიარებს, რომ ე. წ. ისტორიულ პიროვნებებზე შეიძლება ყველაფერი გამოქვეყნდეს და უნდა გამოქვეყნდეს კიდევ. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ხშირად უზვევს ამ პრინციპიდან. მაგალითი, ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის რეპორტიორები უნებართვოდ შეიჭრნენ საავადმყოფოში და სურათი გადაუღეს ცნობილი ფრანგი მსახიობის ჟერარ ფილიპის ცხრა წლის ვაჟიშვილს, რომელიც ავადმყოფობის გამო იწვა საავადმყოფოში. ეს სურათი ფილიპის ოჯახის თაობაზე შეურაცხყოფედ სტატიასთან ერთად გამოქვეყნდა და მასში დაწვრილებით იყო აღწერილი ბავშვის ავადმყოფობაც. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპების ოჯახი საფრანგეთში საყოველთაო ინტერესის ობიექტია და მათი შვილიც ასევე, პირველი ინტანციის სასამართლომ მიიღო

34. Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 70.
35. Agen. 18. 7. 1902; D. P. 1903, 2. 344; Paris 10. 7. 1957, D. 1957, 622. ვლთთებ: Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 700.

36. Ferid/Sonnenberger, 1/1, S. 357.
37. Hauser, Werbung und das Recht am eigenen Bild in Frankreich. GRUR int. 1988. S. 218 ff.
38. Ferid/Sonnenberger, 1/1, S. 357-358.



გადაწყვეტილება გამოშვებული ჟურნალის კონფისკაციის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კერძო სფეროს ხელყოფას³⁹.

გასული საუკუნის 80-იან წლებიდან იცავს ღრანგული სასამართლო კერძო წერილების გამოქვეყნებას. ამ დაცვის პრინციპის თანახმად, ამგვარი წერილების მიმღებს არა აქვს უფლება წერილების ავტორის გარეშე გამოაქვეყნოს ისინი. ამას დღესაც პირადი უფლებების დაცვად მიიჩნევენ.

პირადი უფლებების დაცვა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

პირადი უფლებების დაცვის სფეროში საერთო სამართლის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავებულ პატივის დაცვას და სხვა პირადი უფლებების დაცვას. პატივის დაცვას უზრუნველყოფს როგორც ინგლისური, ასევე ამერიკული სამართალი. ამ მიზანს ემსახურება დელიქტური სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორც libel და slander, რომლებიც ერთიანდებიან ერთიან კრებით ცნებაში: მას დიჟამაცია (defamation), სხვა პირადი უფლებების დაცვას ამერიკული სამართალი უზრუნველყოფს right of privacy-ს ხელყოფის გამო სარჩელის შეტანის გზით⁴⁰. ინგლისურ სასამართლო პრაქტიკას პირადი სფეროს დაცვის საკითხში ასეთი ზოგადი უფლება ჯერ არ შეუქმნავია. ამიტომ პატივის გარდა სხვა პირადი უფლებების დაცვისას ინგლისური სასამართლო მიმართავს libel და slander-ის დელიქტების უფრო ფართო ინტერპრეტაციას⁴¹.

ზოგადად დელიქტი დიჟამაცია გულისხმობს ადამიანის პრესტიჟის, მისი პატივისა და საზოგადო აღიარების ხელყოფას იმ გზით, რომ შესაძლებელია გამონათქვამები ამცირებენ ადამიანის იმიჯს თანამოქალაქეების წინაშე, სასაცილოს ხდიან მის ავტორიტეტს, უარყოფით განწყობას უქმნიან მის გარემოყოფთ ამ ადამიანის მიმართ. საერთო სამართალი ასეთი ხელყოფისათვის დაცვას უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საზოგადოებაში პირის იმიჯის შეღავათა მოწყვა. თუ პატივის ხელყოფილი გამონათქვამები გაკეთებულია წერილობით ან პუბლიკაციით, ნახატი ანდა კარიკატურით, მაშინ არსებობს დელიქტი libel. ინგლისის 1952 წლის Defamation Act-ის თანახმად ამ დელიქტს განეკუთვნებიან ასევე რადიოთი ან ტელევიზიით გაკეთებული განცხადებები. დელიქტი slander

გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ზეპირი გამონათქვამებით ან შეურაცხყოფილი შესტიკული იცავს პირის პატივი.

რასი მდგომარეობის ამ ორ დელიქტს შორის განსხვავება? პრაქტიკული განსხვავება მათ შორის ისაა, რომ დელიქტი libel-ის გამო სარჩელის შესატანად არ არის აუცილებელი ქონებრივი ზიანის არსებობის დასაბუთება. ზიანის ანაზღაურების მოცულობა სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს პატივის ხელყოფის სიძვირის შესაბამისად ისე, რომ არ არის სავალდებულო განსაზღვრული ზიანის არსებობის დამტკიცება. სხვაგვარად არის საქმე slander-ის შემთხვევაში: ამ დროს მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს, რომ პატივის ხელყოფილი გამონათქვამების გამო მას ქონებრივი ზიანი მიადგა, რაც გამოიხატება მნიშვნელოვანი კლიენტურის დაკარგვაში, შემოსავლის შემცირებაში და ა. შ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე დელიქტის დროს პასუხისმგებლობა ედება მოპასუხის ბრალის მიუხედავად. თუ, მაგალითად, გაზეთის გამომცემელმა გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც ხელყოფილია მოსარჩელის პატივი, გამომცემელი პასუხს აკებს მოსარჩელის წინაშე მაშინაც, როცა იგი საერთოდ არ იცნობდა ამ უკანასკნელს და არც მისი პატივის ხელყოფა არ სურდა.

ამ წესის სიმკაცრე მხოლოდ სავაჭეთო პუბლიკაციით არ შემოიფარგლება. მაგალითად, თუ მოსარჩელი და მოპასუხე ტელეფონზე საუბრობდნენ და ისე მიიყენა შეურაცხყოფა, ეს იქნება პირადი უფლების ხელყოფილი დელიქტი, თუკი ამ საუბარს უსმენდა შესაძლებელი პირი და მან შეიტყო ამ შეურაცხყოფის შესახებ. იგივე წესი გამოიყენება მაშინაც, როცა წერილის განხილვა ვახდენს ცნობილი სხვა პირისათვის შეურაცხყოფილი ცნობები⁴².

როგორია მოპასუხის მხრიდან თავდაცვის შედეგები? მას შეუძლია გამოქვეყნებული ან განმარტებული ფაქტების სინამდვილე დამტკიცოს. თუ იგი ამის გაკეთებას შეძლებს, მაშინ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

კონტინენტური ევროპის სამართლისაგან განსხვავებით ინგლისურ-ამერიკულ სამართალში გამოიყენება პატივის დაცვის ერთადერთი საშუალება. ესაა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი. ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა პუბლიკაციის აკრძალვა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მსგავსი, საერთო სამართალი არ იცნობს.

ვფიქრობ, ეს რამდენიმე მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რა განსხვავებებაა პირადი უფლებების დაცვის მხრივ კონტინენტური ევროპის სამართალსა და საერთო სამართალს შორის.

39. Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 702.

40. Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 704.

41. Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 704-705.

42. Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 707.

პირადი უფლებების დაცვა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

სამოქალაქო კოდექსით დაცულ სიკეთეთაგან მნიშვნელოვანია პირადი უფლებები. ქონებრივი უფლებებისაგან მათ, უწინარეს ყოვლისა, ის განასხვავებთ, რომ ისინი კონკრეტულ პირებს, მათ პიროვნებას იმგვარად უკავშირდებათ, რომ სხვა პირთათვის მათი გადაცემა დაუშვებელია და შეუძლებელიცაა. ამიტომაც ეწოდება მათ პირადი უფლებები. რასაკვირველია, ყველა პირადი უფლების განხილვას ამჯერად ვერ შევძლებ, ვერც მათთან დაკავშირებულ საკითხებს შევხვები დეტალურად. როგორც უკვე აღვნიშნე, სამოქალაქო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციას განეკუთვნება ის გარემოება, რომ ზოგადი პირადი უფლებები სამოქალაქო კოდექსების ზოგად ნაწილშია მოთავსებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც ვაიზიარა ეს გამოცდილება. თუმცა ყველა პირადი უფლების კატალოგის მოცემა მან ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა. ამიტომ დელიტურ სამართალში განმტკიცებულია ფუძემდებლური ნორმები, რომლებიც პირადი უფლებების დაცვის განვითარების ფართო შესაძლებლობებს ქმნიან. ესაა 992-ე და 993-ე მუხლები.

ახლა განვიხილოთ პირადი უფლებების ის მცირე კატალოგი, რომელიც ზოგად ნაწილშია მოცემული.

გარდა სახელის უფლებისა, სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს პატივისა და ღირსების დაცვას. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პირს უფლებააქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც დაზავენ მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხედ-შეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუკი ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაადანაშაულებს, რომ ეს ფაქტები შეეფერება სინამდვილეს.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინფორმაციას კონკრეტული პირის შესახებ სრულად კი არ აქვეყნებენ, არამედ ცალკეულ ნაწილებებს ციტატების სახით, რაც არც თუ იშვიათად ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას. სამოქალაქო კოდექსი აძლევს პირს უფლებას მოითხოვოს ამ არასრული ცნობების უარყოფა.

თუ პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემახვევი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით. მაგალითად, თუ პირის შეურაცხყოფილი ცნობები გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაშინ პირს, ვისი უფლებებიც შეიღახა, შეუძლია ამ ცნობების უარყოფა მოითხოვოს იმავე გზით. სასამართლო არა აქვს უფლება მიიღოს

გადაწყვეტილება ამგვარი ცნობების სხვა გამოქვეყნების გამოქვეყნების დაუადგებლების შესახებ. პირის პატივისა და ღირსების შემახვევი ცნობებს შეიძლება შეიცავდეს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთიც, მაგალითად, დახასიათება. სამოქალაქო კოდექსში ასეთ შემთხვევაში ავადგებულებს ამ ცნობების გამოცემ ორგანიზაციის გამოსვალის ეს ცნობა და ამის შესახებ შეატყობინოს დაინტერესებულ პირებს.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი უფლებას აძლევს პირს მოითხოვოს პატივისა და ღირსების შემახვევი ცნობების უარყოფა, მაგრამ ეს არ ართმევს მას უფლებას თვითვე გასცეს პასუხი ამ ინფორმაციას და საპასუხო პუბლიკაცია გამოაქვეყნოს მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

საკუთარ გამოსახულებასა უფლება

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით პატივისა და ღირსების შეღახვას უთანაბრდება პირის გამოსახულების (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი) გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე. თანხმობა არ არის საჭირო, როცა პირის გამოსახულება ქვეყნდება მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან დაკავშირებით. მაგალითად, როცა პირს ირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტად ან ნიშნავენ მინისტრად, მისი ფოტოსურათი ქვეყნდება საჯაროდ, მაგრამ ამისათვის თანხმობა აუცილებელი არ არის. იგივე წესი მოქმედებს მაშინ, როცა იძებნება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და მისი სურათი ქვეყნდება სახაზოდ.

ზემოთ განხილულ სიკეთეთა დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად. მაგრამ თუ ხელმყოფი ბრალეულად მოქმედებდა, მაშინ პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის მატერიალური ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოითხოვნი იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფმა.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურების პრინციპის შემოღება. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით ბრალული ხელმყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.

სახელის, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების სასამართლებრივი დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ პირის სიცოცხლით. აღნიშნული პირადი სიკეთეების დაცვა შეიძლება გარდაცვალების შემდეგაც იმ განსხვავებით, რომ არაქონებრივი ზიანის მატერიალური ანაზღაურება გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია.

ზია ლილუაშვილი

ნასყიდობა აშშ-ს ერთგვაროვანი საკაჭრო კოდექსის მიხედვით

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო არა მარტო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას, არამედ აგრეთვე, ამ ქვეყნის ეკონომიკურ დაახლოებას სხვა ქვეყნებთანაც. ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფოა აშშ-ი. ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ხელისშემწეობი პირობაა საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 11 დეკემბრის დადგინებით რატიფიცირებული ხელშეკრულება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთ დაცვის შესახებ“. ამ ხელშეკრულების პრეამბულის თანახმად — „მხარეები გამოხატავენ სურვილს ხელი შეუწყოთ ერთმანეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას, რაც უკავშირდება ერთი მხარის მოქალაქეთა და კომპანიათა მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელებას“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სამართლებრივი ნორმების ცოდნას, რომლებიც ამ ორ ქვეყანაში ვაჭრობას, ბიზნესს არეგულირებენ. ასეთი ინტერესი ვლინდება არა მხოლოდ ქართველ და ამერიკელ ბიზნესმენებში, არამედ აგრეთვე იურისტებშიც.

ჩვენი მიზანი არ არის ამ ორი ქვეყნის სავაჭრო სამართლის შედარებით სამართლებრივი ანალიზი. განზრახული გვაქვს მიმოვიხილოთ მხოლოდ ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მოძრავი ქონების ნასყიდობას აშშ-ში.

მოძრავი ქონების ნასყიდობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, ძირითადად, თავმოყრილია აშშ-ის ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსში. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლე ინფორმაცია ამ კოდექსის შესახებ. 40—50-იან წლებში აშშ-ში დაისვა საკითხი მომხდარიყო სავაჭრო ნორმების თავმოყრა — კოდიფიკაცია. ამ მეტად რთული საკითხის გადაწყვეტა დაევალა ორ ორგანიზაციას, კერძოდ, შტატების ერთგვაროვანი კანონების შემუშავებაში უფლებამოსილ ნაციონალურ კონფერენციას და ამერიკის სამართლის ინსტიტუტს. თავად კონფერენცია შეიქმნა 1892 წელს და მისი მიზანი იყო ერთგვაროვანი კანონების შექმნა. მაგალითად, პირველი ასეთი კანონის პროექტი იყო „საბრუნავი დოკუმენტების“ შესახებ, რომელიც მიღებული იყო 1896 წელს.

ზემოთ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა 1952 წელს გამოაქვეყნეს აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის პირველი ოფიციალური ტექსტი, რომელიც არა კანონი, არამედ ნიმუში იყო, და თუ რომელიმე შტატი მას მიიღებდა, ის გახდებოდა იმ შტატის კანონი, მაგალითად, მასაჩუსეტის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი. დღეისათვის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი თითქმის ყველა შტატს აქვს მიღებული, გარდა ლუიზიანასა და ვაშინგტონისა. ამ შტატში მოქმე-

დებდა და დღესაც მოქმედებს საფრანგეთის (ნაპოლეონის) სამოქალაქო კოდექსი (განსხვავება მხოლოდ მცირეოდენ ცვლილებებში არის), თუმცა 1974 წელს ლუიზიანას შტატმა მიიღო სავაჭრო კოდექსის მხოლოდ ზოგიერთი განყოფილება.

დღემდე ეს-ში გარკვეული სახის ცვლილებები და დამატებებია შეტანილი, რაც სხვადასხვა წლებში განხორციელდა, მაგალითად, 1957, 1958, 1962, 1972, 1987 და ა. შ., აღნიშნული ცვლილებები და დამატებები ეხებოდა სახელწოდებების შეცვლას, ახალი განყოფილებების დამატებას და სხვა. მაგალითად, 1989 წლამდე მე-6 განყოფილებას ერქვა „კომპლექსური გასხვისება“. 1990 წლიდან მიღებულია ორი ვარიანტი. შტატებს ამ ორიდან უნდა ამოერჩიათ ერთ-ერთი. პირველი ვარიანტი ითვალისწინებდა მე-6 განყოფილების გაუქმებას, ხოლო მეორე — მე-6 განყოფილებას ითვალისწინებდა სხვა სახელწოდებით — „კომპლექსური გაყიდვა“. 1987 წელს მიიღეს ახალი განყოფილება — „იჯარა“. ეს განყოფილება მხოლოდ ზოგიერთმა შტატმა მიიღო.

დღეისათვის ამერიკის სავაჭრო კოდექსი შემდეგი განყოფილებებისგან შედგება: 1. საერთო დებულებები; 2. ნასყიდობა, 2ა. იჯარა; 3. საბრუნავი დოკუმენტები; 4. საბანკო დებოზიტები და ინკასური ოპერაციები; 4ა სახსრების გადაყვანა; 5. აკრედიტივი; 6. მე-6 განყოფილების გაუქმება ან სახეშეცვლილი მიღება; 7. სასაწყობო მოწმობა, კონოსამენტი და სხვა საქონელგანმკარგველი დოკუმენტები; 8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები; 9. გარიგების უზრუნველყოფა. გადასახადის მიღების უფლების გაყიდვა და ქაღალდი მოძრავ ქონებაზე; 10. ძალაში შესვლის თარიღი და სხვა გაუქმებანი; 11. ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები.

ამრიგად, აშშ-ის ე.ს.კ. შედგება 11 განყოფილებისაგან, რომელთაგან ჩვენ შევეხებით მხოლოდ მეორე განყოფილებას — ნასყიდობას.

ბოლოს გვინდა დავუმატოთ, რომ საერთო სამართალი საქართველოში ნაკლებად შესწავლილი სფეროა, ეიორე კონტინენტალური ევროპის სამართალი. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საქართველო ათეული წლების წანძილზე სოციალისტური სამართლის სისტემას მიეკუთვნებოდა და საერთო სამართლის მიმართ არ იყო ინტერესი. დღეს კი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ქართული სამართლის რეფორმის პროცესში, ჩვენთან მკვიდრდება ნორმები, როგორც კონტინენტალური სამართლიდან, ასევე საერთო სამართლიდანაც. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია სწორედ ქართული ნასყიდობის სამართალი. საერთო სამართლიდან ამა თუ იმ ნორმის დამკვიდრება ზორციელდება, როგორც ქართველი იურისტების ინიციატივით, ასევე საერთო სამართლის ქვეყნების იურისტების, ძირითადად. ამერიკელი იურისტების კონსულტაციებით, თუ სხვა სახის დახმარებებით ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით. მათ კონსულტაციებში კი საერთო სამართლის ელემენტებია ჩადებული.

ამიტომაც, ვფიქრობთ, დადგა დრო შივისწავლათ და გამოვიკვლიოთ ჩვენი დღეს ძალზე საინტერესო, მაგრამ ნაკლებად ცნობილი. საერთო სამართლის სისტემა. შტატიები, რომლებიც ამერიკის ნასყიდობის სამართალს გვინდა მიუძღვნათ ვიმედოვნებთ, ხელს შეუწყობს ამ უაღრესად საინტერესო სისტემის უკეთ გაცნობას.

**ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით ნასყიდობის
გამოყენების უარბლები და მასთან დაკავშირებული
კირითადი განმარტებები**



შევვხებით ამერიკის ნასყიდობის სამართალს არა საერთოდ, არამედ ნასყიდობის სამართლის იმ ნაწილს, რომელსაც აწესრიგებს ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი, ე. ი. ჩვენ ვეხებით ამერიკის ნასყიდობის სამართლის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს. რის მიმართ გამოიყენება სავაჭრო კოდექსით გათვალისწინებული ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმები და გამოიყენება თუ არა ეს ნორმები უძრავი და მოძრავი ქონების მიმართ? აი, ის საკითხები, რომლებზეც გვექნება საუბარი.

საერთოდ, „ნასყიდობა“ ფართო შინაარსის ტერმინია და შეიძლება გულისხმობდეს, როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონების ნასყიდობასაც. თავად ნასყიდობის შესახებ კოდექსი აცხადებს: „ნასყიდობა“ შეიცავს გამყიდველიდან წყიდველზე რაიმე ფასით საკუთრების უფლების გადასვლას“ (ე.ს.კ. მუხლი 2-106). ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ნასყიდობის“ კოდექსისეულ განმარტებაში არ ჩანს, იგი უძრავს ეხება თუ მოძრავს, თითქოსდა ორივე უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. როგორც სავაჭრო კოდექსის ნასყიდობის განყოფილება მიუთითებს: „თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამოძინარობს, ეს განყოფილება გამოიყენება საქონლის მიმართ დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით. ის არ გამოიყენება იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც, თუმცა კი დადებულია გაყიდვის უპირობო ხელშეკრულების ფორმით ან შემდგარი გაყიდვის ფორმით, მაგრამ მოქმედებენ, როგორც, მხოლოდ, უზრუნველყოფილი გარიგების სახით; ეს განყოფილება არ ეხება და არც აუქმებს იმ კანონებს, რომლებიც არეგულირებენ გაყიდვას მომხმარებლებზე, ფერმერებზე და მყიდველთა სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებზე“ (ე.ს.კ. მუხლი 2-102).

როგორც ვხედავთ, იმისათვის რომ, აშშ-ში ბიზნესმენმა, კომერსანტმა გამოიყენოს სავაჭრო კოდექსით გათვალისწინებული ნასყიდობის სამართლებრივი ნორმები, მას უნდა გააჩნდეს „საქონელი“ და მასთან დაკავშირებით დადოს გარიგება. „გარიგება“ ფართო შინაარსის ტერმინია. მის განმარტებას სავაჭრო კოდექსი არ იძლევა. ის შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ნასყიდობას, არამედ აგრეთვე, იჯარასაც, კონსიგნაციასაც და ა. შ. მაგრამ აღნიშნული „გარიგება“ დაკავშირებულია „საქონელთან“, რომელსაც სავაჭრო კოდექსის მუხლი 2-105 ასე განმარტავს: საქონელი ნიშნავს ყოველნაირ ნივთს (მათ შორის სპეციალურად დამზადებულ საქონელს), რომელიც გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას მისი ინდივიდუალიზაციის მომენტში არის მოძრავი, გარდა ფულისა, რომლითაც უნდა გადაიხადონ შესასყიდი ფასი, ფასიანი ქაღალდებისა (განყოფილება 8) და მოთხოვნის უფლებისა. ტერმინი „საქონელი“ ასევე შეიცავს ჯერ კიდევ დაუბადებელ პირუტყვის ჩანასახს, ძირზე მოსავალს და სხვა ინდივიდუალიზირებულ ნივთებს, რომლებიც დაკავშირებულია უძრავთან, როგორც ეს აღწერილია 2-107-ე მუხლში: საქონელი, რომელიც ექვემდებარება უძრავიდან გაცალკავებას.

მუხლი 2-105 მეორე პუნქტი იქვე მიუთითებს, რომ: საქონელი უნდა არსებობდეს და ინდივიდუალიზირებული იყოს მანამ, სანამ მასთან დაკავშირებული ყოველნაირი უფლება გადაეცემოდეს მეორე მხარეს. საქონელი, რომელსაც არ აქვს ორივე ნიშანი — არსებობა და ინდივიდუალიზირება — განიზილება, როგორც მომავლის საქონელი. მომავლის საქონლის შემდგარი გაყიდვის ან

ნასთან დაკავშირებული ყოველი უფლების შესახებ ხელშეკრულება, იურიდიულ უღალად მოქმედებს როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება.

ამრიგად, ჩვენ მოვიყვანეთ ორი ძირითადი მუხლი, კერძოდ, მუხლი 2-102 და მუხლი 2-105, რომლებიც მკითხველს შეუქმნის ზოგად წარმოდგენას ნასყიდობის განყოფილების გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით. ეს ზოგადი წარმოდგენა ასეთია — ნასყიდობის განყოფილება გამოიყენება მხოლოდ მოძრავი ქონების მიმართ, მცირე გამონაკლისის გარდა. იმისათვის, რომ ეს ფორმულირება მკითხველისთვის უფრო ნათელი გახდეს, ჩვენ განვმარტავთ იმ ძირითად ტერმინებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ მუხლებშია მოცემული. ეს განმარტებები ჩვენთვის საინტერესო იქნება ორმაგად. ერთი, რომ დაგვეხმარება ზემოთ მოყვანილი მუხლების შინაარსის უკეთ გარკვევაში, და მეორეც, დავინახავთ თუ როგორ განმარტავს ნასყიდობის სამართალთან დაკავშირებულ ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ ტერმინებს სავაჭრო კოდექსი, რომელიც საერთო სამართლის დებულებებზეა აგებული. მუხლი 2-102-თან დაკავშირებით ჩვენ შევეხეთ ორ ტერმინს: „გარიგებას“ და „საქონელს“. გარდა ამ ორისა, ეს მუხლი შეიცავს კიდევ შემდეგ იურიდიულ ტერმინებსაც: „ნასყიდობის უპირობო ხელშეკრულება“, „შემდგარი ნასყიდობა“ და „გარიგების უზრუნველყოფა“.

„ნასყიდობის უპირობო ხელშეკრულება“ ითვლება ხელშეკრულება, თუ მასში არ არის მითითებული, რომ საქონელზე საკუთრების უფლება გადავა განსაზღვრული თარიღის დადგომისას ან მომავალში განსაზღვრული მდგომარეობის დადგომისას, ე. ი. საკუთრების უფლება გადავა გამყიდველიდან მყიდველზე მხოლოდ მაშინ, როდესაც საქონელი ჩაბარდება მყიდველს.

„შემდგარი გაყიდვა“ გულისხმობს ისეთ ნასყიდობას, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ხელშეკრულების დადების მომენტში (ე.ს.კ. მუხლი 2-106). რაც შეეხება „გარიგების უზრუნველყოფას“, ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი. ამ განყოფილებიდან გამოდინარე „გარიგების უზრუნველყოფა“ არის ყოველნაირი გარიგება, მიუხედავად მისი ფორმისა, რომელიც ქმნის უზრუნველყოფილ ინტერესს მოძრავ ქონებაში, მათ შორის საქონელში, საქონელგანმკარგველ დოკუმენტში და ა. შ.

ამდენად, 2-102-ე მუხლის ანალიზის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გადავიღოთ იმ ტერმინების განმარტებებზე, რომლებიც მოცემულია მუხლი 2-105-ის პირველ და მეორე პუნქტში, რაც თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ ჩავეწვდეთ ზემოთ მოყვანილი მუხლების არსს. ეს ტერმინებია: „ნივთები“, „საქონლის ინდივიდუალიზაცია“, „ხელშეკრულება“, „ნასყიდობის ხელშეკრულება“, „ნასყიდობა“, „ფული“ და „საქონელი, რომელიც ექვემდებარება უძრავიდან განცალკევებას“.

„ნივთები“ — ნივთების ცნებას სავაჭრო კოდექსი არ იძლევა, საერთოდ კი, იგი ფართო მიმოხილვის საგანია, მაგრამ რადგან ჩვენი მიზანი სხვა არის, ვიდრე საერთო სამართალში ნივთის ცნების გარკვევა, ამიტომ მოკლედ შევეხებით მის არსს, ამისათვის კი დავეყრდნობით მხოლოდ კალიფორნიის (ანოტირებულ) სამოქალაქო კოდექსს. ამ კოდექსის 657-ე მუხლით ქონება იყოფა: 1. რეალურ ანუ უძრავად და 2. პირადი ანუ მოძრავად. 658-ე მუხლი უძრავ ქონებაში გულისხმობს: 1. მიწას; 2. იმას, რაც მიწაზეა მიმაგრებული; 3. იმას, რაც მიწას ეკუთვნის; 4. იმას, რაც კანონის თანახმად ითვლება უძრავად, გარდა ისეთისა, რისი განცალკევებაც, გაყიდვის მიზნით, შეიძლება, ნაყოფი, სასოფლო სამეურნეო კულტურის ძირზე მოსავალი, ნივთები, რომლებიც მიმაგრებულია მიწასთან ან შეადგენენ მის ნაწილს, და რომლებიც იქნებიან გან-

ცალკეებულნი სანამ მყიდველს გადაეცემა ან გაყიდვის ხელშეკრულების დადებაამდე, — ისინი ითვლებიან საქონლად და კოდექსის იმ დებულებით წესრიგდებიან, რომლებიც ეხებიან საქონლის გაყიდვას.

აქვე ალბათ ჩვენთვის საინტერესო იქნება თუ რას მიიჩნევს მიმაგრებულად კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსი. ამ კოდექსის 660-ე მუხლით „ნივთი“ ითვლება მიწასთან მიმაგრებულად, თუ ის დაკავშირებულია მასთან ძირებით, როგორც ხე, ვენახი, ბუჩქნარი; ან ჩასმულია მასში, როგორც კედელი; ან მუდკივად იმყოფება მასზე, როგორც ნაგებობა ან ცემენტი, თიხით, ლურსმნით, ჭანჭიკით მუდმივად არის მიმაგრებული, გარდა იმათი, რომლებიც გაყიდვის პიზნით შეიძლება განცალკევდნენ მიწიდან, როგორც ნაყოფი.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის 663-ე მუხლი მოკლედ მიუთითებს: „ყოველი ქონება, რომელიც არ არის უძრავი, არის მოძრავი“.

ამრიგად, ნივთზე მოკლე მიმოხილვამ დაგვანახა, რომ კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსიც საქონლის გაყიდვაში უძრავი ნივთების გაყიდვას გულისხმობს.

არც საქონლის ინდივიდუალიზაცია არ არის განმარტებული სავაჭრო კოდექსში, თუმცა მითითებულია თუ როდის უნდა მოხდეს საქონლის ინდივიდუალიზაცია. 2—501-ე მუხლი მასთან დაკავშირებით მიუთითებს: „...ინდივიდუალიზაცია შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს ნებისმიერი საშუალებით, რომელიც ზუსტად არის ჩამოყალიბებული მხარეთა შეთანხმებაში. ხოლო თუ შეთანხმებაში არ არის ზუსტი მითითება, მაშინ ინდივიდუალიზაცია მოხდება:

ა) ხელშეკრულების დადების მომენტში უკვე არსებული და ინდივიდუალიზირებული საქონლის მიმართ;

ბ) თუ ხელშეკრულება ეხება მომავალი საქონლის გაყიდვას, მაგრამ არა იმ საქონლისა, რომელიც აღწერილია გ პუნქტში, როდესაც საქონელი დატვირთულია, მარკირებულია ან სხვაგვარად გამოსახულია გამყიდველის მიერ იმ საქონელზე, რომლის მიმართ დადებულია ხელშეკრულება;

გ) როდესაც მოხდა დათესვა ან სხვაგვარად ხდება ძირზე მოსავალი ან ჩანასახის გაჩენისას, თუ ხელშეკრულება ეხება იმ დაუბადებელ ჩანასახის გაჩენას, რომელიც უნდა დაიბადოს თორმეტ თვეში ხელშეკრულების დადებიდან, ან თუ ხელშეკრულება ეხება იმ მოსავლის გაყიდვას, რომელიც უნდა აიღონ თორმეტ თვეში ან ხელშეკრულების დადებიდან მოსავლის აღების შემდეგ სეზონში, იმის მიხედვით, თუ ამ ვადებიდან რომელი უფრო გრძელია.

„ხელშეკრულება“ ნიშნავს ერთიან სამართლებრივ ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შეთანხმებიდან ამ კანონისა და სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად. (იხ. 1—201 მუხლის მე-11 პუნქტი).

როგორც აღნიშნული განმარტივიდან ჩანს, ხელშეკრულება შეთანხმების გარეშე არ არსებობს, თუმცა შეთანხმება ყოველთვის ხელშეკრულებას არ გულისხმობს. თავად შეთანხმებას კი სავაჭრო კოდექსის 1—201 მუხლის მე-3 პუნქტი ასე განმარტავს: „შეთანხმება“ ნიშნავს მხარეთა ფაქტობრივ ვარიეტებას, რომელიც გამომდინარეობს მათი ვანცხადებიდან ან სხვა გარემოებიდან, მათ შორის დაწესებული წესი, სავაჭრო ჩვეულებები ან შესრულების წესი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კანონით (მუხლები 1—205 და 2—208). ბადებს თუ არა შეთანხმება სამართლებრივ შედეგებს, განისაზღვრება ამ კანონის დებულებებით, თუ იგი გამოიყენება, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კი სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით (იხ. მუხლი 1—103).

„ნასყიდობის ხელშეკრულება“ გულისხმობს, როგორც 1 ქონლის შემდგარ

გაყიდვას, ასევე, მომავალში საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებას (მუხლი 2-106 (1)). აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, დაკუმატებთ, რომ „შემდეგ დგარი გაყიდვა“ ნიშნავს გაყიდვას, რომელიც ხორციელდება ხელშეკრულების დადების მეშვეობით (მუხლი 2-106 ((1))).

„ფული“ ნიშნავს გადახდის საშუალებას, რომელიც დაშვებულია ან მიღებულია თავისი ან უცხო ხელისუფლების მიერ და გულისხმობს ანგარიშსწორების ფულად ერთეულს, რომელიც დადგენილია სახელმწიფოების ურთიერთ შეთანხმებით (მუხლი 1-201 (24)).

„საქონელი, რომელიც ექვემდებარება უძრავი ქონებიდან განცალკევებას“. ამ საკითხს აწესრიგებს სავაჭრო კოდექსის 2-107-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი პუნქტით: სასარგებლო წიაღისეული ან მსგავსის (მათ შორის ნავთობი და გაზი) ან ნაგებობა, ან ის მატერიალი, რომელიც ექვემდებარება უძრავი ქონებიდან განცალკევებას, განიხილება, როგორც საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, თუ ისინი უნდა განცალკევდნენ გამყიდველის მიერ; მაგრამ განცალკევებამდე შემდგარი გაყიდვა, რომელიც მხარეებს აქვთ გამიზნული და რომელიც არ გულისხმობს მიწის ნაკვეთზე რაიმე უფლების გადაცემას, არის მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება.

აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტით კი: ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთიდან გამოცალკევებულ ძირზე მოსაიალს ან სხვა იმ ნივთს, რომელიც დაკავშირებულია უძრავქონებასთან და შეუძლია გამოცალკევება მისთვის არსებითი ზარალის მიყენების გარეშე, მაგრამ არ შედის პირველ პუნქტში, ან მოჭრილი ხე-ტყე, ამ განყოფილების საფუძველია საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, ხელშეკრულების საფუძველი ექვემდებარება თუ არა გამოცალკევებას გამყიდველის ან მყიდველის მიერ. თუნდაც ხელშეკრულების დადების მომენტში იგი შეადგენდეს უძრავი ქონების ნაწილს; მხარეებს შეუძლიათ, ამ საგნის ინდივიდუალიზაციით, მის გამოცალკევებამდე დადონ შემდგარი ნასყიდობის ხელშეკრულება.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულმა ტერმინოლოგიურმა განმარტებებმა შესაძლებლობა მოგვცა, ვერ ერთი, სრულად ჩავწლომოდით ჩვენთვის საინტერესო ორი ძირითადი მუხლის 2-102-ის და 2-105-ის შინაარსს, და მეორეც, დარწმუნებულიყავით იმ დებულებაში, რომ ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის ნასყიდობის განყოფილება გამოიყენება მხოლოდ მოძრავი ქონების – საქონლის ნასყიდობის მიმართ. აქვე საინტერესო იქნება ის ფაქტიც, რომ ნასყიდობის განყოფილება გულისხმობს გაცვლასაც (ბარტერს). ამასთან დაკავშირებით, ჩვენ კიდევ ერთხელ მოვიყვანთ ადრე აღნიშნულ კოდექსისეულ განმარტებას ნასყიდობაზე: ნასყიდობა გულისხმობს გამყიდველიდან მყიდველზე რაიმე ფასით საკუთრების უფლების გადასვლას. ფასის გადახდა კი შეიძლება მოხდეს ფულით ან სხვა რამით. როდესაც სხვა რამით ხდება ფასის გადახდა, მაშინ საქმე გვაქვს გაცვლასთან. ეს კი კარგად ჩანს 2-304-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი პუნქტით: ფასი შეიძლება გადახდილი იყოს ფულით ან რაიმე სხვა საშუალებით. თუ ის მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა იყოს გადახდილი სხვა საშუალებით, მაშინ ყოველი მხარე არის იმ საქონლის გამყიდველი, რომელიც მან უნდა გადასცეს.

P. S. ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფინანსური (გრანტის) მხარდაჭერით.

დავით კიკიბაძე

სასამართლო ორგანოების მონაწილეობა სამეწარმეო სუბიექტთა რეგისტრაციაში

სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო განსჯაზე მანამდე მოქმედი კანონისა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, რომლის მიხედვითაც რეგისტრაციას ახდენდა ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რომელიც იმავდროულად შეიძლება თვითონ ყოფილიყო აღსაშენი საზოგადოების დამფუძნებელი. ამისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების გათვალისწინებით ახალმა კანონმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაცია მიანდო სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე უფრო ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ორგანოს — სასამართლოს.

სახელმწიფო რეგისტრაცია არის სამეწარმეო იურიდიული პირის დამატებითი ნიშანი, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი არ ითვალისწინებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას არარეგისტრირებული საზოგადოების მიერ.

ტრადიციულად ჩამოყალიბდა იურიდიული პირების რეგისტრაციის შემდეგი სისტემები:

ნებართვითი, როდესაც იურიდიული პირის შექმნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს სახელმწიფო ორგანო მისი შეხედულებით;

საცნობარო, როდესაც სახელმწიფო ორგანოებს მხოლოდ ეცნობებათ იურიდიული პირის შექმნის შესახებ და თუ ამას მოითხოვს რეესტრში მისი ავტომატურად შეტანის წესი;

ნორმატიულ-საცნობარო, როდესაც სახელმწიფო ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ იმ წესით და პირობებით, რომლებიც განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით და არ შეუძლიათ თავისი შეხედულებით უარი თქვან იურიდიული პირის რეგისტრაციაზე.

საწარმოს რეგისტრაცია ხორციელდება იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საწარმოს ხელმძღვანელი ორგანო ანუ სადაც არის საზოგადოების იურიდიული მისამართი. აქ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საწარმოს იურიდიულ მისამართად ითვლება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ადგილი. ჩვენი აზრით, ეს არ არის სწორი პოზიცია, რამეთუ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ადგილას, ხოლო საწარმო რეგისტრაციაში ტარდება ერთ ადგილას ანუ მას მხოლოდ ერთი იურიდიული მისამართი აქვს. ამის საწინააღმდეგოდ მ. ცისკაძეს მოჰყავს არგუმენტი, რომ სასამართლოში საწარმოს იურიდიულ მისამართად უნდა აღინიშნოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი ადგილი, ხოლო სხვა ადგილების ზუსტი მითითება უნდა მოხდეს სამეწარმეო რეესტრში.¹

1. მ. ცისკაძე, „სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი“, სერვო ჯორბენაძე, საიუბილეო კრებული, თბ., „ნორმა“, 1996, გვ. 381.

სასამართლოში განცხადების შეტანას წინ უსწრებს გარკვეული პროცესი, რომელიც საფუძველს ქმნის საზოგადოების რეგისტრაციისათვის. დამფუძნებელთა კრების მიერ ხდება საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადება და დამტკიცება, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელთა დანიშვნა, რომელთაც ევალებათ საზოგადოების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვა. საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამფუძნებელთა რაოდენობის მიუხედავად, საკმარისია ერთ-ერთი დამფუძნებლის მიმართვა სასამართლოსათვის. ეს თავისთავად არ ქმნის სხვათა ინტერესების საფრთხის ქვეშ დაყენებას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისათვის სასამართლოში საზოგადოების პარტნიორების მიერ წარდგენილი უნდა იყოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში გათვალისწინებული დოკუმენტები. აგრეთვე საზოგადოების წესდება, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავს საზოგადოების სამართლებრივ სტატუსს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის იმდენად, რამდენადაც წესდებით განისაზღვრება ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც მოწესრიგებული არ არის კანონით.

სასამართლოში წარდგენილი უნდა იყოს აგრეთვე დამფუძნებელთა კრების ოქმი, კანონში პირდაპირ არ არის მითითებული დამფუძნებელთა კრების ოქმზე, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საჭიროა საზოგადოების რეგისტრაციისათვის ზოგადი იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს მხოლოდ დამფუძნებელთა კრების ოქმი.

დამფუძნებელთა კრების ოქმი, თავისი იურიდიული მნიშვნელობით, ფაქტობრივად ცვლის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიერ სადამფუძნებლო დოკუმენტად გათვალისწინებულ დამფუძნებელთა ხელშეკრულებას.

რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანამდე მეწარმე ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო მოსაკრებელი, რომლის შეტანა ხდება გადარიცხვით იმ სასამართლოს დებოზიტზე, სადაც საწარმომ უნდა გაიაროს რეგისტრაცია.

გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი ექვემდებარება დაბრუნებას ძალიანად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში: როდესაც ხდება მოსაკრებლის შეტანა იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ამას კანონი მოითხოვს და როდესაც სასამართლო უარს ამბობს საზოგადოების რეგისტრაციაზე. მოსაკრებლის უკან დაბრუნება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

ქალაქის (რაიონის) სასამართლოს არა აქვს უფლება მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტების გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი. აღნიშნული მოთხოვნა გატომდინარეობს კანონის იმპერატიული ნორმიდან, რომლითაც განისაზღვრება დოკუმენტების ნუსხა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის უფლება უზრუნველყოფილია სასამართლოს ვალდებულებებით მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეგისტრაციის თაობაზე თხუთმეტი კალენდარული დღის (აღნიშნული ვადა 1997 წლის 5 იანვრამდე განისაზღვრებოდა ერთი კვირით) განმავლობაში საჭირო დოკუმენტების წარდგენის დღიდან. თუ აღნიშნულ ვადაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას საწარმოს რეგისტრაციაში არ გატარების თაობაზე, საწარმო ითვლება რეგისტრირებულად. აღნიშნულ ნორ-

ბაში კანონმდებლის მიერ ჩადებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეთა თავისუფლებას ხელისუფლების ორგანოთა ბიუროკრატიზმისაგან.

რაც შეეხება სასამართლოებისათვის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადის დადგენას თხუთმეტი კალენდარული დღის ოდენობით, დღის წესრიგში აყენებს მისი საკმარისობის შესახებ საკითხს, ე. ი. რამდენად არის საკმარისი ის ვადა, რათა სასამართლომ შეძლოს გაეცნოს სასამართლოში წარმოდგენილ დოკუმენტებს. მაგალითად, გერმანიაში რეგისტრაციისათვის გათვალისწინებულია ერთთვიანი ვადა. ამავე დროს მოსამართლეს შეუძლია გააგრძელოს კიდევ იგი.²

თუ რეგისტრაციის შემდეგ საზოგადოების წესდებაში სასამართლოს მიერ აღმოჩნდება არსებითი ხარვეზები, კანონის თანახმად მას უფლება აქვს მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია. ამიტომ უმჯობესია თხუთმეტი კალენდარული დღის ვადა გაიზარდოს ერთ თვემდე მაინც, რაც შეაძვირებდა ისეთი საზოგადოების რეგისტრაციას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ რეგისტრაციის პირობებს და რომელთა წესდებაში დაშვებულია არსებითი ხარვეზები.

პრაქტიკაში და თეორიაში წარმოიშობა საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა სასამართლოს უფლება შეაჩეროს სარეგისტრაციო ვადა ან უარი თქვას რეგისტრაციაზე.


ა. ნოზდრაჩევის აზრით სარეგისტრაციო სამსახურს უფლება აქვს შეაჩეროს სარეგისტრაციო ვადის მსვლელობა საკუთარი ინიციატივით,³ მაშინ, როდესაც შესაბამის სამსახურსა საქართველოში — სასამართლოს, არა აქვს უფლება მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას საზოგადოებას რეგისტრაციაზე, როცა სხვა დოკუმენტებთან ერთად არ არის რაიმე საქმიანობის განხორციელებაზე ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი — ლიცენზია.

რაც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფილიალთა რეგისტრაციის წესს, იგი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით. კერძოდ, მან რეგისტრაცია უნდა გაიაროს ფილიალის დამფუძნებელი საწარმოს რეგისტრაციის ადგილზე მდებარე სასამართლოში. ამისთვის კი საჭიროა ფილიალის ადმინისტრაციამ წარადგინოს განცხადება რეგისტრაციის თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს აგრეთვე მისი ფილიალად ცნობის შესახებ დოკუმენტი. თუ ფილიალის ხელმძღვანელი სხვა პირია, მაშინ საჭიროა დამატებით წარდგენილ იქნეს საწარმოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პირის ფილიალის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ამ პირის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ფილიალის შექმნის აქტი და ადგილსამყოფელი. ყველა ეს დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს პარტნიორთა მიერ და დამოწმებული ნოტარიალურად. აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იყოს საწარმოს მარეგისტრირებელ სასამართლოში, რომელიც სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებთან ერთად უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს. ცალკე სპეციალური რეგისტრაციის ნომერი ფილიალს არ ეძლევა. იგი სარგებლობს იმ ნომრით, რომელიც მის დამფუძნებელს საწარმოს აქვს მინიჭებული.

2. იქვე, ვვ. 381.

3. Ноздрачев А., Легитимация предпринимателей, журнал «Хозяйство и право», 1992, № 10, стр. 27.



ამასთან, ამ ნომერს უნდა ჰქონდეს ფილიალის აღმნიშვნელი ნიშანი.

საწარმოთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებულნი არიან ნება განვიხილოთ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის შესახებ საკითხი.

საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია არ არის საწარმოს დაფუძნება. თუ საწარმო არ აკმაყოფილებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს და მისი ხელახალი რეგისტრაციისათვის უცილებელია ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში, მაშინ ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაუთანაბრდეს საზოგადოების ცვლილებების მიღებისა და მათი რეგისტრაციის წესს.

ხელახალი რეგისტრაციის დროს, როგორც წესი, პარტნიორთა კრებაზე იიღლება წესდების ახალი რედაქცია, რაც უტოლდება წესდების ცვლილებებს და არა საზოგადოების დაფუძნებას.

საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შესაცვლელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საწარმოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. ამის თაობაზე შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, კრებაზე გადაწყვეტილება მიიღო ხმათა უმრავლესობით, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის და კომანდიტური საზოგადოების დროს კი ყველა პარტნიორის თანხმობით.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს ახალ საზოგადოებაში პარტნიორთა წილების პროპორციათა შენარჩუნების, ძირითადი საქმიანობის საგნისა და რეორგანიზაციის დაწყების ვადის შესახებ (კერძოდ, ახალი სამეურნეო წლის პირველი ექვსი თვის ფარგლებში).

საზოგადოების ხელმძღვანელები ამზადებენ წესდებას და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებს, რომლებსაც ამტკიცებენ და ხელს აწერენ პარტნიორები. ნოტარიალურად დამოწმების შემდგომ კი საზოგადოების განცხადებასთან ერთად ყოველივე ზემოთ აღნიშნული დამფუძნებელთა მიერ წარედგინება შესაბამის სასამართლოს სარეგისტრაციოდ. რაც შეეხება საწარმოთა ადგილსამყოფლის შეცვლას, სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, მას ახლავს გარკვეული სირთულეები. მას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო რეგისტრირებულია მისი ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოში და იღებს გადაწყვეტილებას, რომ ახალი ადგილსამყოფელი ჰქონდეს სხვა რაიონში. რაც ხშირ შემთხვევაში არის საბაზი სასამართლოებისათვის მოითხოვონ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია.

უნდა ვთქვათ, რომ სასამართლოების ასეთი მიდგომა საკითხებისადმი არ არის სწორი და აი რატომ: ჯერ ერთი, რომ კანონს მხედველობაში აქვს საწარმოთა თავდაპირველი რეგისტრაცია. იურიდიული მისამართის შეცვლა კი, არ იწვევს საწარმოს ლიკვიდაციას ან მის ხელახალ რეგისტრაციას. აქედან გამომდინარე, კანონის შესაბამისად, სავალდებულოა მხოლოდ ცვლილებების რეგისტრაცია საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებსა და რეესტრის ფორმულარებში. მაგალითისათვის, საწარმო რეგისტრირებულია დიდუბის რაიონში, მაგრამ მიიღო გადაწყვეტილება გადავიდეს ისინის რაიონში. ეს არ იწვევს საწარმოს ხელახალ რეგისტრაციას. საწარმო რეგისტრირებულად რჩება დიდუბის რაიონში, ხოლო სარეგისტრაციო დოკუმენტებსა და რეესტრის ფორმულარებში შედის ცვლილება ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ.

როდესაც ვსაუბრობდით საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლის თაობაზე, მაშინ აღვნიშნეთ, და ახლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ სასურველად მიგვაჩნია კანონით გათვალისწინებული ყოფილი საწარმოს მარეგისტრირებელი სასამართლოს დავალა საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოსათვის გადაეგზავნათ საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტთა ას-

ლები, რაც ერთგვარად გააადვილებდა ურთიერთობას მეწარმეთა და მესამე პირებს შორის, რამეთუ კონტრაგენტების ვარაუდი ყოველთვის ეყრდნობა სამდამო დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობას მისი საქმიანობის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში. (გადაუგზავნობის შემთხვევაში კი ასეთი დოკუმენტები აღნიშნულ სასამართლოში ცხადია არ იქნება).

ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პარტნიორთა შეცვლის ფაქტის რეგისტრაციის საკითხი, ისევე როგორც მნიშვნელოვანია საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ფაქტის რეგისტრაცია.

ორივე შემთხვევაში მათი რეგისტრაციაში არ გატარება იწვევს საწარმოსათვის გარკვეულად არასასურველ იურიდიულ შედეგებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, სადაც პარტნიორთა რიცხვი შეზღუდულია 50-მდე, რაც სრულიად შესაძლებელს ხდის მათ რეგისტრაციას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით საკლდებულოა საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაცია, რადგან მხოლოდ ამ მომენტიდან წყდება საწარმოს, როგორც იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდაცია ხდება საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილებით, სასამართლოს მიერ საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში ან როცა საწარმოს წესდებაში აღმონდება „არსებითი ხარვეზები“. რაც შეეხება „არსებით ხარვეზებს“, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს წესდებაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ან მმართველობის ორგანოთა, პარტნიორთა და ა. შ. აღნიშნობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ სასამართლო ვალდებულია საწარმო გაატაროს რეგისტრაციაში სადამფუძნებლო დოკუმენტების წარდგენის დღიდან თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში. მაგრამ ამავდროულად სასამართლოს შეუძლია უარის თქმაც საწარმოს რეგისტრაციაზე, რის შესახებაც უნდა აცნობოს განმცხადებელს.

სასამართლოს საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სარეგისტრაციოდ წარდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტები არ შეესაბამებიან კანონის მოთხოვნებს ან არ არის დაცული საზოგადოების დასაფუძნებლად კანონით დადგენილი წესი.

რაც შეეხება საწარმოთა შეცდომით რეგისტრაციას, უნდა ითქვას, რომ რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და საზოგადოების ნებისმიერ პარტნიორს ან ნებისმიერ მესამე პირს არ განუცხადებიათ ამის შესახებ.

აღნიშნული წესი მიმართულია სამართლებრივ საზოგადოებათა სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რაც შეუძლებელია იმ ვარაუდის გარეშე, რომ რეგისტრირებული ფაქტები სწორია. ამიტომ რეგისტრაციის ოფიციალურ გაუქმებამდე, შეცდომით რეგისტრირებული საწარმო ითვლება უშეცდომოდ რეგისტრირებულად და პასუხისმგებლობის საკითხიც ღვება შესაბამისად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის თქმის ან საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საკასაციო წესით, რომელიც პროცესუალური ნორმის მიხედვით ან ძალაში ტოვებს გადაწყვეტილებას ან კიდევ აუქმებს და კონკრეტული მითითებით აბრუნებს იმავე სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

საკავი ნარბიჟილი

მოთხოვნის დათმობა და ვალის გადახანა

(ფაქტორინგი)

საქართველოში საკუთრების ინსტიტუტის განვითარებამ და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი ინსტიტუტების განვითარება, რომლებსაც საზოგადოება ნაკლებად იცნობს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც გვეხმის, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები დროულად ვერ ახერხებენ ერთმანეთში არსებული ვალდებულებებისა და დავალიანებების დაფარვას და შესრულებას, რის საფუძველზე მათ შორის წარმოიშვება დაუფარავი და გადაუხდელი ვალები, რომელიც წლების მანძილზე გადაუხდელი და ჩაუთვლელი რჩება. რა თქმა უნდა, ასეთი ვალდებულებები საწარმოებისათვის გაკოტრების მიზეზი ხდება და ეს ყოველთვის კონფლიქტებით მთავრდება. ასეთი ურთიერთობები აუცილებლად მოითხოვენ სამართლებრივ რეგულირებას და კანონიერი გზით ვალდებულებების დაფარვას.

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: „საქენერჯო“, „საქგაზი“, „თბილ-წყალკანალი“, სხვა კერძო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც წლების მანძილზე საჯაროდ აცხადებენ თავიანთ მოვალეებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ვალების დაბრუნებას. დავალიანების მქონე საწარმოების დასახელება, რა თქმა უნდა, ათობით და ასობით შეიძლება, მაგრამ. გასათვალისწინებელია, რომ ისინი გადასახდელი ვალების გარეშეც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, აუცილებელია მოცემული ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება ისე, რომ არ დავაზარალოთ ისედაც დაზარალებული იურიდიული და კერძო საწარმოები და რაც შეიძლება უმოკლეს ვალებში მოხდეს ვალების დაბრუნება სხვადასხვა ეკონომიკური პირობის გათვალისწინებით. ასეთი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის აუცილებელ პირობად მიმაჩნია მიმოვიხილოთ და გავეცნოთ თუ რას ნიშნავს მოთხოვნის დათმობა და ვალის გადატანა და რამდენად არის ეს საკითხები მოწესრიგებული დღევანდელ კანონმდებლობაში, რას გვთავაზობს ამ მხრივ ახალი სამოქალაქო კოდექსი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ასეთ ურთიერთობებს იცნობს, იგი მხოლოდ 50-იანი წლებიდან იწყებს სერიოზულ განვითარებას. ამიტომაც, რომ მისი ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე მოწინავე ქვეყნების პრაქტიკა მათ სხვადასხვა სახელწოდებით იცნობს. მაგალითად, საფრანგეთის კანონმდებლობა ასეთ ურთიერთობებს მოთხოვნის დათმობას — ცესიას უწოდებს და მხარეებს შესაბამისად მოთხოვნის დამთმობს — ცედენტს, ხოლო მოთხოვნის უფლების მიმდებს — ცესიონერს. ამერიკის კანონმდებლობით ასეთ ურთიერთობებს ფაქტო-

რინგი ეწოდება და სწორედ ასეთი სახელწოდებით პოვა მან აღიარება დღევანდელ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

ფაქტორინგული საქმიანობა თითქმის არცერთი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობით არ არის სრულად მოწესრიგებული, მაგრამ მისმა საერთაშორისო ურთიერთობებში გამოყენებამ, საფუძველი მისცა საერთაშორისო ორგანიზაციას „UNIDRVA“ შემუშავებინა კონვენცია, რომელიც 1988 წელს ოტავაში იქნა ხელმოწერილი მრავალი სახელმწიფოს მიერ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფაქტორინგული ხასიათის ურთიერთობებისათვის აუცილებელია წერილობითი ხელშეკრულების დადება მხარეებს შორის, რათა სრულად მოხდეს მისი სამართლებრივი რეგულირება, მაგრამ ამის შესახებ ვისაუბრებთ ქვემოთ.

ახლა გავეცნოთ თუ რა არის ისეთი ძირითადი უფლება, როგორცაა „მოთხოვნის უფლება“:

1. მოთხოვნის უფლება კრედიტორის საკუთრებაა და საკუთრების ინსტიტუტის პრინციპიდან გამომდინარე, მესაკუთრეს აქვს უფლება სარგებლობის და განკარგვის, ესე იგი, თავის შეხედულებისამებრ მოვალისაგან დამოუკიდებლად მას შეუძლია გაასხვისოს თავისი საკუთრება;

2. მოთხოვნის უფლების განკარგვის დროს კრედიტორს არ აინტერესებს თუ რა აზრი გააჩნია ფაქტორინგის შესახებ მოვალეს, კრედიტორი გადასცემს თავის საკუთრებას. (ამ შემთხვევაში უფლებას) ახალ კრედიტორს მოვალისაგან დამოუკიდებლად;

3. მას შემდეგ, როდესაც კრედიტორმა გადასცა მოთხოვნის უფლება მესაძე პირს, მესაძე პირი იკავებს კრედიტორის ადგილს, როგორც ახალი კრედიტორი (რა თქმა უნდა, იგი ხდება მესაკუთრე).

აღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოთხოვნის უფლება არის საკუთრება ანუ საკუთრების უფლება და მესაკუთრეს სრული უფლება აქვს იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ.

აქვე შევხერდეთ ვალის გადატანაზე. რა თქმა უნდა, მოვალეს შეუძლია ვალის გადატანა მესაძე პირზე ანუ ახალ მოვალეზე, მაგრამ ეს ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კრედიტორის თანხმობის შემდეგ.

შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მოთხოვნის უფლებისა და ვალის გადატანის დროს უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე ყველა ის პირობები, რომლებიც ადრე არსებობდა მხარეთა შორის, არ იცვლება, ისინი მხოლოდ გადადიან უფლების შემძენზე.

აღნიშნული შედარებებისა და მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფაქტორინგის საშუალებით შეიძლება ვალის დაბრუნება, საწარმოთა სახელზე არსებული აქტივების გაცოცხლება, ფულის სხვა ვალუტისა თუ ფასიანი ქაღალდების სახით.

ფაქტორინგული ურთიერთობის განხორციელებისას აუცილებლად უნდა მოიძებნოს ორგანიზაცია შუამავლის სახით, რომელიც განხორციელებს ამ ურთიერთობას. თავის მხრივ შუამავალი (ფაქტორინგული საწარმო) ფაქტორინგული ურთიერთობის განხორციელებისას იღებს ვალდებულებას ამოიღოს გალი მოვალისაგან და ჩაუთვალოს იგი კრედიტორს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მოვალისათვის შუამავალი საწარმო არის ახალი კრედიტორი და მოვალე მთლიანად ანგარიშვალდებულია ახალი კრედიტორის წინაშე.

შუამავალსა და კრედიტორს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე კრედიტორი იღებს ვალდებულებას აცნობოს თავის მოვალეს მოთხოვნის უფლების გადაცემის შესახებ, ხოლო შუამავალი იღებს ვალდებულებას ამოიღოს

აღნიშნული ვალი მოვალისაგან და ჩაუთვალოს კრედიტორს. რა თქმა უნდა, დაიბადება კითხვა, თუ რის საფუძველზე ახორციელებს შუამავალი ფაქტორინგს. კრედიტორსა და შუამავალს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებში მინიშნებულია თუ რა ვადაში კისრულობს შუამავალი ვალის ამოღებას და ამის შემდგომ რამდენი პროცენტი დარჩება მას ოპერაციიდან საკუთრებაში.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით პროცენტული ოდენობა, რომელსაც შუამავალი იღებს, შეადგენდა 0, 25%-დან 2,5%-მდე, ხოლო დღეისათვის, როდესაც უფრო ფართოდ გამოიყენება ფაქტორინგული ურთიერთობები, პროცენტული განაკვეთი იწყება 6,5%-დან 13%-მდე, ხშირ შემთხვევებში კი გასამრჯელო აღმატება აღნიშნულ ოდენობას. პროცენტები, რომელსაც კრედიტორი უხდის შუამავალს (ფაქტორინგულ ორგანიზაციას), იანგარიშება მოთხოვნის უფლების სრული ღირებულებიდან.

განხილული მაგალითებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ფონზე მინდა შევხებო ქართულ კანონმდებლობას, კერძოდ, თუ რამდენად არეგულირებს ასეთ ურთიერთობას სამოქალაქო სამართლის კოდექსი და რას გვთავაზობს ამ მხრივ ახალი ქართული სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

საკითხის სრულ მოწესრიგებას, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მაგრამ ის ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა მოწესრიგდეს ეს ურთიერთობები, მასში სრულად არის ჩამოყალიბებული. რაც შეეხება მხარეთა ვალდებულებებისა და პროცენტების განსაზღვრას, დავების გადაწყვეტას და სხვა პირობებს, მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს, რომელსაც კანონი ვერ განსაზღვრავს. მაგალითისათვის ძირითადი პრინციპები ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით „საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე“ შეიძლება შემდგენარად ჩამოვყალიბოთ:

1. მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავება შესაძლებელია, მფლობელმა შეიძლება (ე. ი. მესაკუთრემ) გადასცეს სხვა პირს (პირი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური) საკუთრებად, ესე იგი, საშუამავლო¹ ფაქტორინგულ ორგანიზაციას;

2. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთივე მდგომარეობაში, როგორც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყო. მნიშვნელოვანია აგრეთვე თუ რა ევალება ძველ მესაკუთრეს. ძველი მესაკუთრე ვალდებულია ახალ მესაკუთრეს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომელიც ეხება მოთხოვნებსა და უფლებებს, რაც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისათვის, აგრეთვე გადასცეს შემქმნის საჯაროდ დამოწმებული საბუთები ამ უფლებების და მოთხოვნების დათმობის შესახებ;

3. მოთხოვნის მფლობელს შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე, მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით.

კომენტარის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოვალემ თუ არ იცის ამის შესახებ, რომ კრედიტორმა მოთხოვნა სხვა პირს დაუთმო, მას აქვს უფლება ვალის დაბრუნება მოახდინოს პირველ კრედიტორთან. ასეთ შემთხვევაში ვალი ჩაითვლება დაბრუნებულად;

1. ტერმინი „საშუამავლო“ პირობითად გამოიყენება ასეთ ურთიერთობებში.

4. მოთხოვნის დათმობით ახალ მფლობელზე გადაღის მისი უზრუნველყოფის საშუალებანიც და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებიც. რაც შეეხება მოვალისგან ვალის ამოღების უზრუნველყოფის საშუალებებს, სამოქალაქო სამართალი იცნობს სხვადასხვა ხერხს: პირგასამტეხლო (ჯარიმა და საურავი), გირაო, თავდებობა, გარანტია, ჰიპოთეკა და სხვა;

5. თუ ერთი და იგივე მოთხოვნის დათმობაზე მოთხოვნის მფლობელი შეუთანხმდება რამდენიმე პირს, მაშინ მოვალის წინაშე უფლებამოსილი იქნება ის, რამდენადაც სხვაზე აღრე დაამყარა ურთიერთობა მოთხოვნის მფლობელმა.

ამგვარად, ეს გახლავთ ის ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა მოაწესრიგოს ახალმა სამოქალაქო სამართლის კოდექსმა ფაქტორინგული ურთიერთობები. რა თქმა უნდა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არ არის სრული სურათი ფაქტორინგის სამართლებრივი რეგულირებისათვის. აუცილებელ პირობად მიიჩნევა შეთანხმება, რომელიც დაიდება მხარეთა შორის, ჩამოყალიბდეს წერილობით და შესაბამისად იქვე განისაზღვროს ყველა პირობა, რომლებსაც მხარეები სთავაზობენ ერთმანეთს.

დასასრულს, გთავაზობთ ხელშეკრულების შინაარსს, რათა თქვენთვის შესაძლებელი გახდეს ასეთი ურთიერთობების განხორციელება:


თავდაპირველად, აუცილებელია ხელშეკრულებაში მივუთითოთ თუ ვისსა და ვის შორის იდება ხელშეკრულება. ამის შემდეგ უნდა ჩამოვყალიბოთ ხელშეკრულების საგანი, მაგალითად, ხელშეკრულების საგანია მოთხოვნის დათმობა. მოთხოვნის დათმობი გადასცემს თავის საგადასახადო მოთხოვნის უფლებას (უნდა მივუთითოთ რა ოდენობით) მოთხოვნის მიმღებს, აგრეთვე სასურველია ხელშეკრულების საგანში მიეთითოს თუ რის საფუძველზე არსებობს ეს მოთხოვნა კრედიტორსა და მოვალეს შორის.

ამის შემდგომ, განისაზღვრება მხარეთა ვალდებულებები და ის პირობები, რომელსაც მხარეები სთავაზობენ ერთმანეთს, ანგარიშსწორების პირობები, თუ არსებობს სხვა დამატებითი პირობები, დავების გადაწყვეტის წერილი და მხარეთა იურიდიული მისამართები.

ამდენად, ხელშეკრულება არის ის ძირითადი პირობა და იურიდიული საბუთი, რათა ყველა სადაო საკითხი გადაწყდეს წინასწარ გათვალისწინებული პირობებით.

გაიოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1958.
2. საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 1995.
3. საქართველოს სამოქალაქო სამართალი, ლექციების მოკლე კურსი, ნაწილი I, თენგიზ ლილუაშვილი, 1995.
4. საქართველოს 1997 წლის 26 ივნისის კანონი „სამოქალაქო სამართლის კოდექსი“, 1997.
5. Гражданское и торговое право капиталистических государств, 1—2 том, 1984.
6. Гражданское и торговое право капиталистических государств, 1994.



სავაჭრო სამართლის განვითარების გზა

1918 წელს „სავაჭრო სამართლის წყაროების“ გამოცემის წინასიტყვაობაში ე. დანილოვა და ა. ვორმსი წერდნენ: „სამართლის თითქმის არცერთ სფეროს არ უარყოფს სოციალისტური რევოლუცია ისე გადამწყვეტად, როგორც სავაჭრო სამართალს. ის პრინციპში უარყოფილია, როგორც ყველაზე მეტად „კერძო სავაჭრო აპარატი“. მაგრამ ცხოვრება ამ შემთხვევაშიც ხედოვნურ სოციალურ ექსპერიმენტებზე ძლიერი გამოდგება. ისევე, როგორც სხვა ვივიდური დისციპლინები, სავაჭრო სამართალიც უწყვეტად ვაცოცხლდება და კვლავ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს თურბილუდ მეცნიერებათა შორის. ამიტომაც მოცემულ მომენტში ჩვენი ამოცანაა მოვამზადოთ მასალა იმ მუშაკათათვის, რომლებიც შეისწავლიან და შეასწავლიან სავაჭრო სამართალს მაშინ, როდესაც რუსეთში სამართალი აღორძინდება“¹.

ჩვენი მიზანია კერძო სამართლის ამ დარგის ბუნების, მისი განვითარების ანალიზი, იმ დუმიდის კიდევ და კიდევ დარღვევა, რომლითაც ჩვენს სინამდვილეში მრავაღმა წედმა განვლო. აგრეთვე, სავაჭრო სამართლის განხორკიელებუდი კოდიფიკაციების გააზრება, რაც უკეთ დაგვანახებს მსავსებებსა და განსხვავებებს დღეს ჩვენს სამართალში მიმდინარე პროცესებთან.

* * *

სავაჭრო სამართალი კაბიტადისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული სამართალია. მას განისხილავდნენ როგორც კერძო სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს კერძო პირთა ურთიერთობას, წარმოშობილს მათ შორის ვაჭრობის ნიდავზე². თანამედროვე გაგებით, სავაჭრო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის ზოგადი და სპეციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც არგუდირებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს³.

1. А. Э. Вормс, Е. Н. Данилова, Источники торгового права, М., 1919, стр. 7.
2. ს. ჯაფარიძე, სავაჭრო სამართალი, თბ. 1925, გვ. 14.
3. В. Ф. Попондопуло, Понятие коммерческого законодательства. «Правоведение», 1993, № 1, стр. 11.

სხვაგვარად მას კომერსანტების სპეციალურ კერძო სამართალსაც უწოდებენ, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ არის ბიზნესწინა და რა თავისებურებები მოქმედებენ სავაჭრო საქმიანობის რეგულირების პროცესში⁴.

კერძო სამართლის ამ დარგის სამართლებრივი ბუნება, სამოქალაქო სამართალთან მისი მიმართების საკითხი, სავაჭრო-სამართლებრივი ნორმების ადგილი კერძოსამართლებრივი ნორმების სისტემაში სამართლის მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად განიხილებოდა სავაჭრო სამართლის განვითარების სხვადასხვა პერიოდში. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია სავაჭრო სამართლის მიერ განვიდილი გზის განხილვა.

სავაჭრო სამართლის დიტერატურაში გამოყოფენ სავაჭრო სამართლის განვითარების სამ პერიოდს: იტალიურს, ფრანკულს, გერმანულს⁵.

რომის კერძო სამართალი ცადკე დარგად არ გამოყოფდა სავაჭრო სამართალს, რაც ვაჭრობისადმი რომაელების უარყოფითი დამოკიდებულებით, რომის სამართლის მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათით, მკაცრი ფორმალისტით, იმდროინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებში კაპიტალისტური ედემენტების სუსტი განვითარებით აისნებოდა. მაგრამ სავაჭრო სამართლის ნორმები რომის სამართლისათვის უცხო არ ყოფილა, „ხანთა სამართალი“ სავაჭრო ხასიათით იყო განმსჭვადლი⁶.

სავაჭრო სამართალი, როგორც კერძო სამართლის თავისებური დარგი, ჩანსაზა შუა საუკუნეების იტალიაში, სადღაც ამ დარგის განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა. აქ წარმოიშვა დამოუკიდებელი ქალაქირესპუბლიკები კარვად განვითარებული ფუდალ-სასაქონლო მეურნეობით, რომლებიც დასავლეთ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ საზღვაო ვაჭრობის უენტრებს წარმოადგენდა. ამ ქალაქებში ჩამოყალიბდა ვაჭართა ძლიერი, მდიდარი ფენა, რომელსაც განსაკუთრებული ორგანიზაციული მოწყობა ახასიათებდა. ვაჭრები გაერთიანებული იყ-

4 დ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 27.
5. Г. Ф. Шершеневич, Учебник торгового права, М., 1919, стр. 9.
6 ამ გაგებით მას საერთაშორისო სავაჭრო სამართალსაც უწოდებდნენ.



ენზე გიდიებში — პროფესიული ინტერესებისა და წოდებრივი პრივილეგიების დაცვის მიზნით შექმნილ კავშირებში⁷. ეს იყო ვაჭართა პირველი კორპორაციები მკვეთრად გამოხატული წოდებრივი ხასიათით და საკუთარი სასამართლო ავტონომიით. გიდიის სპეციალურ წიგნში — მატრიკულში ჩაწერა (რეგისტრაცია) ქმნიდა ვაჭრის პრეზუმფციას.

გიდიებში შეიქმნა ვაჭართა განსაკუთრებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც ერთგვარი პროტესტი იყო შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფორმალზმის წინააღმდეგ. სწორედ ამ სავაჭრო ადათების საფუძველზე ჩამოყალიბდა ვაჭართა ფენის განსაკუთრებული სამართალი — *ius mercatorum*. ასე ეწოდებოდა იმიტომ, რომ ამ პერიოდში სავაჭრო ხასიათის მოქმედებების დასახასიათებლად ვაჭარმაწვევები მნიშვნელობა ჰქონდა სუბიექტურ კრიტერიუმს — ვაჭრის, როგორც ასეთის საქმიანობა განსაზღვრავდა ამ საქმიანობის სავაჭრო ხასიათს. ვაჭართა ფენის სამართალი სპეციალურ სავაჭრო კანონმდებლობაში — სავაჭრო სტატუტებში გამოიხატა. ერთდროულად ვითარდებოდა საზღვაო ვაჭრობის ჩვეულებები და ამ ჩვეულებების კოდიფიცირებული კრებულებები⁸. მათ საფუძველზე აავსეს სავაჭრო სამართლის შესახებ თეორიული დასკვნები პირველი კომერციალისტებმა — XVI—XVII საუკუნეების იტალიელმა იურისტებმა⁹. მათ ნაშრომებში გამოიხატა ვაჭართა ფენის განსაკუთრებული სამართლის განვითარება დამოუკიდებელი სავაჭრო სამართლის

იდეის აღიარებამდე (*ius mercatorum*-დან ვითარდება *ius mercatorae*). ეს იდეა ვულგარობდა სამოქალაქო სამართლისაგან განკერძოებული, განსაკუთრებული კერძო სამართლის არსებობას, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ვაჭრებთან დაკავშირებული ყველა ურთიერთობა: სავაჭრო, სამოქალაქო, კერძო, საჯარო, მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურიც. ეს სამართალი აგებული იყო ნების გამოვლენის თავისუფლების, კეთილსინდისიერების, სასყიდლიანობის, სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპებზე, გაცილებით ნაკლებ ფორმალისტზე, ვიდრე სამოქალაქო სამართალი. გამომდინარე ვაჭრობის მასიური ბუნებიდან, რომელიც დახვდა სახემწიფოთა საზღვრებს და მოითხოვდა ყველგან ერთნაირ წესებს, ეს სამართალიც უფრო კოსმოპოლიტურობით, ყველა ქვეყანაში გაერთიანების ტენდენციით ხასიათდებოდა¹⁰. მაგრამ სავაჭრო სამართლის იტალიურ პერიოდში დამოუკიდებელი სავაჭრო სამართლის იდეის განვითარება იტალიის დაქუცმავებულიობის გამო ცაღკუდი ქალაქების სამართლის დონეს ვერ გასვდა.

შუა საუკუნეების იტალიიდან საფრანგეთში სავაჭრო ჰეგემონიის გადასვლასთან დაკავშირებით, სავაჭრო სამართლის შემდგომი განვითარება ამ ქვეყანას უკავშირდება. ცენტრალიზებულ საფრანგეთში განხორციელდა იტალიელი იურისტების მიერ თეორიულად დამუშავებული სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეის ხორცშესხმა და ამ სამართლის ერთიან სისტემად ჩამოყალიბების მუდებობა სავაჭრო სამართლის პირველი კოდიფიკაციის გზით. ამ კოდიფიკაციის შედეგად დედოფალი XIV-ის დროს შეიქმნა ორდონანსები, რომლებიც კოდიფიკაციის მთავარი ინიციატორის — მინისტრ კოლბერის სახელის მიხედვით ცნობილი არიან როგორც კოლბერის ორდონანსები: 1673 წლის *Ordonnance de commerce* (სავაჭრო კანონი) და 1681 წლის *Ordonnance de la marine* (საზღვაო ვაჭრობის კანონი).

ეს ორდონანსები თავისი ბუნებით პირველი სავაჭრო კოდექსებია, მკვეთრად გამოხატული რეგულირების სფეროთი და კანონმდებლის ამოცანებით ამ სფეროში. „იმის გამო, რომ ვაჭრობა არის სახალხო სიმდიდრისა და ცაღკუდი პირთა კეთილდღეობის წყარო, მრავალი წლის განმავლობაში ვიზრუნებთ მისი აყვავებისთვის ჩვენს სამეფოში“. — ვკითხულობთ ვაჭრობის მომწესრიგებელი ორდონანსის წინასიტყვაობაში. ეს ორდონანსი აწესრიგებდა ვაჭრების, შუამავლების საქმიანობას, სავაჭრო წიგნების წარმოებასთან, თამასუქის გავლასთან, ვაჭრის ქონების ვასხვი-

⁷ ამგვარი კორპორაციები უდიდეს როლს თამაშობდა იმ ეპოქის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ უსწორებში. მათ ხელში იყო ხელისუფლებაც ზოგიერთ ქალაქში. საქმი იქამდეც კი მივიდა, რომ ვაჭრები დიდგვაროვნებს უღირსებად თვლიდნენ და ფორენცილაში პატრიციები იძულებულნი იყვნენ თავიანთი უფლებების შესანარჩუნებლად ფეიქართა და მატყლის დამმუშავებელთა გიდიებში ჩაწერილიყვნენ.

⁸ ეს კრებულები, რომლებიც საზღვაო ვაჭრობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებდა, წარმოადგენდა ვაჭრობის კოდიფიცირებული წესების პირველ ნიმუშებს, რომელთაც ერთნაირად სავაჭრულად ძალა ჰქონდა ყველა ქვეყნის ხომადლის მიმართ. აღსანიშნავია XI-XIV სს საზღვაო სამართლის წიგნი, XVI საუკუნის კრებული (1556-1584), რომელიც წარმოადგენდა სადაზღვევო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ კოდიფიკაციას და ა. შ.

⁹ სავაჭრო სამართლის მეცნიერული გადმოცემის პირველი ვადა დაკავშირებულია იტალიელი კომერციალისტ სტრაკას სახელთან. მის ტრაქტატში, რომელიც თარიღდება 1550-1555 წლებით, დამუშავებულია შუა საუკუნეების სავაჭრო სამართლის საკითხები და მოცემულია სავაჭრო სამართლის სისტემა, რომელმაც შემდეგ გავლენა მოახდინა სავაჭრო კოდექსების სისტემაზე.

¹⁰ თანამედროვე პერიოდში სავაჭრო სამართლის ამგვარი ინტერნაციონალური ხასიათი კარგად ვლინდება სავაჭრო სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო უნიფიკაციისაკენ მისწრაფებაში, განსაკუთრებით ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მაშტაბით.

სებასთან, ვაჭრის გაკოტრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სავაჭრო სასამართლო პროცესს. მასში ნაკლებად იყო დამუშავებული გარიგებები და საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი მოძღვრებაზე ვადებულებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ორდონანსმა მოახდინა სამეწარმეო საზოგადოებების პირველი საკანონმდებლო რეგამენტაცია.

აღნიშნული ორდონანსების ისტორიული მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ სწორედ ისინი დაედო საფუძვლად საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსს, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებებით ამჟამადაც მოქმედებს¹¹. საფრანგეთმა აირჩია კერძო სამართლის ელადისტური მოწესრიგების გზა, რომელიც გულისხმობს სავაჭრო სამართლის აღიარებას კერძო სამართლის ცალკე შტოდ, ვადკე სისტემად და ერთდროულად კერძო სამართლის ორი კოდიფიკაციის — სამოქალაქო სამართლისა და სავაჭრო სამართლის კოდექსების არსებობას.

საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი შედგება ოთხი წიგნისაგან: I. „ზოგადი დებულებანი ვაჭრობის შესახებ“, II. „საზღვაო ვაჭრობის შესახებ“, III. „ვადაუვალობისა და გაკოტრების შესახებ“, IV. „სავაჭრო იურისდიქციის შესახებ“. პირველი წიგნი არგუდირებს კომერსანტებთან, სავაჭრო წიგნებთან, სავაჭრო საზოგადოებებთან, ბირჟებთან, სავაჭრო აგენტებთან, თამასუქთან, ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კოდექსის დამასასიათებელი თავისებურებაა მასში მკვეთრად გამოხატული საჯარო სამართლებრივი ელემენტების არსებობა.

საფრანგეთის სავაჭრო კოდექსმა სავაჭრო სამართალში შემოიტანა მეტად მნიშვნელოვანი სიახლე, რომელმაც სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეის განვითარებას შეუწყო ხელი. ეს სიახლე კომერსანტის ცნებასთან და სავაჭრო გარიგებების კლასიფიკაციასთან არის დაკავშირებული.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად აღიარებულმა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობამ სავაჭრო სამართლის სუბიექტის ცნებას ჩამოაშორა ვაჭართა ფენისადმი მიკუთვნების ვიწრო წოდებრივი ნიშანი, რაც მანამდე კომერსანტის (ვაჭრის) ცნებისა და მთლიანად სავაჭრო სამართლის რეგულირების სფეროს განმსაზღვრელი იყო. ახლა ამ ცნებას სავაჭრო კოდექსმა სავაჭრო გარიგებები დაუღო საფუძვლად.

¹¹ ცნობილია, რომ საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის მიღება ბევრად დაჩქარა გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის გადარსიჯვის საჭიროებაში, რისი აუცილებლობაც საფრანგეთში XIX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე ფინანსურ კრიზისებთან დაკავშირებით წარმოიშვა. ნაპოლეონის მოთხოვნით დაუყოვნებლივ განხილულ იქნა სავაჭრო კოდექსის პროექტი, რომლის სისტემის შემადგენლობაშიც შედიოდა გაკოტრებისა და ვადუვალობის შესახებ ნორმები.

კოდექსის მიხედვით, კომერსანტებად მიიჩნევიან პირები, რომლებიც ასრულებენ სავაჭრო გარიგებებს თვითნებური ჩვეულებრივი პროფესიის განხორციელების პროცესში (მუხლი 1)¹². ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის სავაჭრო კოდექსს შემოაქვს სავაჭრო გარიგებების ე. წ. სუბიექტურ-ობიექტური სისტემა — გარიგებათა ნაწილი სავაჭრო ხასიათის მქონედ მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ახორციელებს კომერსანტი (სუბიექტური ანუ შეფარდებითი სავაჭრო გარიგებები)¹³, ნაწილი კი — თავისთავად, თვით გარიგების ბუნებიდან გამომდინარე (ობიექტური ანუ აბსოლუტური სავაჭრო გარიგებები). მიუხედავად იმისა, რომ არ მოუცია ობიექტური გარიგებების ჩამოყალიბებული შინაარსი, ობიექტურად არსებული სავაჭრო გარიგებების აღიარებით ფრანგულმა კანონმდებლობამ განამტკიცა სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეა და ბევრად განაპირობა მისი, როგორც კერძო სამართლის განსაკუთრებული დარგის თაობაზე თეორიული შეხედულებების ჩამოყალიბება. იმავდროულად, სავაჭრო კოდექსის მიმართება სამოქალაქო კოდექსთან ექვემდებარებულა სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის აღიარებას. ვინაიდან საფრანგეთში სამოქალაქო სამართლისა და სავაჭრო სამართლის კოდიფიკაციები პარალელურად განხორციელდა და ამასთან, სამოქალაქო სამართლის აღორძინების პერიოდში, მან ბევრად განაპირობა სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში სავაჭრო კოდექსის დამხმარე ხასიათი. მისი ნორმები მოქმედებდნენ, როგორც გამონაკლისი სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან, მათ საფუძველზე და, ამდენად, სისტემათა ელადიზმზე კი არა, უფრო ნორმათა ელადიზმზე შეიძლება დაპარაკი. ამ გარემოებაშიც განაპირობა სავაჭრო კოდექსის ნაკლები გავლენა სხვა ქვეყნების სამართალზე სამოქალაქო კოდექსთან შედარებით¹⁴. ფრანგულმა სავაჭრო კოდექსმა გავლენა მოახდინა ბელგიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის კანონმდებლობაზე.

თუ საფრანგეთში კოდიფიკაციის პროცესი სახელმწიფო ხელისუფლების ვენტრალიზაციის პირობებში მიმდინარეობდა, გერმანიაში — პირიქით. XIX საუკუნის დასაწყისის გერმანია წერდ სახელმწიფო-სამთავრობად დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობის გა-

12. Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран, М., 1986, стр. 109.

¹³ სუბიექტური და ობიექტური სავაჭრო გარიგებების შესახებ იხ. შერშენევიჩის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 82-113.

¹⁴ ცნობილია, რომ XIX საუკუნის თითქმის ყველა კოდიფიკაციამ განიცადა ფრანგული code civile-ს გავლენა.



მარჯვების შემდეგ აქ განსაკუთრებულ ძალით ილექილებს ეროვნული თვითშეინება და ძლიერდება გაერთიანებისაკენ სწრაფვა. ეროვნული მთლიანობის მიზნის განხორციელება გერმანიაში კერძო სამართლის გამთლიანებით დაიწყო. ამ მხრივ ყველაზე შესაფერისი სფერო სავაჭრო სამართალი (საქონლის) იყო. თავისი კონსმოლოგიური ბუნების გამო საერთო გერმანული სამოქალაქო კოდექსის იდეალს განსხვავებით, ის არ წარმოშობდა მიწას-თენ, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებთან, რელიგიასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაშიც გერმანული სახელმწიფოები ვერ რიგდებოდნენ. გარდა ამისა, გერმანიის ეკონომიკურ დონეს ველარ აკმაყოფილებდა მოქმედი პანდექტური სამართალი, რომლის რომის სამართლის რელიგიის შედეგად დამკვიდრებული ნორმებიც თითქმის გაუკუბოლებულიც გერმანული სინამდვილისთვის. კერძო სამართლის ნაწილობრივი კოლონიკური განხორციელების შედეგად 1861 წლის შეიქმნა საერთო გერმანული სავაჭრო კოდექსი, რომელმაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეის განმტკიცებას.

1861 წლის სავაჭრო კოდექსი მართლაც ქმნიდა კერძო სამართლის ერთგვარ დამოუკიდებელ სისტემას. მოქმედებდა რა ერთიანი კოდიფიცირებული სამოქალაქო სამართლის არარსებობის პირობებში, ის არ წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის დამხრებელ კოდექსს. ამ კოდექსმა განავითარა განსაკუთრებული სავაჭრო სამართლებრივი ბუნების ვადებულებითი სამართლის არსებობის იდეა, რომელიც სავაჭრო სამართლის დამოუკიდებელი კერძო-სამართლებრივი სისტემის აღიარებას ელ საფუძვლად და რომელიც საფრანგეთის სავაჭრო კოდექსში მხოლოდ სუსტად გამოიხატა. აქ ჩამოყალიბდა სავაჭრო გარიგებების მწყობრი სისტემა, რომელსაც ობიექტური და სუბიექტური ნიშნების განსხვავება დაედო საფუძვლად. სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეა გამოიხატა იმდროინდელი გერმანული სავაჭრო სამართლებრივი დიქტრატურის ბრწყინვალე განვითარებაშიც.

1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღებამ განაპირობა სავაჭრო კოდექსის მასთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება. 1897 წელს მიიღეს ახალი სავაჭრო კოდექსი, რომელიც ამჟამად მოქმედებს გერმანიაში. 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი გამოცდა იყო სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეისა. კვლავ დღესტურდა: ეს იდეა ვერ უძღებს ამ გა-

მოცდას. ახალმა კოდექსმა უარი თქვა ობიექტურ სავაჭრო გარიგებებზე. იგი 1861 წლის სავაჭრო კოდექსისაგან განსხვავებით მოქმედებს არა როგორც დამოუკიდებელი კერძო-სამართლებრივი სისტემა, არამედ მხოლოდ ავსებს საერთო სამოქალაქო სამართალს და მის მოდიფიცირებას ასორციელებს¹⁵.

1897 წლის სავაჭრო კოდექსი სუბიექტური პრინციპის მიხედვითაა აგებული და ორიენტირებულია კომერსანტებზე, როგორც სავაჭრო საქმიანობის მონაწილე პირებზე. ამიტომაც სავაჭრო სამართალს გერმანიაში სხვაგვარად კომერსანტების სპეციალურ სამართალსაც უწოდებენ. ამის თაობაზე დიქტრატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს გერმანული სავაჭრო კოდექსი უბრუნდება შუა საუკუნეების თვალსაზრისს, სამართლიანად აღნიშნავდა კამინკა, რომ სინამდვილეში აქ მხოლოდ მარჯვედ არის მოშვედებული შუა საუკუნეების სავაჭრო სამართლის მისაღები პრინციპები, რაშიც ვიდრედა ისტორიული განვითარების კანონზომიერება¹⁶. თუკი შუა საუკუნეებში სავაჭრო საქმიანობისათვის წოდებრივი ნიშანი იყო განმსაზღვრელი, გერმანულმა სავაჭრო კოდექსმა მას სავაჭრო საწარმოს ორგანიზება დაუკავშირა.

გერმანიის სავაჭრო კოდექსი შედგება ოთხი წიგნისაგან: I. „სავაჭრო წოდება“, II. „სავაჭრო საზოგადოებები და ამხანაგობები“, III. „სავაჭრო წიგნები“, IV. „სავაჭრო გარიგებები“. პირველი წიგნი აწესრიგებს კომერსანტებთან, სავაჭრო რეესტრთან, სავაჭრო ფირმასთან, გენერალური და სპეციალური მინდობილობის ცაცემასთან, სავაჭრო შუამავების, აგრეთვე კომერსანტის დამხმარე პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამ კოდექსმა გავლენა მოახდინა რიგი ქვეყნების, მათ შორის იაპონიისა და თურქეთის სავაჭრო კანონმდებლობაზე.

სავაჭრო სამართლის შემდგომი განვითარება და მისი დაახლოება სამოქალაქო სამართალთან კარგად გამოიხატა შვეიცარიისა და იტალიის მაგალითზე.

შვეიცარიაში, სადაც ნაკლებად იყო შემორჩენილი ფეოდალიზმის გადმონაშთები, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გააერთიანა სამოქალაქო და სავაჭრო სამართალი 1881 წლის ვადებულებითი სამართლის კანონში. ეს კანონი ცალკე წიგნად შევიდა შვეიცარიის 1911 წლის სამოქალაქო კოდექსში, რომელიც დღესაც მოქმედებს.

იტალიაში სავაჭრო კოდექსი 1882 წელს გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ 1919-1922 წლებში აქ კვლავ შეიქმნა სავაჭრო კოდექსის ახალი პროექტი, იგი უკვე მოწმობდა, რომ ჭირდა სავაჭრო სამართლის იმ ძლიერ ხეს, რომელიც თავის სიცოცხლისეულ ფუნქციებს ასრულებდა¹⁷.

15. Пауль Шустер, Основы германского торгового права. Основы немецкого торгового и хозяйственного права, М., 1995, стр. 21—22.

16. Каминка, Очерки торгового права, С.-Пт., 1911, стр. 10.

17. В. М. Гордон, Итальянский проект торгового кодекса, Харьков, 1925, стр. 7.

მართლაც, 1942 წელს იტალიამ გააერთიანა სავაჭრო და სამოქალაქო სამართალი ერთიან სამოქალაქო კოდექსში.

კერძო სამართლის დუალიზმი ახასიათებს საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებსაც. ინგლისში სავაჭრო სამართალი ქმნის საერთო სამართლის ნაწილს, თუმცა არ არსებობს სავაჭრო და სამოქალაქო კოდექსები დაწერილი სახით. აშშ-ში მოქმედებს 1952 წლის სავაჭრო კოდექსი.

* * *

სამართლებრივ არ გაუვლია ისტორიული განვითარების ისეთი გზა, როგორც დასავლეთ ევროპას — ქალაქების კერძო სამართლის განვითარებისა და ვაჭართა განსაკუთრებული ფენის ორგანიზაციის თვალსაზრისით, თუმცა ამგვარი მოვლენა არც ქართული სინამდვილისათვის ყოფილა უცხო. შუა საუკუნეების ქართულ ქალაქებშიც ჩამოყალიბდა ხელოსანთა და ვაჭართა პროფესიული გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც მოიხსენიებოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „ოფიკაიდი“, „თაბუნა“, „ასნაფი“, „ამქარი“. სწორედ ამ უკანასკნელი სახელწოდებით დამკვიდრდა ისინი სამეცნიერო დიტირამურში¹⁸.

ყოველი ამქრის სათავეში იღვა ამქრის თავი, რომელსაც მოძღვარს, უხუცესს, ამქარბაშს ან უსტაბაშს უწოდებდნენ. ამქარში გაერთიანებული იყვნენ ქარგდები და შეგირდები. ამქრის თავის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას ამქრის წევრთა შორის დავის გარჩევა ანუ ამქრის „შინავანი სამართლის“ წარმოება შეადგენდა. ამქრის საქმიანობა ზორცილებოდა წესდების საფუძველზე. არის მოსაზრება, რომ უნდა არსებობდა ქართული ამქრების ჩაწერილ წესდებთა კრებულები¹⁹. ეს წესდებები უნდა ყოფილიყო სავაჭრო სამართლის პირველი წყაროები, მაგრამ ქართული ამქრული ორგანიზაციები არ თამაშობდნენ ისეთ დიდ როლს საქართველოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც დასავლეთ ევროპის ვაჭარ-ხელოსანთა კორპორაციები და არც ამქრის „შინავან სამართალს“ მოუპოვებია ისეთი გავლენა ქალაქების კერძო სამართალზე, როგორც დასავლეთ ევ-

¹⁸ ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ. იხ. შ. მესხია, „სისისტორიო ძიებანი“, ტ. II, თბ. 1983, გვ. 507-607; ა. გუბუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., გვ. 167-181.

¹⁹ შ. მესხიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 553. რობაში ვაჭართა სამართალს. ქართული ამქრის საქმიანობა, მისი მოწყობა, მთლიანად მეფის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. მეფე და მისი მოხელენი აქტიურად ერეოდნენ ამქრის თავის არჩევაში, ამქრის წესდების დამტკიცებაში. ამასთან, ქართულ ამქარში უფრო მეტად შეძენილი ხელისუფლების გავლენის ორგანიზაციას ექცეოდა ყურადღება, ვიდრე ურთიერთობას

თანასწორ წევრთა შორის, რის გამოც ქალაქების ინსტიტუტი აქ მხოლოდ ჩანასახ ფორმებში შეინიშნებოდა და უფრო დამახასიათებელი შეგირდობის ინსტიტუტის არსებობა იყო. ამდენად, ისტორიულად კერძო სამართლის დუალიზმს ჩვენთან არასდროს მიუღწევია სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მკვეთრ გამოჯვანამდე, თუმცა ამის მიზეზი ფეოდალიზმის ძლიერი გავლენა და სამოქალაქო საზოგადოების არქონაც იყო.

ისტორიულად არც რუსეთის კერძო სამართალი იცნობდა დუალიზმს. მართლაც, XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპაში განხორციელებული კოდეფიკაციების გავლენით რუსეთის იმპერიაშიც იყო მიღებული სავაჭრო კოდექსის შემოღების²⁰, მაგრამ აქ სავაჭრო სამართლის დამოუკიდებლობის იდეას არ მიუღწევია ისეთი განვითარებისათვის, რომ ცალკე კოდექსში განსხვავებულიყო.

კერძო სამართლის ერთიანობა გამოიხატა 1835 წლის რუსეთის იმპერიის კანონთა წიგნშიც. ამ წიგნის XI ტომის მე-2 ნაწილი („სავაჭრო წესდება“), რომელშიც გაერთიანებული იყო სავაჭრო სამართლებრივი ნორმები, სამოქალაქო კანონმდებლობის ორგანული ნაწილი იყო. ამავე ერთიანობის გამოხატულება იყო რუსეთის იმპერიის ვადებულებითი სამართლის პროექტიც.

საბჭოთა წყობილების პერიოდში სავაჭრო სამართალმა, როგორც კერძო სამართლის ყველაზე მეტად „კერძო“ ნაწილმა, მისი ბედი გაიზიარა — უარყოფილ იქნა. მისი ადგილი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევებზე ორიენტირებულმა სამეურნეო სამართალმა დაიკავა.

სოციალისტური სამართლებრივი სისტემის დაღასთან ერთად ჩვენს სამართლის ისტორიაში დადგა პერიოდი, რომელიც სამართლის განვითარებას ყოველთვის ახდავს თან — როდესაც კოდეფიკაციის საკითხი უკანა პლანზე სწევს იურისპრუდენციის ყველა სხვა ინტერესს.

1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამით საბოლოოდ უარი ითქვა საქართველოში კერძო სამართლის დუალისტური სისტემის მიხედვით მოწყობის გზაზე, რომელიც არც ისტორიულად იყო დამახასიათებელი ქართული სამართლისათვის და არც კერძო სამართლის განვითარების თანამედროვე დონეს შეეფერებოდა.

ქართულმა კანონმდებლობამ აირჩია სავაჭრო კანონმდებლობის გამოხატულების ის ფორმა, როდესაც სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები გამოხატულებას პოულობს ერთიან სამოქალაქო კოდექსსა და სხვა სპეციალურ კანონებში²¹. კანონმდებლობის

²⁰ ცნობილია, რომ 1814 წელს იყო მიღებული მიწილთა კომერციული დებულება, რომელსაც უნდა ემოქმედა სამოქალაქო დებულების პარალელურად და შემუშავებული იყო ფრანგული კანონმდებლობის გავლენით.

²¹ ვ. პოპონდოპოლო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18-19.

ეს ნაბიჯი ქართული სამართლებრივი აზროვნების განსჯის, ფიქრისა და გაანალიზების, ქართული სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინების საფუძველზე გაკეთებული არჩევანით იყო შემზადებული²². კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ გააგრძელა და განავითარა ის საუკეთესო ტრადიციები, რაც დასავლეთ ევროპის სავაჭრო კოდექსებმა შეისინეს სამართლის მეცნიერებებს.

* * *

ზნა, რომელიც სავაჭრო სამართალმა განვლო, კერძო სამართლის ამ დარგის ბუნების თაობაზე არაერთგვაროვანი თეორიული შეხედულებებით გამოიჩინოდა.

ძველი ავტორების ნაწილს მიაჩნია, რომ სავაჭრო სამართალი არის კერძო სამართლის ვადკე შტო, ცადკე სისტემა და მას აქვს დამოუკიდებლად არსებობის პრეტენზია²³.

ამ შეხედულების მიხედვით, სავაჭრო სამართალი განმსჭვადულია სპეციალური სვდით, რომელიც მეტ-ნაკლებად უზხოა სამოქალაქო სამართლისათვის. სავაჭრო სამართალი არის რეფორმატორი, ახალი იდეების პიონერი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში. ამ მხრივ სავაჭრო სამართალს ამსგავსებდნენ ვდელტერს — ყინულის ხორჯი მოგორავს, ერევა ქვემოთ არსებულ საერთო მასაში, მაგრამ ზემოთ მის ადგილას კვდ ახალი წარმონაქმნები ჩნდება. ამიტომაც, ამ თვალსაზრისის მიხედვით, სავაჭრო და სამოქალაქო სამართლის ერთანობა ერთ კოდექსში მათი გაერთიანების გზით შესადებელია მიდწუდ იქნას მხოლოდ ვარგენტად. სინამდვილეში სამოქალაქო სამართლის ნორმებთან გაერთიანებული აღმონჩნდება სპეციალური სავაჭრო სამართლებრივი ნორმები²⁴.

ავტორთა სხვა ნაწილი უფრო მართებულად მიიჩნევდა სავაჭრო სამართალი განხილულიყო როგორც სამოქალაქო სამართლის ნაწილი, რომელსაც მიჩნეული აქვს თავისი მოქმედების ასპარეზი²⁵, ხლოდ კერძო სამართლის ორგვარ სამართლებრივ რეგულირებას ასაბუთებდა ისტორიული ტრადიციების გავდნით, სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების არსებულ დონესთან სამოქალაქო სამართლის ნორმების შეუსაბამობით და საკანონმდებლო მიზაძვით²⁶.

დღეს დუადისტური სისტემის ქვეყნებში სავაჭრო სამართალი არსებობს, როგორც კერძო სამართლის ცადკე შტო სავაჭრო კოდექსების სახით, თუმცა ეს უფრო საკანონმდებლო ტექნიკის ხერხია, ვიდრე სამართლის დამოუკიდებელ დარგად სავაჭრო სამართლის აღიარების თაობაზე თეორი-

ულ შეხედულებათა შედეგი. დუადისტური სისტემის ქვეყნებში გაბატონებულია მოსაზრება, რომ სავაჭრო სამართლის საფუძველი სამოქალაქო სამართალია და სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში სავაჭრო კოდექსის ნორმები განხილდება, როგორც კერძო ნორმები ზოგადის მიმართ²⁷.

სავაჭრო კოდექსებმა მოგვცა სისტემა, რომლის საფუძველზეც თეორიული დასკვნები უნდა ავებუდოყო. სამოქალაქო კოდექსიდან სავაჭრო კოდექსის ნორმების გამონაკლისი ხასიათი, აგრეთვე თავად სავაჭრო კოდექსიდან გამონაკლისი სპეციალური კანონების, როგორც არსებული გამონაკლისიდან კიდევ სხვა გამონაკლისების დაშვების საჭიროება, დასტურებდა არა ორი დამოუკიდებელი კერძოსამართლებრივი სისტემის დუადიზმის, არამედ ფაქტობრივად ნორმათა დუადიზმის არსებობას. თუ რა ფორმით იქნება გამონახტული სავაჭრო სამართლებრივი ნორმები, ეს არის მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის ხერხი, მაგრამ ამ ხერხს საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვყვართ — სავაჭრო კანონმდებლობის რეფორმა არ უნდა გამოვყოთ სამოქალაქო კოდექსის რეფორმისაგან²⁸.

სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციის გამოხატულებაა პროცესი, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში სამოქალაქო სამართლის კომერციალიზაცია ეწოდება. მას საფუძველად უდებს იმ მოვდენის პირობებთან და შეფარდებულობის აღიარება, რაც სამოქალაქო ბრუნვისა და სავაჭრო ბრუნვის გამიჯვნასთან და კერძო სამართლის სფეროს ორი დამოუკიდებელ სისტემად გაყოფასთან არის დაკავშირებული. სამოქალაქო ბრუნვის განვითარება აფართოებს სამოქალაქო სამართლის მოქმედების სფეროს და ვრცელდება იმ ურთიერთობებზეც, რომლებსაც სავაჭრო ბრუნვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სავაჭრო სამართალი არეგულირებს. ამის შედეგად ის ნორმები, რომელიც ადრე სავაჭრო კოდექსში იყო, თანდათან სამოქალაქო კოდექსში გადადის — ხდება სამოქალაქო სამართლის კომერციალიზაცია, თუმცა ეს არ ნიშნავს სავაჭრო სამართლის სრულ შერწყმას სამოქალაქოსთან. ამას მოწმობს იმ სპეციალური კანონების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც სავაჭრო სამართლის სპეციფიკურ საკითხებს არეგულირებენ.

სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებამ და ეკონომიკურმა პროგრესმა თავის დროზე განაპირობა ერთიანი კერძო სამართლის განყოფა, ამჟამად კი იგივე პროგრესი მისი გამდიდარებისაკენ მიისწრაფვის. საქართველოში მიმდინარე კოდიფიკაციებშიც ამ სწრაფვის გამოხატულებაა.

²² ს. ჯორბენაძე, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. სამართლის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 1994, გვ. 139-154.

²³ კამინკა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

²⁴ იქვე, გვ. 28-33.

²⁵ ს. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

²⁶ გ. შერშენვიჩი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56-57.

²⁷ ბ. შუსტერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

²⁸ მ. გორდონი, დასახელებული შრომა, გვ. XXXI.



აღმსარებელი სოფარი, ნონა მინიაშვილი

ეითანაზიის სპარტალიზმი და ზნეობრივი დონორული ასპექტი

ეითანაზია*, როგორც უიმედო მძიმედ დაავადებული ადამიანის იოლი, უმტკივნეულო სიკვდილის სამედიცინო მეთოდი, არ არის მხოლოდ სამედიცინო პრობლემა, არამედ თავისი არსით იგი მრავალსაფეხიანი დიდებია. ეითანაზიის ზნეობრივ-ეთიკური და სამართლებრივი პრობლემების მნიშვნელოვანი და რთული ასპექტების გამოკვლევა ადრე დაგვემარება საბოლოო დასკვნების გამოტანაში — იყოს თუ არ იყოს ეითანაზიის მეთოდი სამედიცინო პრაქტიკაში.

უნებლია, რომ თანამედროვე მედიცინაში საკმარისად არის შესწავლილი და ათვისებული ეითანაზიის პრაქტიკული მხარე, მაშინ როდესაც ეითანაზიის პრობლემის გადაწყვეტის ბიოეთიკურ და სამართლებრივ მიდგომებში მრავალი გაურკვევლობაა მრავალ ქვეყანაში, თვით წინააღმდეგობრივ კი.

ამ მიზნით ღირს ყურადღება გამახვილდეს იმ მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ დადგენილებებზე, რომლებიც მიმართულია სიკვდილის და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისაკენ, ზიანის მიმყენებელი ნებისმიერი ხეცოფის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ 1948 წლის დეკემბერში გაეროს ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „თითოეულ ადამიანს აქვს სიკვდილის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.

სამართლებრივ-დამცველობითი ფუნქციის კონკრეტულიზირება, რომელიც ადამიანს დაიკავს სიკვდილის ნებისმიერი სახით ხეცოფისაგან, აისახა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გაეროს საერთაშორისო პაქტში 1966 წელს, სადაც პირდაპირ მითითებულია: „სიკვდილის უფლება, თითოეული ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა, იგი დაცულია კანონით, არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიკვდილად“.

მეტა შეიძლება აღარ გავვეგრძობებინა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეითანაზიის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ მოსაზრებების სისწორეში, როგორც ეს წარმოვადგება სოციალურ-სა-

მართლებრივი პოზიციიდან, ჩვენ გვარწმუნებს აგრეთვე 124-ე მუხლში ფორმირებული დებულება სიკვდილი და ეითანაზია. საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში (ჯანდაცვის სამინისტროს და ჯანდაცვის მართვის ეროვნული ცენტრის კანონპროექტის კრიტიკით, რომელიც გამოქვეყნდა 1997 წ. იანვარში განხილვის მიზნით), კონკრეტულად 124-ე მუხლში მითითებულია „მედპერსონალს, ან ნებისმიერ სხვა პირს ეკრძაება ეითანაზიის განხორციელება, ან მასში მონაწილეობის მიღება“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემული მუხლის კატეგორიულობაზე გადამწყვეტი გავდენა მოახდინა არა მარტო მედიცინის ჯეშმარტივად ჰუმანურმა პრინციპმა, არამედ თვით ეითანაზიის გამოყენების იდეის აბსოლუტურმა მიუღებლობამ, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ავადმყოფი ნებაყოფლობით დაჟინებით ითხოვს მას.

ეითანაზიის სოციალურ-სამართლებრივ პრობლემებზე ძალზედ ღარიბი დიტირატურული მასალებია, თუ არ ჩავთვლით ვადკუდ სტატიებს ჟურნალებში და ზოგიერთ ნაშრომს. მაგალითად, ა. ორლოვის წიგნის დასკვნით თავში გამოტანილია მოსაზრება: „ეიტანაზია, ესაა ფიცის, გატეხა, და უსაზღვრო დანაშაული“.

ცადკე უნდა გამოიყოს ძირითადი კრედიტი და სასაბუთების მიხედვით ეითანაზიის მომხრეების მიერ წამოყენებული მოკლე რეზიუმე, სიცოცხლიდან ნებაყოფლობით წასვლის უფლების კანონის არსებობა, რასაც ავტომატურად მიგვაყვართ ეითანაზიის გამოყენების ნებართვისაკენ. მისი დაშვების გარემოების პირობების განსაზღვრისაკენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეითანაზიის ნებართვის დაკანონებისას შეიძლება შეიქმნას რეალური საშიშროება პრაქტიკული მედიცინის სფეროში ჩადენილი დანაშაულობების მომხრეებისა, თანაც ისინი შეიძლება ჩადენილი იქნან იმდენად პროფესიულად, ზუსტად და ფარულად, რომ მათი მხილება საკმაოდ რთული საქმე იყოს, ზოგჯერ კი სამხილის ძიება უპერსპექტივო და შეუძლებელიც კი.

მოსაღონებია, რომ უკურნებელი ავადმყოფების განზრახ მკვლელობა, მათ შორის მათი ძალღატაკებითი თანხმობით (ან იმათი, ვინც ვინმესთვის გახდა უსარგებლო, და ავადმყოფობის

* ეითანაზია — უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანის სიკვდილის შეწყვეტა სამედიცინო მეთოდების გამოყენებით, როცა არის ავადმყოფის თხოვნა ან ნებაყოფლობითი თანხმობა.

პერიოდში მოექცა მედპერსონალის ნების ქვეშ), თუ ზოგიერთმა ექიმმა უარი თქვა ჰუმანური პროფესიის ზნეობრივ-დემონტოლოგიურ პრინციპებზე და თუ თავისი მომხვედრე-ანგარბიანი მიზნებისათვის გამოიყენებს თავის უშუალო კონტაქტს ავადმყოფთან მკურნალობის პროცესში, მესამე პირის დანაშაულებრივი ინტერესების შესასარღებლად, ეს გაზრდის მედიცინის სფეროში ჩადენილი დანაშაულების პროცენტს. ზოგჯერ კი ასეთი საქმეების გასსნის საეჭვო პერსპექტივით, რადგან ასეთი სახის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის არსებითი პირდაპირი ნიშნების არსებობის გარეშე შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგაც კი შეიძლება აღმოჩნდნენ რთულ მდგომარეობაში კატეგორიული დასკვნების გამოტანის დროს.

სტატიაში „სისხლის სამართლის საქმეების სამედიცინო გამოკვლევების წარმოების დროს პირთების კანონიერი ინტერესების და უფლებების გარანტიების გაძლიერების შესახებ“ ე. ს. გორდონი და ზ. ზ. ზინატლინი აღნიშნავენ, რომ „სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია მრავალნაირ პროცესუალურ, მათ შორის სამძებრო მოქმედების წარმოებასთან, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევასთან. მათი ჩატარების ობიექტია ადამიანი, რომლის სხეულის ზედშეუღებავ დაცულია კანონით... ადამიანის ორგანიზმში სამედიცინო ჩარევაზე თანხმობას უფრო ხშირად იღებენ დარწმუნების მეთოდით“¹ ესეუ შეიძლება მივაბატიოთ ეითანაზიის საწინააღმდეგო არგუმენტებს, იმ სამართლებრივი საფუძვლის დადგენისას, რომელთაც შეუძლიათ მისცენ მედპერსონალს, ან ნებისმიერ სხვა პირს კანონის დაურღვევად მიმართონ მოცემულ მეთოდს, მიუხედავად მისი ანტიჰუმანური არსისა და პრინციპში მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივის დაუშვებლობისა.

ეთანაზიის სამართლებრივი შეფასებისას სწორად მიგვაჩნია ამოვიდეთ იმ წინამძღვრებიდან, რომ ექიმების, ან სხვა პერსონალისგან მისი განხორციელებისათვის ჩადენილი შეგნებული ქმედება, თავისი არსით, ფაქტობრივად, ავადმყოფი ადამიანის განზრახ მკვლელობაა, რომელიც თავად გაათვითვნობიერეს საკუთარი მდგომარეობის უიმედობაში და გამაყრებელი საშუალებების შეწყვეტის შემთხვევაში ტანჯვაში მყოფი ავადმყოფი ითხოვს, ან იძლევა თანხმობას მის მიმართ ეითანაზის გამოყენებისა. ამ ტრავიკულ გარემოებაში შეიძლება კი, მოვძებნოთ შეხების წერტილი, ან შევუთანხმოთ ერთმანეთს ძირითადი ქრისტიანული მცნებანი „არა კაც კლა“, „გიჟ გარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“;

ავრთვე ექიმ ბიოეთიკოსების ნაქადაგვი უკურნებლად ჩათვლილი მძიმე ავადმყოფის მოკვლელების ფაქტი ეითანაზის მეთოდით? აქ არა აქვს მნიშვნელობა სამოსის ფორმას, რომლითაც შემოსილია ეს სამედიცინო პროცედურა, რომელიც ითვლება თითქოსდა „კეთილშობილურ“ სიკვდილად, მაგრამ არსით არის ავადმყოფის მკვლელობა, თუნდაც ავადმყოფის მკაცრი გამოხატული თხოვნისა, ან წერილობითი თანხმობისა ეითანაზიაზე.

თუ სამედიცინო პერსონალის ასეთ მოქმედებას შევაფასებთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებებით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანის მკვლელობისათვის, მაშინ ყველა იმ ნიშნების მიხედვით, რომელიც საჭიროა, რათა აღნიშნული მოქმედება იყოს აღქმული როგორც კანონსაწინააღმდეგო, ეითანაზიის ჩამდენი ექიმით, ან სხვა პირი შეიძლება მიჩნეული იქნას განზრახ მკვლელობის ჩამდენად წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, როგორი კეთილშობილური გარეგნული ანტურაჟი უნდა ჰქონდეს მას, რა გულის წადიდის და შექმნილი პირობების გამართლებაც უნდა იყოს მოცემული ქმედება (თვით იმის გათვალისწინებითაც კი, რომ იგი ჩადენილ იქნა ეითანაზიას დაქვემდებარებული პირის „ნებაყოფლობით“ სურვილზე), ვერ გააბათილებს საწინააღმდეგო არგუმენტებით ამ ადამიანის სიცოცხლის ხეცოფისაკენ მიმართულ კანონსაწინააღმდეგო და არაბუნებრივ ქმედებას.

მთედმა რიგმა არგუმენტებმა შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დაადსტურონ ეითანაზიის კანონიერების ნეგატიურობა და მისი საყოველთაო დაკანონების აკრძალვის მიზანშეწონილობა. მის ნაწევად საჭიროა შემოთავაზებული იყოს ჰუმანური გზა, რომ შეიქმნას ხელსაყრელი პირობები უკურნებელი ავადმყოფებისათვის, რათა ისინი მშვიდად გადავიდნენ იმ ქვეყნად ბუნებრივი გზით.

ჯერ კიდევ 1979 წელს გერმანიის ქირურგიული საზოგადოება და ექიმთა ფედერალური პალატა განიხილავდა საკითხს ეითანაზიის შესახებ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის ღიაგნოზი არ არის საბოლოო, მაშინ უკურნებელი ექიმმა უნდა მიმართოს ყველა ხელაარსებულ სამედიცინო საშუალებებს იმისთვის, რომ ავადმყოფს გაუნანგრძლივოს სიცოცხლე. ხოლო თუ ავადმყოფის ღიაგნოზი ეჭვს არ იწვევს და ავადმყოფს უკიდობლად ელოდება ტანჯვა, მაშინ სამედიცინო პერსონალი ვადლებულია მიმართოს ტკივილგამყურებელ პრეპარატებს და არავითარ შემთხვევაში არ მიიღოს რაიმე ქმედება ავადმყოფის სიცოცხლის შესამოკლებლად. მით უმეტეს ჩაიღონოს აქტი ეითანაზია — „მკვლელობა თხოვნით“. მომდევნო წლებში ამ საკითხების განხილვა გრძელდებოდა სხვადასხვა დონეებზე, 1988 წ. ჩატარდა ექიმთა და თეოლოგთა კოლექტიური ტუტინგვი (გერმანია), რომელმაც ავადმყოფის სიცოცხ-

¹ См. ж. «Судебно-медицинская экспертиза», 1988, № 4, с. 3.



დის ხედოვნური შეწყვეტა უკანონოდ და დაუშვებლად ჩათვალი.

გარდა ამისა, როდესაც ბუნდესტაგში იხილავდნენ საკითხს დასაშვებია თუ არა „შტირბეხილი“, დეპუტატების ნაწილი მივიდა იმ აზრამდე, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას საკანონმდებლო დაცვა ავადმყოფებისა ერთანაზისაგან, მისი გამოყენების კანონმდებლობით აკრძალვამდე. ამასობაში ჩვენს და საზღვარგარეთულ პრესაში აღინიშნებოდა, რომ არსებული კანონმდებლობა გერმანიაში არ ღვენიდა იმ პერსონალს, რომლებიც იყენებდა ერთანაზიას იმ ავადმყოფთა ნების შესასრულებლად, რომლებიც სამედიცინო დასკვნების მიხედვით ითვლებოდნენ განკურნებისათვის უიმედოდ, კანონში არაორაზროვნად იყო მითითებული, რომ არ შეიძლება დაისაჯოს ავადმყოფის მოკვდინება მისი ნებაყოფლობითი თანხმობით, თუ დაუტოვია შემდეგი აუცილებელი პირობები:

1. თუ ავადმყოფი იმყოფებოდა უმძიმეს მდგომარეობაში, რომლის მეტად ატანა აღარ შეეძლო;
2. თუ მიკვადებულის ნება სიცოცხლეში გამოთქმული იყო არაორაზროვნად;
3. თუ მას არ შესწევდა უნარი თავი მოეკლა;
4. თუ არც ექიმი და არც ავადმყოფი არ მოქმედებდა ძაღლატანებით (ე.ვ. ბოკუნი და ად. პლუტნიკი დაწვრილებით გადმოგვეცემენ გერმანიის საზოგადოება „ჰეიმანუი მოკვდინების“ პრეზიდენტ ბ. ატროლთან ინტერვიუს და მოჰყავთ მონაცემები გერმანული კანონმდებლობის შესაბამისი პარაგრაფების მონაცემთა შემდგომი ცვლილებებით².

იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ერთანაზია, გერმანიაში მიმართეს გზას შექმნათ უიმედო ავადმყოფებისათვის შესაბამისი გარემოება. თავისი რეალიზაცია ამან პოვა პალიტური ქირურგიის განყოფილებებში. კოლინის უნივერსიტეტში დაიწყო განხორციელება იღვამ „ჰოსნისხილფი“. შემდგომ მის კვადს მიყვნიენ ანდოლოური კლინიკები ნიურბერგში, ახენში და გერმანიის სხვა ქადაქებში. ასეთივე გამოჩენული თავისებურება აქვს ინვლისს, სადაც არსებობს უიმედო ავადმყოფთა სახედმწიფო ჰოსპიტლების ფართო ქსედი ე. წ. ზოსპისების სისტემის მიხედვით. ეს იძლევა საშუალებას მძიმე ავადმყოფთა, ვისი და ავადებაც ითვლება განკურნებლად, დაასრულონ სივოტების დაჩენილი ნაწილი სტაციონარულ პირობებში, სადაც მათ ტანჯვას შეამსუბუქებს ექიმთა ზრუნვა და უმტიკინეულო დასასრული მოხდება ბუნებრივ პირობებში, ყურადღების და ზრუნვის ატმოსფეროში.

როგორც ვხედავთ, საზღვარგარეთული სამედიცინო პრაქტიკა გვიჩვენებს დადებით მაგალიტს საკმაოდ აპრობირებული მეთოდის: კლინიკურ პი-

რობებში შეუქმნათ უკურნებელ ავადმყოფებს, ვისი სიკვდილიც მოახლოებულია, კეთილსიმედო პირობები, მაგრამ ამავე დროს არც ფიქრებენ მათი სიცოცხლის ვადამდე შეწყვეტაზე, არამედ უქმნიან მათ ყურადღების და სიმყურდროვის ატმოსფეროს, მთაბერავენ მათ სულიერ სიმხნევეს და იმედს იმისა, რომ იგი საზოგადოებისათვის ღემდეტი არაა, მიუხედავად იმისა, რომ უკურნებელი დაავადებების გამო განწირულია სიკვდილისათვის.

სრულიად გამართლებულია ერთანაზის პირობების შეუქმნე მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ღლის თუ არა საერთოდ მივმართოთ მას ექსტრემალურ შემთხვევებში, თუ უფრო გონივრულია ავიჩიოთ კეთილშობილური გზა და შეიქმნას კლინიკებთან, ან დამოუკიდებლად ჰოსპისის ტიპის თავშესაფარი, მყუდრო გარემოთი, რათა, უკურნებელი ავადმყოფები ყოველგვარი სტრესის გარეშე წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ასეთ ვარიანტს აქვს კანონიერი არსებობის უფლება ჩვეთთანაჲ. მისი ყველა ასპექტის წინასწარი აუცილებელი კომპლექსური განკვევების ჩატარების რეალიზაცია პრაქტიკულ განხორციელებაში გადასვლამდე.

ერთანაზის გამოყენების დაშვების საწინააღმდეგოდ სწორად მიგვაჩნია მოვიყვანოთ შემდეგი წინადადებები და დასკვნები:

- 1) ერთანაზია არის ადამიანის სიცოცხლის ნაადრევედ შეწყვეტის ხედოვნური მეთოდი, რა მოტივითაც არ უნდა ხედმძღვანელობდნენ მედ-მუშაკები, ან ავადმყოფობისაგან გაწამებული მძიმე ავადმყოფი. ამავე დროს არ შეიძლება არ გავითავადისწინოთ ავადმყოფის ფსიქოლოგიური განწყობა ან სხვაზე დამოკიდებული მდგომარეობა. ავადმყოფს აზრი ერთანაზის შესახებ შეიძლება გაუჩნდეს სპონტანურად. ეს შეიძლება იყოს განპირობებული მისი ავადმყოფობის კრიზისული მომენტებით, მძიმე განცდებით, ან მკურნალობის პროცესში დასაქმებული მედპერსონალის გავლენით, და ყოველთვის შეიძლება თუ არა იყოს ექიმი თავისი არჩეული მოვალეობის სიმძლფეზე ერთგული იყოს ჰიპოკრატეს ფიცისა, წინ აღუდგეს ავადმყოფურ აზრებს და უარი უთხრას ერთანაზიის შესრულებაზე სხვადასხვა მოტივით, ან მიზეზით. ეს სიფრთხილე არ არის ნიდავამოკლებული, თუ გავითავადისწინოთ თანამედროვე საზოგადოებაში ანჭარბიანი მისწრაფების განვითარების ტენდენციებს;

- 2) საფუძვლიანი ეჭვების გამო საკმაოდ უნდა ავწონდავწონოთ ინკუაბედური, უიმედო ავადმყოფის წერილობითი, მითუმეტეს ზეპირი, ავადმყოფის ისტორიაში დაფიქსირებული თანხმობა ერთანაზიაზე, მათ ვინც გადაწყვიტა წავიდეს ამა სოფლიდან ასეთი გზით. ეს გადაწყვეტილება შეიძლება მომწიფდეს იმ განვადების საფუძველზე, რომელსაც განიცდის ავადმყოფი, როდესაც პირველად გაეცნობა საკუთარი დაავადების დიაგნოზს;

- 3) თანამედროვე მედიცინის მდგომარეობა და მისი განვითარების ახლო მომავლის პერსპექტივები, ტკივილგამაყურებელი მოქმედების ახალი

2 Е. Бовкун, А. Плущник, Процесс — Помочь умереть или помочь жить? газ. «Известия», 1989 — 21 апреля. № 111, с. 5.

პრეპარატების შემოღება, ვგაძღვეს საფუძველს ჩვეთვალთ, რომ სრულიად შეიძლება ეითანაზის შეცვლა უფრო სრულყოფილი მეთოდებით, რომელიც ავადმყოფს შეგვიანარჩუნებს ზუნებრივ სიკვდილთან მიახლოებულ სტადიაზე. მაშასადამე, განსაკუთრებულად ოპტიმადღურად ითვლება მიოზინოთ მომავლადვი ადამიანის მდგომარეობის შემსუბუქებისათვის გაწეული მოქმედება ყველა რიგის სამედიცინო ხერხების და ეთიკო-ფლოტოლოგიური გზების გამოყენებით, რაც კანონმდებლობით უნდა იყოს დაფიქსირებული;

4) მიზანშეწონილია, დაგროვილი საზღვარგარეთული გამოვლიდების გათვალისწინებით, მრავალბროფიდიანი კლინიკური საავადმყოფოების ბაზაზე სპეციალიზირებული განყოფილებების ორგანიზაციის შესაძლებლობების შესწავლა (სასურველია ცადკვეთი სანატორიუმის ტიპის კორპუსი თავისი ტერიტორიით), რომელიც გათვლილი იქნება უკურნებელი ავადმყოფების მოსათმენი რეჟიმის პირობებში შენარჩუნება, გამაუტკვარებელი საშუალებების მიღებით, ზუნებრივი სიკვდილის მომენტამდე. რასაკვირველია, იგულისხმება, რომ ამ საქმის რეალიზაციისათვის გვესაჭიროება შესაბამისი ფინანსური ასოგნებების გამონახვა, და რომ ასეთი სამკურნალო დაწესებულებების ამოქმედების შემდეგ დანახარჯი ანაზღაურდება ხედშეკრულების საფუძველზე. სამკურნალო დაწესებულებების ამოქმედება, აგრეთვე იმ სამართლებრივი ბაზის მომზადება, რომელიც განსაზღვრავს მათ სტატუსს, მოღვაწეობის ძირითად მიზნებს, მომუშავე პერსონალის უფლებებს და მოვალეობებს;

5) რამდენადაც საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობის საფუძველების მიღებისას სავარაუდოა რომ შეტანილი იქნება ეითანაზის აკრძალვა (ჯანდაცვის სამინისტროს და ჯანდაცვის მართვის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული კანონპროექტის ვარიანტის 22-ე თავი), საჭიროდ წარმოგვიდგება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გვეკონდეს სპეციალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს მოკვმილი დანაშაულის შემადგენლობას და კონკრეტულ სანქციებს. ეს ზომები უკვე აუცილებელია იმისათვის, რომ თუ ეითანაზის გამოყენების კანონიერი აკრძალვის საპირისპიროდ საქართველოს ტერიტორიაზე იქნება შემთხვევები მისი არადეკლარირი განხორციელებისა, არ უნდა დარჩეს შესაბამისი საკანონო რეაგირების და დაუსჯელობის გარეშე სისხლის სამართლის წესით მისი ჩამდენი, ან მასში თანამონაწილე პირი;

6) ეითანაზის განხორციელების ცდისაკენ მიმართულ ვარემოებებში და მოქმედებებში სისხლის სამართლის ნიშნების არ არსებობის დროს, მილიან რა უკურნებელი ავადმყოფის დაუნიებელი მუდარის შესასრულებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფასიანი სამედიცინო სამსახურის პირობებში იყოს საფუძველი, რომლის მიხედვით შეიძლება წარედგინოს სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩედი მორადური და მატერიალური და-

ნაკარგების ასანაზღაურებლად იმ პირების მიმართ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ მონაწილენი ამგვარ ცდებში, ან პრაქტიკულად ამზადებენ ეითანაზს, აგრეთვე იმ სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ, სადაც ავადმყოფის მკურნალობა მიმდინარეობდა და რომელიც პასუხს აგებს მიმდინარე მკურნალობაზე ხედშეკრულების საფუძველზე (ფასიანი, ან სადაზღვევო მედიცინის დროს).

რაც შეეხება სამკურნალო დაწესებულების სამოქალაქო-საკანონმდებლო პასუხისმგებლობას, სამედიცინო მომსახურებისას ახად პირობებში შეიძლება აიგოს ხედშეკრულების საფუძველზე, ამიტომ ნათელია, რომ „ზიანის მიყენების დროს, ჯანმრთელობის შერყევის, ან პაციენტის სიკვდილის შემთხვევაში, იმ სამკურნალო დაწესებულების პასუხისმგებლობა, რომელიც აუნაზღაურებედ სამსახურს უწევდა პაციენტს, პრინციპულად არ შეიძლება არც მოცულობით, არც წარმოქმნის საფუძველით იყოს ისეთი, რომელიც უნდა აილოს თავის თავზე ჩვეულებრივ სამკურნალო დაწესებულებამ, მაგრამ არ არის არანაირი წინააღმდეგობა ხედშეკრულებით დადგინდეს მომეტებული პასუხისმგებლობა. არ არსებობს წინააღმდეგობა ამალდეზულ პასუხისმგებლობის ხედშეკრულებით დადგენისათვის, ბოლო შემთხვევაში შეთანხმებით პასუხისმგებლობა გამოდევნის დედიქტურს, იმდენად რამდენადაც იგი დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრედი აღმოჩნდება. ასეთი პასუხისმგებლობის განმტკიცების ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება გვემსახუროს სამედიცინო დაწესებულების (რომლებიც აღმოუჩენენ ფასიან დაზარალებას), მკურნალობის შედეგის შემთხვევით მიულწევლობის რისკის აღება თავის თავზე. სამკურნალო დაწესებულების სახედშეკრულებით ვადეზულებებში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ის თავის თავზე იღებს სხვადასხვა სახის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შედეგებს, რომელიც ირიბად დაკავშირებულია მკურნალობასთან...”

სრულიად თვალსაჩინოა, რომ თუ სისხლის სამართლის კოდექსში იქნება სპეციალური მუხლი, რომელიც დაადგენს ეითანაზის გამოყენების დროს პასუხისმგებას, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობაში და ჯანდაცვის კანონმდებლობის საფუძველებში შეტანილი იქნება შესაბამისი ნორმატივები, რომელიც განსაზღვრავს პაციენტსა და სამკურნალო დაწესებულებას შორის დადებული სახედშეკრულებო ვადეზულებების დარღვევის დროს შემოთ აღნიშნულ მატერიალურ სანქციებს, მაშინ ეს გარკვეულ მაფხიზებედ ფაქტორის როლს შეასრულებს, არ დაუშვებს მედპერსონალისაკენ პროფესიის ბოროტად გამოყენებას და დარაზმავს მათ თავიანთი პროფესიულ-პუმინისტური დანიშნულების კეთილშინდისიგრად შესასრულებლად. თუ შემოთქმულს დაეცევიდნობით, შეიძლება გამოვიტანოთ რიგი დასკვნები ეითანაზის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტების განხილვის დროს, თუ როგორ წარმოგვიდგება ისინი საზოგადოების განვითარების და მედიცინის უახლესი მიღწევების თანამედროვე პირობებში.

მარინა პაპუნაშვილი

იფექტის გამართლების პირობები

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ზედმეტად აფართოებენ იმ შინაარსს, რომელიც უკანონო ძალადობაში ან მძიმე შეურაცხყოფაშია ჩაქსოვილი, რომელთა ხარისხიც სასამართლომ უნდა დაადგინოს ყოველ კონკრეტულ საქმეზე.

აფექტური ქმედობა შემამსუბუქებელ გარემოებად რომ მივიჩნიოთ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ პირობებს.

უცხოეთის ქვეყნების იურისტების უმრავლესობა აფექტის გამართლების პირობას ხედავს ობიექტურ კრიტერიუმში და მხედველობაში არ იღებს სუბიექტურ კრიტერიუმს.

ფსიქიატრ ხ. ბინდერს აფექტი გამართლებულად მიაჩნია მაშინ, როცა არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სხვა ჩვეულებრივ ადამიანსაც მოცემულ სიტუაციაში, შეექმნებოდა ამგვარი აფექტის მდგომარეობა.¹

სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა აფექტის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნევსათვის ასახელებს შემდეგ პირობებს:

1. ძლიერი სულიერი აღელვება უნდა იყოს უეცრად აღძრული;
2. აფექტი გამოწვეული უნდა იყოს დაზარალებულის მხრივ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით;
3. ძალადობა და შეურაცხყოფა მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ან მისი ახლობლების მიმართ.

1. აფექტის გამართლების პირობა ისაა, რომ ძლიერი სულიერი აღელვება უეცრად უნდა აღძრას.

ს. ბოროდინის აზრით, მკვლელობა რომ აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად ვცნოთ, ძალადობასა და საპასუხო მოქმედებას შორის არ უნდა არსებობდეს სხვაობა დროში, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კანონსაწინააღმდეგო ძალადობა და საპასუხო რეაქცია დროში ერთმანეთს არ დაემთხვეს, ე. ი. საპასუხო რეაქცია მოგვიანებით განხორციელდეს.²

ს. ბოროდინს მოჰყავს მაგალითი: ყოფილ სამხედრო ტყვე ა-ს, საკონცენტრაციო ბანაკში, მრავალი წლის განმავლობაში აწამებდა და ამცირებდა გერმანელების ავენტი — ბ. ომის დამთავრების შემდეგ ტყეობიდან დაბრუნებული ა. მოულოდნელად ქუჩაში შეხვდა ბ-ს და ძლიერი რისხვის აფექტის დროს მოკლა იგი.

ამის შესახებ მ. ლეკვეიშვილს მოჰყავს მაგალითი, როდესაც ძალადობა განხორციელებული ყოფილა ადრე, ხოლო საკმაო დროის გავლის შემდეგ სუბიექტი ჩავარდნილა აფექტის მდგომარეობაში.³ ბავშვიანი ქალი ტყეში დაიპარტოხელა დამნაშავემ და მოუხდომა გაუპატიურება. ქალმა ყვირილი მორთო, ხოლო ბავშვი მივარდა დამნაშავეს და ძლიერი უკბინა ხელზე. გამხეცებულმა მოძალადემ წამოავლო ჯონს ხელი, მძლავრად ჩაარტყა ბავშვს და ადგილზევე მოკლა, ხოლო ქალი გააუპატიურა, დაადო ტყეში, თვითონ კი მიიმალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ქალი თავის მეუღლესთან ერთად შეხვდა მოძალადეს, იცნო იგი და უჩვენა ქმარს. ამ უკანასკნელში გაიღვივა წარსულის სულიერმა ტრავმამ, სწვდა დიდ ქვას და მოკლა იგი.

ორივე შემთხვევაში დაზარალებული მოქმედებდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში და ქმედობაც უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 106-ე მუხლით.

ამრიგად, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოირიცხული არ არის, რომ კანონსაწინააღმდეგო ძალადობა და საპასუხო რეაქცია დროში ერთმანეთს არ დაემთხვეს.

მკვლელობის ცნობისათვის აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად, უეცრად უნდა იყოს

1 Виндер Х., Юридические и психиатрические критерии при оценке убийства, М., 1969, стр. 37.

2 Бородин С. В., Квалификация преступлений против жизни, Москва, Юридическая литература, 1977.

3 მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, ჟურნალი „სამართალი“, 1976, № 5.

აღიქვლი არა მარტო ძლიერი სულიერი აღელვება, არამედ, თვით მკვლელობის განზრახვაც, თუ სუბიექტს მკვლელობის განზრახვა აღრე ჰქონდა ჩაფიქრებული და აღელვება მხოლოდ თანსდევდა მკვლელობას, ცხადია, მკვლელობა ვერ ჩაითვლება შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად. დამნაშავის პასუხისმგებლობას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ ძლიერმა სულიერმა აღელვებამ უშუალოდ გამოიწვია მკვლელობის ჩადენის გადაწყვეტილება, რაც მაშინვე აღსრულდა.

2. აფექტის გამართლების მეორე პირობაა დამნაშავის მძიმე შეურაცხყოფა, ან კანონსაწინააღმდეგო ძალადობა.

როგორც ვიცით, შეურაცხყოფა არის პიროვნების პატივის და ღირსების დამცირება, გამოსხატული უწესო ფორმით (მუხლი 138-ე), მაგრამ ჩვეულებრივი შეურაცხყოფა არ გამოდგება აფექტის გამართლების პირობად.

ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში შეურაცხყოფის ცნება სწორედ არ ესმით, რასაც დანაშაულის მცდარი კვალიფიკაცია მოსდევს. სასამართლომ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, შექმლო თუ არა შეურაცხყოფილს აღექვა ესა თუ ის ქმედობა თავისი პატივისა და ღირსების დამცირებლად.

დამნაშავის ქმედობაში აფექტი გამართლებული იქნება მაშინაც, თუ შეურაცხყოფა იმის ყურამედ მივა მოგვიანებით და მისი რეაქცია უმაღლვე მოხდება.

უქანონო ძალადობა არის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული პიროვნების წინააღმდეგობის ან მისი თავისუფლების დათრგუნვისაკენ. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისევე ფსიქიკური იძულების ფორმით. ფიზიკურს მიეკუთვნება სხეულის დაზიანება, დარტყმა, ცემა; ფსიქიკურს — მუქარა, რომ მიაყენებს ფიზიკურ ან მორალურ შეურაცხყოფას დამნაშავეს ან მის ახლობლებს.

ძალადობა ყოველთვის მოქმედებას გულისხმობს, არ შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს დანაშაულებრივი უმოქმედობა, ან ისეთი მოქმედება, როგორცაა დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის თანხმობით, ან მის მიერ შეუტნობლად.

106-ე მუხლით ქმედობის დაკვალიფიცირება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აფექტი გამოწვეულია დაზარალებულის მიერ დამნაშავის მძიმე შეურაცხყოფით. თუ როგორი შეურაცხყოფა შეიძლება ჩაითვალოს მძიმედ, ეს ფაქტის საკითხია, სასამართლომ იგი უნდა გადაჭრას შეურაცხყოფილი პიროვნების ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისა და გარემო ვითარების დეტალური შესწავლის შემდეგ. ძალადობის და შეურაცხყოფის ხასიათის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მხოლოდ ის კანონსაწინააღმდეგო ძალადობა, რომელმაც უშუალოდ გამოიწვია აფექტი, არამედ ვითარებაც, რომელიც წინ უძღოდა მკვლელობას.

სისტემატურმა ძალადობამ და მძიმე შეურაცხყოფამ შეიძლება ადამიანში გამოიწვიოს ე. წ. „აფექტის აკუმულაცია“. ასეთ ვითარებაში ისეთი ინტენსივობის ძალადობა ან შეურაცხყოფა, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ გამართლებდა აფექტს, შეიძლება მკვლელობის 106-ე მუხლით დაკვალიფიცირების საფუძველი გახდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების მიხედვით, „თუ უცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოიწვია დაზარალებულის ისეთმა მოქმედებამ, რომელიც იზოლირებულად აღებული ვერ გამართლებდა აფექტს, მაგრამ მას წინ უძღოდა მძიმე შეურაცხყოფა ან უქანონო ძალადობა, მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ს 106-ე მუხლით, როგორც უცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი“.⁴

სისტემატური ძალადობის მიყენება შეიძლება იყოს აფექტის წარმოშობის საფუძველი შემდეგ შემთხვევაში: დანაშაულის დღეს გ. კურტანიძე სახლში მივიდა მთვრალი და უმიზეზოდ სცემა ფეხმძიმე ცოლს, რის შემდეგაც ცოლიც — ზოია კურტანიძე და ბავშვიც — მარინა კურტანიძე სიცივეში გარეთ გაავდო. ცოლმა თავი შეაფარა ნათესავს, ღამით კი ისევ დაბრუნდა სახლში, რათა ჩუმად გაეტანა თავისი და ბავშვის ნივთები, მაგრამ სახლის კარები დახვდა დაკეტული. კონკრეტულ შემთხვევაში ამ ფაქტმა — „კარების დაკეტვა“ დიდი როლი ითამაშა და ქალმა აფექტის მდგომარეობაში სახლს ნათი მიასხა და დაწვა, რის გამო დაიწვა ქმარიც.

ბორჯომის სახალხო სასამართლომ ქმედობა დაკვალიფიცირა 105-ე მუხლით, რაც ჩემი აზრით, არასწორია. მიუხედავად იმისა, რომ „კარების დაკეტვა“ არ არის ძალადობა და მძიმე შეურაცხყოფა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს იყო საბაზი, ხოლო მიზეზი იყო ის სისტემატური დამცირება, რასაც იგი ყოველდღიურად განიცდიდა. ამიტომ ქმედობა დაკვალიფიცირდება 106-ე მუხლით.⁵

⁴ Шавгулидзе Т., Аффект и уголовная ответственность, «Мецниереба», Тб., 1973, стр. 134.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აქტივი.



ზუგდიდის სახალხო სასამართლომ გაასამართლა აველინა კანკავა ქმრის მკვლელობის გამო სასამართლოზე აველინა კანკავამ განაცხადა, რომ მეუღლე იოსებ კანკავა სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას, სცემდა. მკვლელობის დღეს მან ხელახლა მიაყენა შეურაცხყოფა და განაცხადა, რომ იგი არ არის იმ ბავშვის მამა, რომელზეც ცოლი ფეხმძიმედაა, ამიტომ აღარ სურს მასთან ცხოვრება. ამის საპასუხოდ ქალმა აიღო ნაჯახი და რამდენჯერმე დაარტყა ქმარს თავში. სასამართლომ ქმრის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა არ ჩათვალა მძიმედ და ქმედობა დააკვალიფიცირა, როგორც შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ხელახლა განიხილა ეს საქმე და დაადგინა, რომ ქმრის სისტემატურმა შეურაცხყოფამ გამოიწვია ფიზიოლოგიური აფექტი. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ არ გაითვალისწინა ისიც, რომ ქალი მკვლელობის ჩადენისას იყო ფეხმძიმე, რომლის დროსაც აღინიშნება ფსიქიკის მაღალი მგრძობელობა. ამიტომ ქმედობა დააკვალიფიცირა სსკ-ს 106-ე მუხლით.⁶

თუ მკვლელობის განზრახვა, დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის საფუძველზე უეტრად არის აღძრული, მაგრამ მაშინვე არ განხორციელდა, არამედ განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ, საქმე გვაქვს შურისძიების მოტივით ჩადენილ მკვლელობასთან. მაგ., ირაკლი სენიაშვილი, როცა საღამოს ბაღიდან ბრუნდებოდა, შეხვდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფ გოჩა სენიაშვილს, რომელმაც დედა შეაგინა. როდესაც ირაკლიმ ჰკითხა, თუ რატომ აგინებდა, მან კვლავ შეაგინა და სცემა. აფექტის მდგომარეობაში მყოფი ირაკლი გაიქცა სახლში, რომელიც საკმაოდ შორს იყო შემთხვევის ადგილიდან, აიღო ნაჯახი, მოძებნა გოჩა სენიაშვილი და თავში ჩართყვით მოკლა.

გორის რაიონის სახალხო სასამართლომ ქმედობა დააკვალიფიცირა სსკ-ს 106-ე მუხლით, რაც ჩემი აზრით, არ არის სწორი. მომხდარ ინციდენტს და მკვლელობას შორის საკმაოდ დრო იყო გასული, ამიტომ მკვლელობა უნდა დააკვალიფიცირდეს, როგორც შურისძიების მოტივით ჩადენილი სსკ-ს 105-ე მუხლით.⁷

სასამართლო პრაქტიკაში, ზოგჯერ ზედმეტად აფართოებენ იმ შინაარსს, რომელიც შეურაცხყოფაშია ჩაქსოვილი და მძიმე შეურაცხყოფად მიიჩნევენ ისეთ ქმედობას, როდესაც ფაქტობრივად ადგილი არა აქვს პიროვნების ღირსების განზრახ დამცირებას.

თ. შავგულიძე სვამს ასეთ კითხვას: შეიძლება თუ არა ცოლქმრული ღალატის დროს მოლატრე მეუღლეების მოქმედება ჩაითვალოს პირის პატივის და ღირსების დამცირებად.⁸

რა თქმა უნდა არა. ასეთ შემთხვევაში უმთავრესად ცდილობენ ეს დარჩეს საიდუმლოდ, ზოგჯერ მათ არც კი იცინან, რომ რომელიმე მათგანი იმყოფება ცოლ-ქმრულ კავშირში. ამდენად იგი არ გვევლინება კანონსაწინააღმდეგო ქმედობად, მაგრამ ეს ამორალური მოქმედება სუბიექტზე ახდენს ტრავმულ გავლენას და იგი გრძნობს თავს შეურაცხყოფილად. ამიტომ, სასამართლო პრაქტიკაში ასეთი ქმედობა უტოლდება მძიმე შეურაცხყოფას.

ბონდო ჭელიძის და ანდრო ფაიქიძის ოჯახები იმყოფებოდნენ კარგ დამოკიდებულებაში. ბონდო ჭელიძე ხშირად ავადმყოფობდა და ნათელა ფაიქიძე უწყევდა მას სამედიცინო დახმარებას. ერთ დამეს ანდრო ფაიქიძე გამოადგინა ბავშვის ხმამ. ადგა და ნახა, რომ მეუღლე სახლში არ იყო. იფიქრა, ალბათ ჭელიძესთან არის გადასული დასახმარებლად და შევიდა ჭელიძის ბინაში, გაემართა საძინებელი ოთახისაკენ, სადაც ბონდო ჭელიძეს და თავის მეუღლეს მიუსწრო ანტიმურ კავშირში. ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მან ხელი დასტაცა სამზარეულოს დანას და ორივე მოკლა.

სამტრედიის რაიონის სასამართლომ ქმედობა დააკვალიფიცირა 106-ე მუხლით. უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი დატოვა ძალაში.⁹

მეორე შემთხვევაში მ-მ მოკლა მეუღლე, რომელიც სახლში მარტო იყო თავის ამხანაგ მამაკაცთან ერთად. სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ორი კვირის განმავლობაში არ მიდიოდა სახლში, სურდა სხვა ოჯახის შექმნა და იმ დღეს შემთხვევით შეიარა.

აქ ადგილი არა აქვს „მძიმე შეურაცხყოფას“, ამიტომ არ შეიძლება ქმედობის 106-ე მუხლით დააკვალიფიცირება.

6. იქვე.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი.
8. თ. შავგულიძე, დასახ. ნაშ., გვ. 57.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი.



ს. ვ. ბოროდინი ამბობს: „საზოგადოება არ არის დანტერესებული იმ პირთა ხედრის შემსუბუქებით, რომლებიც აძლევენ თავს უფლებას ჩაიდინონ დანაშაული მცირემნიშვნელოვანი შეურაცხყოფის პასუხად. მით უმეტეს, ისეთი საშუალებით დანაშაული, როგორც მკვლელობაა.¹⁰“

8. აფექტის მესამე გამამართლებელი პირობაა ის, რომ ძალადობა და შეურაცხყოფა მიმართული უნდა იყოს დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „ახლობელი ნათესაები“ არიან მშობლები, შვილად აყვანები, შვილები, შვილად აყვანილები, ძმები და დები, პაპა, ბებია, შვილიშვილები, ქმარი, ცოლი.

გარდა „ახლო ნათესაებისა“, იმ მუხლში ახლობლად იგულისხმებიან აგრეთვე საცოლე და საქმრო, მეგობრები, ბიძაშვილები და დეიდაშვილები, სიძე, რძალი და სხვა. საერთოდ, იმის დადგენა, არის თუ არა პირი დამნაშავეს ახლობელი, აფექტის საკითხია და იგი სასამართლომ უნდა გადაჭრას ადამიანთა კონკრეტული ურთიერთობის გულდასმით შესწავლის საფუძველზე.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ აფექტში მკვლელობა ისეთმა ძალადობამ ან შეურაცხყოფამ გამოიწვია, რომელიც მიმართული იყო არა დამნაშავეს ან მისი ახლობლების, არამედ გარეშე პირის წინააღმდეგ, მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება არა 106-ე, არამედ 105-ე მუხლით. ის აფექტი, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაული გამოწვეული იყო არამართლზომიერი მოქმედებით, თანახმად 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, მხედველობაში მიიღება, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება სასჯელის დანიშვნისას.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ კანონიდან ამოღებულ იქნეს ზოგი ნიშანი. მაგალითად, როგორცაა „მისი ახლობლების მიმართ“. ამის მიხედვით დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა ყოველი მოქალაქე, არამედ მხოლოდ ის, ვის მიმართაც დაზარალებულის მიერ ჩადენილი იქნა უკანონო ქმედობა.

ე. ფ. პრებეგალო ნაშრომში „განზრახ მკვლელობა და ბრძოლა მის წინააღმდეგ“, აღნიშნავს, რომ „უაზრობას იწვევს კანონმდებლის მიერ იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენენ დამნაშავეს ახლობლებს და რომელთა მიმართაც დაზარალებულის ძლიერ სულიერ აღელვებას მოსდევს მკვლელობა“.

განვითარებული სახელმწიფოს პირობებში, სადაც ხალხს ერთმანეთთან აკავშირებს მალალი მორალური პრინციპები, იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომლებიც დამნაშავეს ახლობლები არიან, ქმნის ერთგვარ სირთულეს.

ს. ვ. ბოროდინს მოჰყავს მაგალითი: ვინმე კ. აკვირდებოდა ფეხბურთის მოედანზე ბავშვების თამაშს. როცა 1-ლი ტაიმი დამთავრდა, ბავშვებმა დაიწყეს თამაშის შედეგების განხილვა. მათ შორის იყო სრულწლოვანი ს.-ც. ამ დროს გაიარა ბენზინის მანქანამ, რომელსაც ცისტერნის თავსახური ღია ჰქონდა. როცა მანქანა ბავშვებს მიუახლოვდა, იქიდან გადმოღვრილი ბენზინი მ-ს გადაესხა. ეს რომ ს-მ დაინახა, აანთო ასანთი და ესროლა მ-ს, რომელსაც მოეკიდა ცეცხლი და დაიწყო ყვირილით სირბილი. როცა ეს დაინახა კ.-მ, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დაავლო ხელი იქვე დაგდებულ რკინის ჯოხს და რამდენჯერმე დაარტყა ს.-ს, მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათო იყო სიცოცხლისათვის. მ. რამდენიმე დღის შემდეგ, სიდამწერის მაღალი ხარისხის გამო, გარდაიცვალა საავადმყოფოში. კ.-ს ქმედობა დაკვალიფიცირდა 110-ე მუხლით, რადგან მ. არ იყო მისი ახლობელი პირი. ის, რომ კ. იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში, გამოიყენეს მხოლოდ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად.

ეს მაგალითი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ 106-ე მუხლში შეტანილი უნდა იყოს შესწორება „ახლობელი პირის“ თაობაზე.

მ. დ. შარგორდსკი ნაშრომში „დანაშაული სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“ სწორად აღნიშნავს, რომ „დაზარალებულის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედობა, მიმართული ნებისმიერი პირის მიმართ, შეიძლება აფექტის გამამართლებელი იყოს“.

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ „ახლობელი პირი“ შეიცავს „სხვა პირებით“, მაგრამ ესეც არ იქნებოდა სწორი, რადგან, თუ იგი გამართლებული იქნებოდა „ძალადობის“ ან „მძიმე შეურაცხყოფის“ დროს, მაშინ იგი საკითხს გადაუწყვეტელს დატოვებდა რუსეთის სსკ-ში გათვალისწინებული „სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედობის“ დროს, რადგან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ქმედობის

10. ს. ვ. ბოროდინი, დასახ. ნაშ., გვ. 131.




დობა ადამიანის მიმართ, არამედ სხვა სამართლით დაცული ობიექტების მიმართაც. მაგნიტის ტიანში შურისძიების მიზნით დაუხოცა მწყემს ბაგრამიანს 40 ჰროხა. კანონსაწინააღმდეგო ქმედობა მიმართული იყო არა აზატაინის, არამედ საკუთრების წინააღმდეგ, მაგრამ შედეგმა ბაგრამიანში გამოიწვია აფექტი, რის გამოც მან თოფიდან გასროლით მოკლა აზატაინი. აქ, მართალია, აფექტის მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი გამართლებული არ იქნება, რადგან დაზარალებულის მოქმედება სხვა კუთხით იყო მიმართული.

ეს საკითხი შემედგინაირადაა გადაწყვეტილი პოლონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობაში. რესპუბლიკის 1970 წლის კოდექსში აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისათვის გათვალისწინებულია დაბალი სანქციები. კანონმდებელი არ შემოსაზღვრავს „ახლობელ პირებს“, საქმარისია მხოლოდ, რომ აფექტი გამოწვეული იყოს გამართლების პირობით.

იმისათვის, რომ აფექტში ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდეს 106-ე მუხლით. აუცილებელი არ არის დაზარალებულის მოქმედება დანაშაულებრივი იყოს. საქმარისია, თუ ეს მოქმედება არის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა. ამიტომ 103-ე მუხლი შეიძლება გამოვიყენოთ მაშინაც, როდესაც დამნაშავის ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეულია, მაგალითად, ძალადობით, რომელიც სულით ავადმყოფმა ჩაიდინა.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულების ხარისხი არ შეესაბამება შექმნილი მძიმე კრიმინოგენური ვითარებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, ხშირად ადგილი აქვს სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევას, სათანადოდ არ სრულდება სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ჯგუფის დანაშაულთა სწორად დაკვალიფიცირებას.



ნაირა გივიტაშვილი

ეპენტუალური განზრახვის პრობლემა სისხლის სამართალი

ბრალი სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ფუნდამენტური პრობლემაა, რადგან ბრალის გარეშე არ არსებობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და მის სწორად განსაზღვრას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო დანაშაულებრივი ქმედების სწორი იურიდიული კვალიფიკაციისათვის, არამედ მსგავსი დანაშაულების გამიჯვნის, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის თუ სხვა საკითხების გადასაწყვეტად.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, ტრადიციულად დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან და ამ ქმედებით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან. აქედან გამომდინარე, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ბრალის პრობლემის კვლევისას, უთუოდ უნდა ვეყრდნობოდეთ მოქმედების მექანიზმის ფსიქოლოგიურ ანალიზს. ვიდრე ფსიქოლოგიისაგან მოწყვეტით შევეცდებით აღნიშნული პრობლემის კვლევას და სათანადოდ არ შევაფასებთ მოქმედების მექანიზმის ფსიქიკურ მომენტებს, ვერ ვიქნებით დაზღვეული შეცდომებისაგან.

დადგენილია, რომ ყოველი ნებისმიერი მოქმედება და მათ შორის დანაშაულებრივიც, რადგან „დანაშაული არის ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება“,¹ სამი ძირითადი სტადიისაგან შედგება:

1. შესაძლო მოქმედებათა ობიექტივაცია და მათი შეფასება (აწონ-დაწონა). სუბიექტი მსჯელობს იმის შესახებ თუ როგორ მოიქცეს, რა მოქმედებაა უფრო მიზანშეწონილი, უფრო ღირებული მისთვის, ითვალისწინებს მოცემულ სიტუაციაში შესაძლო მოქმედებების უპირატესობებს და ნაკლოვანებებს.

2. გადაწყვეტილების გამოტანა, პირველი სტადია მხოლოდ მოსამზადებელია მეორე სტადიისათვის, რადგან იგი, ძირითადად, ისეთი ინტელექტუალური პროცესია, რასაც არ შეუძლია განაწილოს სუბიექტი მოქმედებისათვის. მოქმედების შეფასება არ კმარა, რომ იმოქმედოს, ამისათვის მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. გადაწყვეტილების მიღება კი ხდება პირველ სტადიაზე გათვალისწინებული არგუმენტების (მოტივაციის ფაქტორების) შეფასების საფუძველზე, სათანადო მოტივისა და მიზნის ჩამოყალიბებით. გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკური ფსიქიკური აქტია, განსაკუთრებული პროცესია, რომელიც შეფასებაზე არ დაიყვანება. (არსებობს ნებისყოფის დაავადება „აბულია“, რომლის დროს ადამიანი მოკლებულია გადაწყვეტილების მიღების უნარს. იგი სწორად აფასებს შესაძლო მოქმედებებს, მაგრამ მერყეობს, ვერ გადაწყვეტს როგორც მოქმედოს და ამის გამო უმოქმედოდ რჩება).²

1. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, თბ., გვ. 25-28.

2. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თსუ, 1986, გვ. 532-537.

გადაწყვეტილების მიღების აქტს მოტივაციის პროცესი რომ უსწრებს წინ, შეტად მარტივად და გასაგებად აქვს ახსნილი აკადემიკოს დიმიტრი უზნაძეს, რომლის თანახმად, „... გადაწყვეტილების მიღებას წინასწარი მოფიქრება და ზოგჯერ ხანგრძლივი ყოყმანი უსწრებს ხოლმე წინ. საქმე ის არის, რომ ადამიანი რთული არსებაა. მას მრავალი მოთხოვნილება აქვს და შესაძლებელია ესა თუ ის ქცევა ბევრის მხრივ მისაღები იყოს მისთვის და ბევრის მხრივ არა. არსებობს მოტივების ერთი რიგი, რომელიც მას ამართლებს და მოტივების მეორე რიგი, რომელიც მის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. რომელ მათგანს უნდა მიეცეს უპირატესობა, ეს იმაზე დამოკიდებული, თუ რომელს მეტი ძალა აღმოაჩნდება და რომელი გაიმარჯვებს. ამიტომ ამბობენ, რომ გადაწყვეტილების აქტს მოტივთა ბრძოლა უსწრებს წინო და არჩევანის პროცესი ამ ბრძოლის სახით აქვთ წარმოდგენილი“. აქვე დასძენს, რომ მოტივის ასეთი გაგება მართებულია ეთიკისა და კრიმინალისტიკის თვალსაზრისით.³

აღნიშნულთან დაკავშირებით, სავსებით მართებულია ვ. ნ. კუდრიავეცის აზრიც იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გადაწყვეტილება არის ინტელექტუალური ნებითი აქტი, რომელშიც გამოხატულია პირის მზადყოფნა დანაშაულის ჩასადენად. ეს არის დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარის აუცილებელი ელემენტი, როგორც მომავალი დანაშაულის იდეალური მოდელი, რაც თავის თავში მოიცავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას და შედეგის გათვალისწინებას. ასევე იუნდაც ზოგადი ნიშნებით დანაშაულის ობიექტსა და საგანს, ობიექტურ მხარეს, მოტივს, მიზანს და სხვა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს. **რომ დანაშაულის ჩასადენად გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი წინამძღვარია დანაშაულებრივი ქმედების მიზნის განსაზღვრა.**⁴ (ხაზგასმა ჩვენია. — ნ. გ.).

მიზნის ჩამოყალიბების პროცესი ფართოდ იქნა გამოკვლეული ასევე ლიტერატურაში კიბერნეტიკის, ფსიქოლოგიისა და კრიმინოლოგიის საკითხების გაშუქებისას. ეს პროცესი მდგომარეობს სუბიექტის მიერ დანაშაულის შედეგის გაცნობიერებაში, რომლის მიღწევა აკმაყოფილებს სუბიექტის ინტერესს გამოხატულს მოქმედების მოტივში“⁵

მოქმედების მექანიზმის ანალიზიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებას შედეგად მოსდევს განწყობის შემუშავება, რაც ნიშნავს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზაციას ქმედების ჩასადენად.⁶

3. მოქმედების მექანიზმის მესამე ძირითადი სტადიაა ქმედების განხორციელება.

მოქმედების მექანიზმის აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, დასკვნა ჩხოლოდ ასეთი შეიძლება გაკეთდეს, რომ ქმედების ჩადენის შესახებ გადაწყვეტილება (დანაშაულის შემთხვევაში კი განზრახვა) არის მოტივირებული, მიზნობრივი ფსიქიკური აქტი, რომელშიც აუცილებლად არის გათვალისწინებული შედეგი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის პირი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გზით, მიუხედავად იმისა, სასურველია თუ არა ეს შედეგი მისთვის. სასურველია, როდესაც კონკრეტული შედეგი პირის მიზანს შეადგენს და არა-

3. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1945, გვ. 166-167.
4 В. Н. Кудрявцев, Механизм преступного поведения, М., 1981, с. 134—146.
5 А. Н. Леонтьев, Психологическая характеристика процесса целеобразования, Вопросы философии, 1972, № 9, стр. 105.
6 Д. Кикнадзе, Система факторов действия и развития личности, Тб., 1982, с. 121—132.

სასურველი, მაგრამ აუცილებელი, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება. მაგალითად, მემკვიდრის მოკვლა ქონების დაუფლების მიზნით, აქ მკვლელობა გაზოგადის როგორც მიზნის მიღწევის, ქონების დაუფლების საშუალება.

ამრიგად, გადაწყვეტილება (განზრახვა) მისი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია კონკრეტული შედეგის მიმართ მიზნის არსებობის გარეშე. და რადგან ევენტალური განზრახვის დროს, როდესაც პირი ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და უშვებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას (რა თქმა უნდა, უშვებს იმასაც, რომ ასეთი შედეგი შესაძლებელია არც დადგეს), (ხაზგასმა ჩვენია — ნ. გ.), მიზანზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის პირი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გზით. ევენტუალური განზრახვის დროს კი სწრაფვა შედეგის მიმართ არ არსებობს. ამდენად არც განზრახვას ექნება ადგილი. ამ მხრივ სავსებით მართებულად მიმანია პროფ. ბ. ხორნაბუჯელის მოსაზრება, რომ „...თუ განზრახვა იმავდროულად გადაწყვეტილებაა, ფსიქოლოგიურად „არაპირდაპირი გადაწყვეტილება“ შეუთავსებელია“.⁷

იურიდიულ ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ევენტუალური განზრახვის მიმართ. მაგალითად, პ. დაგელი ევენტუალური განზრახვის ნაირსახეობად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავეს წარმოდგენილი აქვს შედეგის განხორციელების გარდუვალობა.⁸ ა. პიონტოვსკი და ვ. მაყაშვილი კი დასახელებულ შემთხვევას პირდაპირ განზრახვას მიაკუთვნებენ.⁹ პროფ. ბ. ხორნაბუჯელი განზრახვად მიიჩნევს იმ შემთხვევასაც, როდესაც დამნაშავეს წარმოდგენილი აქვს შედეგის გარდუვალობა. (ამ შემთხვევაში პროფ. ბ. ხორნაბუჯელი გულისხმობს პირდაპირ განზრახვას, რადგან იგი ევენტუალურ განზრახვას განზრახი ბრალის ფორმად არ მიიჩნევს და საერთოდ არ ცნობს განზრახვის სახეებად დაყოფას).

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა პროფ. ო. გამყრელიძის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომლის თანახმად პირდაპირ განზრახვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სამ შემთხვევაში: 1. როდესაც შედეგის განხორციელება დამნაშავეს მოქმედების საბოლოო მიზანია; 2. როდესაც შედეგის განხორციელება დამნაშავესათვის აუცილებელი საშუალებაა მისი მიზნის მიღწევის გზაზე და 3. როდესაც დამნაშავეს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მის მოქმედებას აუცილებლად, გარდუვალად მოჰყვებოდა დანაშაულებრივი შედეგი.¹⁰ აღნიშნული კლასიფიკაციის მესამე შემთხვევის საილუსტრაციოდ მოყვანილია თვითმფრინავის მაგალითი, როდესაც თვითმფრინავის ჩამოვდება არის აუცილებელი საშუალება იმისათვის, რომ დამნაშავემ მოკლას თავისი დაუძინებელი მტერი, რომელიც ამ თვითმფრინავში ზის. დამნაშავე დარწმუნებულია, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემთხვევაში მის მტერთან ერთად დაიღუპება ეკიპაჟიც და მაინც აადებს თვითმფრინავს. რა თქმა უნდა, მართებულია პროფ. ო. გამყრელიძის მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში, როგორც მტრის, ისე ეკიპაჟის დაღუპვის მიმართ სუბიექტს ექნებოდა მხოლოდ პირდაპირი განზრახვა.

7 ნ. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тб., 1981, стр. 28.

8 Јагель П. С., Котов Д. П. Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, стр. 105.

9 Макашвили В. Г. Понятие умысла в уголовном праве, «Мацне», 1966, № 6, стр. 71.

10 ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლები, თბ., 1989, გვ. 75.



რადგან ისევე მოქმედების მექანიზმის ანალიზიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, მოტივაციის პროცესში სუბიექტმა გაითვალისწინა ყველა ის სუბიექტური და ობიექტური გარემოება, რომელიც მას შეიძლებოდა შეხვედროდა მისი მიზნის მიღწევის გზაზე, და მაშასადამე, მტერთან ერთად ეკიპაჟის დაღუპვაც, როგორც გარდაუვალი, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემთხვევაში, არავინ არ გადარჩებოდა და მაინც ჩაიდინა მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ეკიპაჟის დაღუპვა მას არ სურდა...

ამრიგად, ის შემთხვევები, როდესაც პირს არ სურს რაიმე კონკრეტული შედეგის დადგომა, მაგრამ გარდუვალად მიაჩნია ასეთი შედეგი მისი მიზნის მიღწევისათვის, ამ შედეგის მიმართ (ე. ი. თანმდევი შედეგის მიმართ) მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა.

რაც შეეხება ევენტუალურ განზრახვას, მოქმედების მექანიზმის ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, იგი არაფრით არ თავსდება განზრახვი ბრალის ჩარჩოებში, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ პირს შედეგის მიმართ მიზანი არა აქვს, არც განზრახვას ექნება ადგილი და რადგან ევენტუალური განზრახვა მიზანს არ ემყარება, მიზნით არ არის განპირობებული, განზრახვად არ უნდა იწოდებოდეს. მაშინ, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ბუნებრივია, დაისმება საკითხი თუ ბრალის რა ფორმას უნდა მიეკუთვნოს ე. წ. ევენტუალური განზრახვა? ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ბრალის შერეულ, ორმაგ ფორმასთან, როდესაც დამნაშავეს ქმედების მიმართ აქვს განზრახვა, ხოლო შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობის ახალი სახით, როდესაც პირი ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად კი არ ვარაუდობს მის თავიდან აცილებას, როგორც დამნაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს, არამედ დაუდევრად ეკიდება მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბრალის საზოგადოებრივი საშიშროების ზარისხი უფრო მაღალია, ვიდრე გაუფრთხილებლობის სხვა შემთხვევებში, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას კანონმდებლობის მიერ შესაბამისი მუხლის დისპოზიციისა და სანქციის განსაზღვრის დროს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაყენებთ ტრადიციულად დამკვიდრებული ამ ტერმინების (პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის) შეცვლის საკითხს. ტერმინს ხშირად პირობითი ხასიათი აქვს, მაგრამ ის, რომ ამ სახეების შინაარსში უნდა იდოს განზრახვის ფსიქოლოგიური ბუნება, ეს უდავოა.

ჩვენი აზრით, პირდაპირი განზრახვით ჩადენილად უნდა ჩაითვალოს ის შემთხვევები, როდესაც სუბიექტი ითვალისწინებდა საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და სურდა კიდევ ასეთი შედეგის დადგომა. ხოლო თუ არ სურდა, მაგრამ გარდუვალად მიაჩნდა რაიმე კონკრეტული შედეგი მისი მიზნის მიღწევისათვის, ამ შედეგის მიმართ ექნება არაპირდაპირი, ევენტუალური განზრახვა.

იურიდიულ ლიტერატურაში და მათ შორის სახელმძღვანელოებშიც მოყვანილია არაერთი მაგალითი ევენტუალური განზრახვის საილუსტრაციოდ. მაგალითად, მთვრალმა კ.-მ ხელი ჰკრა ტრამვაის საფეხურზე მდგომ მისთვის უცნობ მოქ. შ.-ს, რომელიც ჩავარდა ტრამვაის ვაგონის ქვეშ და დაიღუპა.¹¹ სახელმძღვანელოს ავტორს მიაჩნია, რომ მოქ. შ.-ს მკვლელობის მიმართ დამნაშავეს ჰქონდა ევენტუალური განზრახვა, რაც არ არის სწორი, რადგან ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, თუ კ.-ს გარდუვალად ჰქონდა წარმოდგენილი შ.-ს სიკვდილი (ვთქვათ ზრამის ნაპირზე მოძრაობდა ტრამვაი),

11. ბ. ფურცხვანიძე. საბჭოთა სისხლის სამართალი, თბ., 1971, გვ. 122-123.

მშინ ადგილი ექნებოდა პირდაპირ განზრახვას, ხოლო თუ ასეთ გარდუვალო-
ბას არ ითვალისწინებდა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გვექნება შეგნებულად
სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, რასაც სიკვდილი მოჰყვა შე-
დეგად. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი კანონმდებლობის ხარვეზად უნდა
ჩაითვალოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლს
(საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) მაკვალიფიცირებელ გარემოებებად არა აქვს
მითითებული, თუ მას სხეულის დაზიანება ან სიკვდილი მოჰყვა შედეგად. რა-
საკვირველია ამ შემთხვევაშიც ბრალის შერეულ ფორმასთან გვექნება საქმე,
როდესაც პირს ქმედების მიმართ აქვს განზრახვა, ხოლო შედეგის მიმართ გა-
უფრთხილებლობა (გაუფრთხილებლობის ახალი სახით), როდესაც პირი ით-
ვალისწინებდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას
და დაუდევრად ეკიდებოდა მას.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ამ მხრივ რუსეთის 1985 წლის სისხლის
სამართლის კოდექსის კომენტარებში მოყვანილი მაგალითი ევენტუალური გან-
ზრახვის დასასაბუთებლად, რომ „დამნაშავემ გახადა ტანსაცმელი მთვრალ ადა-
მიანს მითვისების მიზნით და დატოვა იგი ძლიერ ყინვაში მოკვლის მიზნის
გარეშე, რომელიც გაიყინა და მოკვდა“. ამ შემთხვევაში ძნელი მისახვედრი არ
უნდა იყოს, რომ მოკვლის მიზნის გარეშე ყინვაში მიტოვების შემთხვევაში ად-
გილი ექნებოდა განსაცდელში მიტოვებას (საქართველოს სსკ 129-ე მუხლი).
მაგალითში პირდაპირ არის მითითებული, რომ დამნაშავეს არ ჰქონდა მოკვლის
მიზანი, ე. ი. არც რაიმე განზრახვას ექნებოდა ადგილი. რის გამოც დამნაშავეს
მოქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც განსაცდელში მიტოვება
და ქონებრივი ხასიათის შესაბამისი დანაშაული დაზარალებულის ტანსაცმლის
გატაცებასთან დაკავშირებით, და არა როგორც მკვლელობა ევენტუალური გან-
ზრახვით.¹²

აღნიშნული საკითხების სიღრმისეულ კვლევასა და გადაწყვეტას უდიდესი
მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც დასახელებული ხარვეზი გამოუსწო-
რებელ შედეგებს იწვევს საკამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში, ე. წ. ევენ-
ტუალური განზრახვით დანაშაულის ჩამდენი პირები ისევე ისჯებიან, როგორც
ანალოგიური დანაშაულის პირდაპირი განზრახვით ჩადენის დროს, ე. ი. ისჯე-
ბიან გაცილებით მკაცრად, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა ბრალის სწორად გან-
საზღვრის შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ უამრავი მაგალითის მოყვანა შე-
იძლება სასამართლო პრაქტიკიდან.

12 «Комментарий к уголовному кодексу РСФСР», М., 1985, стр. 237.

გელა ბორჩხაძე

ჰიპოთეზა სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურაში

(საკითხის დასმის წესით)

როგორც ცნობილია, სამართლის ნორმის სტრუქტურაში განასხვავებენ ჰიპოთეზას, დისპოზიციასა და სანქციას. ჰიპოთეზას უწოდებენ სამართლის ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც ფიქსირებულია სამართლის ნორმის მოქმედებისა და გამოყენების პირობები. მეორენაირად რომ ვთქვათ, ჰიპოთეზა მიუთითებს იმ იურიდიულ ფაქტებზე, რომელთა საფუძველზე ხდება სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ჰიპოთეზა გვიჩვენებს იმას, თუ რის საფუძველზე ხდება სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა.

დისპოზიციას უწოდებენ სამართლის ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც დადგენილია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა იურიდიული უფლებები და მოვალეობები. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სამართლის ნორმის ჰიპოთეზა პირდაპირ კავშირშია დისპოზიციასთან და პირიქით, დისპოზიცია პირდაპირ კავშირშია ჰიპოთეზასთან.

სანქციას უწოდებენ სამართლის ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც გათვალისწინებულია იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები სამართლის ნორმის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში თითქოს გაბატონებული გახლდათ დებულება, რომ სისხლის სამართლის ნორმა დისპოზიციისა და სანქციისაგან შესდგება და რომ ჰიპოთეზა არ არსებობს ან შეერწყმის დისპოზიციას ისე, რომ იგი სისხლის სამართლის ნორმის ცალკე სტრუქტურულ ელემენტად არ გამოიყოფა. ამასთან, ჰიპოთეზა სისხლის სამართლის ნორმაში განიხილებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმის გამოყენების თვალსაზრისით. მაგრამ საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების ცნება სრულიად გაურკვეველი ჩანს. მართლაც, სამართლის ზოგად თეორიაში არ არის სადავო, რომ სამართლის ნორმა მოქმედებას იწყებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. ეს დებულება არც სისხლის სამართალში გაუხდიათ სადავოდ.

მართლაც, საყოველთაოდ იყო ცნობილი სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროსა და სივრცეში. ამ შემთხვევაში იგულისხმება სისხლის სამართლის ნორმის პრაქტიკული განხორციელება სისხლის სამართლის ნორმის ადრესატთა მართლზომიერი საქციელის მეშვეობით. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების სხვაგვარი გაგება შეუძლებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ სისხლის სამართლის ნორმაში ჰიპოთეზის შესაძლებლობის პრობლემა სისხლის სამართლის კანონის მოქმედების

ცნებასთან არ იყო დაკავშირებული. სიმძიმის ცენტრი სისხლის სამართლის კანონის გამოყენებაზეა გადატანილი. სისხლის სამართლის კანონის გამოყენება კი გულისხმობს დანაშაულის ჩადენას. შემთხვევითი არც ისაა, რომ დანაშაულის ჩადენა მიჩნეულია იმ იურიდიულ ფაქტად, რომელიც ქმნის სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას.

ამრიგად, დროსა და სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ცნება ბოლომდე თანმიმდევრულად არ ტარდება და იგი სისხლის სამართლის კანონის გამოყენების ცნებით იცვლება. ამის მიზეზი ისაა, რომ დანაშაული სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა იურიდიულ ფაქტად არის მიჩნეული. ამ ლოგიკით კი სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება კი არაა შესაძლებელი, არამედ მხოლოდ მისი გამოყენება. ნ. ღურმანოვი წერდა, რომ სისხლის სამართლის ნორმა რეალურად მოქმედებს არა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, „არამედ იმ მომენტიდან, როდესაც გამოიცა და ძალაში შევიდა კანონი, რომელიც ამ ნორმას შეიცავს“.¹

თუ ეს ასეა, ე. ი. თუ სისხლის სამართლის კანონი მოქმედებას იწყებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, მაშინ დანაშაულის ჩადენას რანაირად შეუძლია წარმოშვას სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა?

აღსანიშნავია, რომ ნ. ღურმანოვი, რომელიც სისხლის სამართლის კანონის მოქმედებაზე ლაპარაკობს უკვე ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, სისხლის სამართლის ნორმის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით სულ სხვა მსჯელობას ავითარებს. სახელდობრ, მისი აზრით, „სისხლის სამართლის ნორმის ჰიპოთეზაზე წილად მოდის მხოლოდ ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი პირობა — ჩადენა იმ ქმედობისა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმაში აღნიშნულ ყველა ნიშანს, ე. ი. მოცემული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს. ჰიპოთეზა ლაპარაკობს იურიდიული ფაქტის არსებობაზე დანაშაულის ჩადენის სახით, მაგრამ მისი აღწერა მოცემულია დისპოზიციაში“.²

ამრიგად, ირკვევა, რომ ჰიპოთეზა დანაშაულზე, როგორც იურიდიულ ფაქტზე, მიუთითებს, ხოლო რაკი ამ დანაშაულის აღწერა ხდება სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში, ჰიპოთეზა დისპოზიციად იქცევა. მაშასადამე, ჰიპოთეზა სისხლის სამართალში არ არსებობს. მაგრამ, მაშინ როგორღაა შესაძლებელი სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება, რომლის შესახებაც საგანგებოდ მსჯელობდა ნ. ღურმანოვი? თუ სისხლის სამართლის ნორმა მოქმედებას იწყებს სისხლის სამართლის კანონის გამოცემისა და ძალაში შესვლის მომენტიდან, როგორც ამას ნ. ღურმანოვი ამტკიცებს, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ სისხლის სამართლის ნორმა მოქმედებას იწყებს ყოველგვარი პირობების გარეშე, ე. ი. ჰიპოთეზის გარეშე ან ჰიპოთეზა სისხლის სამართალში დისპოზიციად იქცევა, რაკი დანაშაულის ნიშნების აღწერა დისპოზიციაში ხდება, და მაშინ სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება შეუძლებელია, რაკი დანაშაულის ჩადენის შემდეგ საქმე შეეხება სისხლის სამართლის კანონის გამოყენებას და არა მოქმედებას.

3. ნედბაილო აღნიშნავდა, რომ „სამართლის ნორმების მოქმედება მათი სანქციების გამოყენებაზე არ დაიყვანება. ყოველი სამართლებრივი ნორმა ადგენს განსაზღვრულ ქმედობათა ჩადენის ვალდებულებას ან კრძალავს მათ ან იძლევა მათი ჩადენის ნებართვას“.³ ამასთან, ავტორი ეხება სამართლის ნორმის

1. Н. Д. Дурманов, Советский уголовный закон, М., 1967, с. 136.
2. ნ. ღურმანიის დასახ. ნაშრომი, გვ. 118.
3. П. Е. Недбайло, Применение советских правовых норм, М., 1960, с. 57.

პიპოთეზის საკითხსაც. მისი აზრით, განსაზღვრება იმ პირობებისა, რომლებშიც არსებობისას „ხორციელდება კონკრეტული ქცევები, მოცემულია ნორმის პიპოთეზაში, ე. ი. ნორმის იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ცხოვრებაში ნორმის განხორციელების გარემოებებს“.⁴

ავტორი არ ეთანხმება ა. რაბინის მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის ნორმაში პიპოთეზა არ არსებობს. პ. ნედბაილოს აზრით, არ არსებობენ უპირობოდ, ე. ი. სათანადო იურიდიული ფაქტების გარეშე, მოქმედი ნორმები.⁵ მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ამ ზოგად დებულებას, როგორც ჩანს, სისხლის სამართალზე არ ავრცელებს. მისი აზრით, „სისხლის სამართლის ნორმებში განსაზღვრულ პიპოთეზას უეჭველად ცვლის, ეგრეთ წოდებული, აღწერილობითი დისპოზიცია, რომელიც გათვალისწინებულ დანაშაულს აღწერს უფრო სრულად და უფრო განმსაზღვრელი ნიშნებით“.⁶


ამრიგად, ირკვევა, რომ სამართლის ნორმის პიპოთეზა, რომელიც ნორმის მოქმედების პირობებს შეიცავს, სისხლის სამართალში არ არსებობს. მაშასადამე, სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება შეუძლებელი ყოფილა. შესაძლებელი ყოფილა სისხლის სამართლის ნორმის მხოლოდ გამოყენება უკვე ჩადენილი დანაშაულის მიმართ. მაგრამ მაშინ, რა საბუთით ვლამარაკობთ სისხლის სამართლის კანონის მოქმედებაზე დროსა და სივრცეში?

გარდა ამისა, ცნობილია, რომ სამართლის ზოგად თეორიაში ლამარაკობენ კანონის მოქმედებაზე არა მარტო დროსა და სივრცეში, არამედ პირთა წრის მიმართ. მაგრამ სისხლის სამართალში სისხლის სამართლის კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ საგანგებოდ არც განიხილება. ისე ჩანს, თითქოს სისხლის სამართლის ნორმა არ ვრცელდება პირთა განსაზღვრული წრის მიმართ. შემთხვევითი არც ისაა, რომ სისხლის სამართალში არსებობს „დანაშაულის სუბიექტის“ ცნება, რომელიც თითქოს აღრესატია სისხლის სამართლის ნორმისა. მაგრამ სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მოქალაქეობრივ პრინციპთან დაკავშირებით მაინც იძულებული ხდებიან ილამარაკონ „საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებზე, უცხოელ მოქალაქეებზე თუ მოქალაქეობის არ მქონე პირებზე. ცხადია, ამ მიმართებით საქმე ეხება პირთა განსაზღვრულ წრეს, მაგრამ შემდგომში, როდესაც საქმე ეხება დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას, აღნიშნული პირები ანუ „პირთა წრე“ მხოლოდ „დანაშაულის სუბიექტზე“ დაიყვანება.

ამ საკითხების უფრო ღრმად შესწავლა საკუთრივ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემის შესწავლას მოითხოვს. ჩვენ კი საკითხის დასმის წესით გვინდა ის შენიშვნა გააკეთოთ, რომ სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურაში პიპოთეზის უგულებელყოფა არ შეიძლება სისხლის სამართლის სპეციფიკით იყოს გაპირობებული. სისხლის სამართალი სამართლის სპეციფიკური დარგია, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სამართლის ნორმის მოქმედების ცნება ზოგადია და იგი სისხლის სამართალსაც უნდა შეეხოს. მართლაც, ნორმა, რომელიც არ მოქმედებს, არავითარ ურთიერთობას არ აწესრიგებს. ამიტომ საჭიროა სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების მექანიზმის შესწავლა, რადგან ამის გარეშე სისხლის სამართლის რეგულატური ფუნქციის დასაბუთება შეუძლებელია.

4. იქვე, გვ. 62.
 5. პ. ნედბაილოს დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
 6. იქვე, გვ. 242.

სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების შექანისში კი აუცილებელია იური-
დიული ფაქტების გამოკვლევა, რადგან, როგორც პ. ნედბაილომ აღნიშნა, უპი-
რობოდ მოქმედი ნორმა არ არსებობს. მართლაც, სისხლის სამართლის ზოგა-
დი ნაწილის ნორმებში მითითებულია სისხლის სამართლის ნორმის მოქმედე-
ბის პირობებზე: მოქალაქეობა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
ასაკი, შერაცხადობა, სპეციალური სუბიექტის ნიშნები და ა. შ. მაგრამ ამგვა-
რი გარემოებები მითითებულია აგრეთვე სისხლის სამართლის განსაკუთრებულ
ნაწილშიც. მაგალითად, ნორმა გაუცხადებლობის შესახებ ეხება მხოლოდ იმ
პირს, ვინც იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია განსაზღვრული დანაშაული;
უკანონო განაჩენის გამოტანა მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია და ა. შ. გარდა
ამისა, აუცილებელი მოგერიების უფლებას წარმოშობს საზოგადოებრივად სა-
შიში ხელყოფის ფაქტი, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებას — საფრთხის
ფაქტი და ა. შ. ერთი სიტყვით, თუ უფრო ღრმად გავანალიზებთ სისხლის სა-
მართლის მოქმედ კანონმდებლობას, დავინახავთ, რომ არსებობენ მთელი რიგი
პირობები და გარემოებანი, რომლებიც სისხლის სამართლის ნორმების მოქ-
მედებაზე მიუთითებენ. ამ საკითხების შესწავლა უეჭველად მიგვიყვანს
დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურაში ჰიპოთეზას
თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს და სისხლის სამართლის ნორმის დის-
პოზიციით მისი შეცვლა სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების ცნების
გაუქმებას იწვევს.



ქართველთა საბინაშვილი

**საქართველოში არსებული რელიგიური მიმართულებები
და მათი რეპულიკანისთვის საკანონმდებლო ბაზის
ჩამოყალიბების აუცილებლობა**

ისეთი სოციალური მოვლენის გამოკვეცვა, როგორც რელიგია, არსებითად ცალმხრივ, კრიტიკულ ხასიათს ატარებდა. იჩქმალებოდა ყოველივე დაღლებითი, რაც ადამიანებისათვის სარწმუნოებრივ, ზნეობრივ აღზრდას მოქმედებდა. ზნეობრიობა, ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, მასზეა აგებული ამ სარწმუნოების ქრისტიანული ცხოვრების ნორმები. ამიტომ ზნეობრივი მომენტები მრავალი ასპექტებით არის წარმოდგენილი. კერძოდ, ბიბლიური ათი მცნება მიღებულია, როგორც საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ნორმები. თუმცა ცალკეული მათგანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამა თუ იმ რელიგიურ მიმართულებებში. ეს მხარე წარმოდგენილია, როგორც ყოფითი მორალი, რომელიც განსაზღვრავს ყოველი მორწმუნის დამოკიდებულებას სხვა ადამიანისადმი, ოჯახისადმი, საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსა და სამართლისადმი.

როგორც ცნობილია, საქართველოში მართლმადიდებლობა ჩამოყალიბდა როგორც ქართველი ხალხის ტრადიციული სარწმუნოება. ისტორიულად საქართველოს ცალკეულ კუთხეებში სხვადასხვა დროს გავრცელებული იყო ისლამი, კათოლიციზმი, იუდაველობა, სომხურ-გრიგორიანობა, მაგრამ, როგორც წესი, აქ ადგილი არ ჰქონდა ქართული მართლმადიდებლობის ნიადაგზე განსხვავებული რელიგიური აზროვნების ან სექტის წარმოშობას, ამიტომ გარკვეულ ინტერესს იწვევს გასული საუკუნის 30-იანი, 70-იანი წლებისა და მეოცე საუკუნის სხვადასხვა პერიოდში საქართველოში ცალკეული სექტანტური მოძღვრების გავრცელება.

რელიგიის განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც დღესდღეობით წარმოგვიდგება არა როგორც ერთი შეკავშირებული (მონოლითური) მოძღვრება, არამედ, როგორც მრავალფეროვანი გაგების ერთიანობა, სადაც გვხვდება ეკლესიები, სინაგოგები, მეჩეთები, კასტიოლები, სამლოცველოები, კონფესიების მიმდინარეობები, სექტები, ჯგუფები და სხვა.

ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი არსებობის მრავალი საუკუნის განმავლობაში დიდი წინააღმდეგობები და საკმაოდ რთული გზა განვლო, მიუხედავად ნგრევისა და დევნისა, ქრისტიანული რელიგია, როგორც წესი, ყოველთვის ინარჩუნებდა ყველა ახალი პოლიტიკური წყობილების შესაფერის დამოკიდებულებას. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა რელიგიურ მიმართულებებზე, რომელნიც ადრეც და დღესაც ატარებენ სახელმწიფო ხელისუფლების დაუმორჩილებლობის მოქმედებებს. არ ასრულებენ მათ მიერ მიღებულ ზოგიერთ კანონს, რაც, ერთის მხრივ, ართულებს მორწმუნე ადამიანების (სხვა რელიგიური მიმართულებების) ურთიერთ დაახლოვებას.

სექტანტობა ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა საქართველოში რუსების დასახლების ისტორიიდან.

რელიგიური სექტანტობა არ არის ქართული ფენომენი. საქართველოში მისი თავდაპირველი გავრცელება განპირობებული იყო გარეგანი ფაქტორებით, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართ-

ველოში მრეწველობის განვითარებამ, კაპიტალისტური ურთიერთობების ნიშნების წარმოშობამ, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გართულებამ. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობეს ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის საწილში ახალი ქრისტიანული კონფესიების (მაგ., ბაბტიზმის) გავრცელება. ამ სექტებმა გავრცელების არე პოვა მრავალეროვან მოსახლეობაში. მას, თავდაპირველად, სწორედ რუსეთიდან გადმოსახლებულთა შორის გაუჩნდა მყარი აიდაგი. ქართველები კი მასში მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს გაერთიანდნენ.

საქართველოში სხვა პროტესტანტი კონფესიების გავრცელების მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ პირველი მსოფლიო ომი, ოქტომბრის გადატრიალება და მეორე მსოფლიო ომი, რომლებიც შეეხნენ მრავალი ადამიანის ბელს და შესაბამისი ზემოქმედება მოახდინეს მათ მსოფლმხედველობაზე.

აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, არატრადიციული კონფესიების ქსელის გაფართოვებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი კომუნისტურმა პროპაგანდამ, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მასიურმა დახურვამ, ქართული სამღვდლოების და მორწმუნეთა დევნამ, მათ მიმართ მოწყობილმა რეპრესიებმა, რის გამოც მორწმუნეთა დიდი საწილი, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიებზე, იძულებულნი იყვნენ ან კარგად ეტარებინათ თავიანთი სარწმუნოება, ან დაექმაცოფილებინათ რელიგიური მოთხოვნილებები სექტანტთა სამლოცველო სახლებში.

თანამედროვე პირობებში რელიგიისა და ეკლესიისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა. ათეიზმმა ადგილი დაუთმო რელიგიურ შემწყნარებლობას, რამაც საფუძველი შეუყრია სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა დაპირისპირებას, ბრძოლას, ასპარეზი მისცა დიალოგსა და აზრთა ურთიერთგაცვლას.

საქართველოს ეკლესია იყო, არის და მუდამ იქნება სული ქართველი ერისა. საქართველოს ეკლესია არის ის წმინდა სავანე, სადაც აღიზარდა, აღორძინდა ქართველი ადამიანის სული. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ეს კარიბჭეა, სადაც ქართველმა ადამიანმა დაიწყო სულიერი აღმავლობა და ფერისცვალება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოს სამეფოს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაუქმებასთან ერთად გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული (აღმოსავლეთ საქართველოში 1801 წ.; დასავლეთ საქართველოში 1814 წ.) და ამგვარად ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გადააქცია რუსეთის სინოდის ეგზარქატად და შეუერთა რუსეთის ეკლესიას. ამ ხნიდან საქართველოს ეკლესიას მართავდნენ რუსი ეგზარქოსები.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 12 თებერვალს მცხეთის საკათედრო ტაძარში აღადგინეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონი (სამაგლიშვილი), მაგრამ მრავალმა ეკლესიამ არ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მათ შორის კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. კონსტანტინოპოლის პატრიარქი კი ამავე დროს არის მსოფლიო პატრიარქიც. წლების განმავლობაში იყო დავა და მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქართველოსა და კონსტანტინოპოლს შორის. ეს დავა 1963 წელს როდოსის კუნძულზე დაიწყო და განსაკუთრებით გაცხოველდა 1977 წ. 1979 წელს ქართული ეკლესიის დღევანდელი ეწვია კონსტანტინოპოლს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

1987 წ. საქართველოში ჩამობრძანდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიმი-

ტრიოს I, რომლის წყალობითაც საქართველოს ეკლესიამ მიადწია შეთანხმებას და გაფორმდა შესაბამისი სიგელები, რომელთაც ხელს აწერს მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდი.

ამჟამად საქართველოს საპატრიარქო აერთიანებს 27 ეპარქიას, რომლებსაც მართავს 20 მღვდელმთავარი (მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები), რომლებიც ამავე დროს არიან წმინდა სინოდის წევრები, ხოლო სინოდის თავმჯდომარეა კათოლიკოს-პატრიარქი.

რელიგია მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალთან. სამართლებრივი კულტურა საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს. იგი სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. დღეისათვის საქართველოში სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპებისა და რელიგიური კულტის შესახებ საკანონმდებლო ნორმების გატარება დამოკიდებულია ახალი საკანონმდებლო ბაზის სწორად ჩამოყალიბებასა და შექმნილი რელიგიური სიტუაციის დროულად და რეალისტურად შეფასების უნარზე.

საქართველოს ისტორია მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთობლიობაა. დღეისათვის რელიგიური ქსელის მოწესრიგებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი რელიგიური ვითარება. დღემდე კანონის არ არსებობის გამო რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ცალკეული ნორმატიული აქტებით, რომლებიც ვერ მოიცავენ რელიგიური ორგანიზაციებისა და მასში გაერთიანებულ მოქალაქეთა უფლებებს, მოვალეობებსა და მათ სამართლებრივ სტატუსს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლმა და შექმნილმა მდგომარეობამ საშუალება მოგვცა რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისათვის ახალი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაზე გვეზრუნა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში არ ნიშნავს მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასა და ადამიანთა უფლებების შევიწროებას ან შეზღუდვას. ამისი ძაგალითებია ევროპის ისეთი ტრადიციული ქვეყნები, როგორცაა იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების „პროტექციონისტური“ მოდელი მოქმედებს. განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მინიჭება არ ზღუდავს ადამიანის უფლებებს, არ არღვევს საერთაშორისო ნორმებს, ხელშეკრულებებს, აქტებს და არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს.

საქართველოში საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული რელიგიების (კათოლიციზმი, ისლამი, იუდაიზმი და სომხურ-გრიგორიანული) გარდა, XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში გავრცელება პოვა ცალკეულმა სექტანტურმა მოძღვრებამ. დღეისათვის დგება საკითხი ნათი რეგისტრაციის თაობაზე, რაც ბევრი პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა. ხოლო არარეგისტრირებული რელიგიური მიმართულებებისა თუ ჯგუფების მოქმედება და საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა აიკრძალოს. ასეთი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სახელმწიფო რეგისტრაცია უზრუნველყოფს მოქალაქეთა რელიგიისადმი დამოკიდებულებას, რელიგიისა და რწმენის აღიარებასა და რელიგიური რიტუალების აღსრულების უფლებას, განსაზღვრვს მის იურიდიულ სტატუსსა და არატრადიციული რელიგიური ორგანიზაციის ტრადიციულ რელიგურ ორგანიზაციად აღიარების წესს.

გიორგი ნაღარკიშვილი

სასამართლო პრაქტიკით სამართალგანვითარების ერთი მაგალითი ბიზანტიურ სამართალში

VI საუკუნეში ბიზანტია სამართალგანვითარების სფეროში ინტელექტუალური ლიდერის როლს თამაშობდა. ცივილიზებული კაცობრიობა ძველი რომისა და ბიზანტიური სამართლის ძეგლებს აფასებს როგორც მემკვიდრეობით მიღებულ დიდ კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას.

ამყვანად, გვინდა გავიხსენოთ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ 529 წელს გამოცემული 73-ე ნოველა. ხსენებული ნოველა-კანონი განხილული აქვს მ. კახერს თავის ნაშრომში „რომის სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ (მიუნენი, 1969, გვ. 244-248). ნაწილობრივ ი. პ. მედვედევიც მიმოიხილავს მას თავის წიგნში „ბიზანტიური დიპლომატიკის ნარკვევები, რომელიც გამოცა 1988 წელს.

ხსენებული ნოველიდან ირკვევა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული წერილობით საბუთს რომის სამართლისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებათა სისტემაში. კერძოდ, იმხანად ურყევ მტკიცებულებად ითვლებოდა სათანადოდ დამოწმებული საბუთი. რა თქმა უნდა, საჯარო სამართლებრივი აქტები პირველ ჰლანზე იყო წამოწეული, მაგრამ არც კერძო სამართლებრივი საბუთები (აქტები) იყო მივიწყებული.

იმისათვის, რომ კერძო სამართლებრივი აქტისათვის მიენიჭებინათ სათანადო ნდობა, სამართალწარმოებაში ხშირად იყენებდნენ საბუთების შემდგენელთა ხელწერის შედარებას. ამისათვის, აიღებდნენ დოკუმენტის შემდგენლის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ რამდენიმე ნაწერებს ხელწერის ასეთ შედარებას „კომპარაციო ლიტერარუმ“ ეწოდებოდა. დიდი კანონმდებელი იმპერატორი იუსტინიანე სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაარწმუნა ამ მეთოდის არასრულყოფილებაში და დაადგინა, რომ ამიერიდან დოკუმენტის შედგენა უნდა დაემოწმებინა მინიმუმ სამ მოწმეს მაინც, ხოლო თუ ეს შესაძლებელი იყო, მოწმეთა რიცხვი უნდა გაეზარდათ კიდევ. სასურველი იყო, თუ კერძო სამართლებრივ აქტს ტაბულიონი შეასრულებდა.

VI საუკუნეში სომხეთში მოხდა ერთი მეტად თავისებური და პრაქტიკოს და თეორეტიკოს იურისტებისათვის მეტად მრავლისმთქმელი შემთხვევა. სასამართლოს წარუდგინეს საბუთი გაცვლილობის შესახებ. სასამართლოს ეკვი შეეპარა, რომ მოწმეების ხელმოწერა დოკუმენტზე ყალბი იყო. ექსპრეტებმა მოწმეების ხელმოწერა ყალბად მიიჩნიეს, მაგრამ შემდგომში ეს მოწმეები დაძებნეს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ხელმოწერა მათ ეკუთვნოდათ. ამის საფუძველზე სასამართლომ გაცვლილობის საბუთი სანდოდ ჩათვალა.

სწორედ ამ შემთხვევამ უბიძგა იმპერატორ იუსტინიანეს, რომ დაეკვებუ-ლიყო საბუთებზე ხელმოწერათა ერთმანეთთან შედარების მეთოდის ეფექტუ-

რობაში, რადგან ყალბისმქმნელები ბიზანტიაში ისე დაოსტატებულიყვნენ, რომ ძალიან ჭირდა ნამდვილი და ყალბი ხელმოწერის გარჩევა. ამასთან, თვით ცალკეული პირის ხელწერა დროთა ვითარებაში ისედაც განიცდიდა ცვლილებებს. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, იმპერატორმა იუსტინიანემ გამოსცა განკარგულება, რომ კერძო სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებზე გაედიდებინათ შეძლებისამებრ ღირსეული, პატიოსანი და ნდობის ღირსი მოწმეების რიცხვი და შესაბამისად მათ უნდა დაედასტურებინათ თავიანთი ხელმოწერით საბუთის ნამდვილობა. ეს კი სათანადოდ აისახა იუსტინიანეს ნოველაში, კერძოდ, აქ მითითებულია, რომ მართლმსაჯულება ექსპერტთა მხრივ მხოლოდ საბუთის შემდგენელთა და მოწმეების ხელწერის შედარების შედეგებზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ მოსამართლეებს დახმარება უნდა გაუწიონ პატიოსანმა მოწმეებმაც. იმპერატორის მიერ გამოცემული ნოველის მიხედვით სესხის ხელშეკრულებები და სხვა გარიგებები საჯაროდ და წერილობით უნდა დადებულიყო: „დაე, დოკუმენტი, რომელიც გაფორმებულია წერილობით, სანდოდ ჩაითვალოს არა თავისთავად „ექს იპსო“, არამედ ნდობის ღირსი მოწმეების მეშვეობით, რომელთა რიცხვიც, სამზე ნაკლები არ უნდა იყოს“. ასეთი საბუთი მოწმეების დასწრებით უნდა შედგენილიყო.

ამიერიდან, ხელწერათა შედარება და მოწმეთა ჩვენებების გათვალისწინება თანაბრად სავალდებულო გახდა სასამართლოსათვის. აი, ასე აირეკლა VI საუკუნის ბიზანტიურ სამართალში სასამართლო პრაქტიკის მონაცემები.

მოწმეთა როლი და მნიშვნელობა ქართულ ნასყიდობის წიგნებში ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მხარეები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ რაც შეიძლება მეტ სანდო და საპატიო მოწმეს დაემოწმებინა ნასყიდობის „წიგნი“. 1712 წელს გიორგი სააკაძის შვილიშვილმა მეჯინბეთუხუცესმა ავთანდილმა ნასყიდობის წიგნი მისცა მელიქ იენალის შვილს ქაიხოსროს. საბუთში მოწმეებად არიან დასახელებულნი „ზემოწერილნი წმინდანი ზეცისა და ქვეყნისანი“, ხოლო „კაცთაგან“ თორმეტი საპატიო პირი, მათ შორის ქალაქის მელიქი ზურაბ, მამასახლისი აშხარამეგ და ზარაფი სულხან.



უაღრესად საჭირო წიგნი

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებამ“ დასტამბა ვახტანგ კაკაჩიძის ნაშრომი „მჭევრმეტყველება“ (რედაქტორი რუსუდან ბუაჩიძე). წიგნი ეძღვნება საორატორო ხელოვნების — მჭევრმეტყველების პრობლემებს.

ნაშრომის გამოყენების მნიშვნელობა ბევრად იზრდება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პირობებში. მით უმეტეს, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა მჭევრმეტყველებაზე შექმნილი შრომებით არ არის დიდად განებივრებული, რითაც უფრო იზრდება წიგნზე მოთხოვნილება.

საჯარო ზეპირმეტყველებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ წიგნი გამოიყენონ სასწავლო დანიშნულებითაც.

თემატურად წიგნი პირობითად შეიძლება დავეთ სამ ნაწილად. ისტორიული მიმოხილვა, თეორიული ნაწილი და ძეგლების ნიმუშები. თეორიული ნაწილი მოიცავს ორატორის სიტყვაში გამოთქმული იდეის სტრუქტურული აგებულების სრულყოფის მოთხოვნას; მსჯელობის დროს „მიზანშეწონილობის კატეგორიის“ აუცილებელ გამოყენებას და წარმოსათქმელი სიტყვის ხანგრძლივობის განსაზღვრის მეთოდით სარგებლობას.

მჭევრმეტყველების საგნის რაობის კვლევის დროს ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მჭევრმეტყველება ხელოვნების დარგს კი არ მიეკუთვნება, არამედ, ის კვლევითი საქმიანობა, მოღვაწეობაა. ამ შეხედულების სამტკიცებლად იშველიებს ანტიკური ხანის ფილოსოფოსების, პლატონისა და არისტოტელეს გამონათქვამს მჭევრმეტყველების არსის შესახებ.

წიგნში აღწერილია შვიდი დარგი და წარმოდგენილია შესაბამისი ნიმუშები. პოლიტიკური მჭევრმეტყველების შესახებ გამოთქმულია აზრი, რომ „ეს დარგი მოქმედების სივრცის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია, ხოლო ფაქტებსა და საგნებზე მსჯელობისას „მიზანშეწონილების კატეგორიით“ — ყველაზე შეზღუდული.

„პოლიტიკური მოღვაწის, ორატორის შორსმჭვრეტელობა და სიჩაუქე ზოგჯერ თანამედროვეებს შეუმჩნეველი რჩებათ. შთამომავლობა კი წინაპრის ნამოღვაწრით საუკუნეების მანძილზე იმკის ნაყოფს“.

ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები შემონახულია როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ, ლათინურ, არამეულ მხატვრულ, ეპისტოლარულ და ეპიგრაფიულ წყაროებში, რომლებიც თარიღებიან ანტიკური ხანით, შუასაუკუნეებითა და ჩვენი ეპოქით. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი „გეოგრაფიაში“ საქართველოს აღწერის დროს ეხება საგნებსა და მოვლენებს და მიანიშნებს მჭევრმეტყველების ისეთ საკითხებზე, რომლებიც საჯარო სიტყვის იმდროინდელ ფუნქციებსა და სახეებს გამოხატავენ. პირველი საუკუნის რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის „მატიანეს“ რეექსე წიგნში აღწერილია ქართველებსა და პართელებს შორის წარმოებული ომი და იბერთა მეფის ფარსმან პირველის მიერ ბრძოლის წინ წარმოთქმული სიტყვა. II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის დიონ კასიოსის



„რომის ისტორიაში“ არის ცნობები ჩვენი საელჩო, პოლიტიკური მჭევრმეტყველების შესახებ. საყურადღებოა ასევე მცხეთის ეპიგრაფიკული ძეგლები და მრავალი სხვა შესწავლილი და შესასწავლი მასალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ კაკაბიძე ამ საკითხით კარგაზნაია რაც დაინტერესებულია. ჯერ კიდევ 1980 წელს გამომცემლობა „საქართველომ“ დასტამბა მისი ნაშრომი „სასამართლო მჭევრმეტყველება“, ხოლო 1985 წელს გამოიცა მისივე „პოლიტიკური მჭევრმეტყველება“, რომე უსაც, როგორც სასწავლო დისციპლინას კითხულობდა უმაღლეს სასწავლებლებში. მრავალ პუბლიკაციაში მჭევრმეტყველების რაობის შესახებ გამოთქმული აქვს აზრი, რომ ტერმინი „საორატორო ხელოვნება“ არ გამოხატავს საგნის არსს, რომ ის არ ქმნის მხატვრულ სახეებს, არ გადმოგვცემს ფანტაზიით შეთხზულ, შექანილ სურათებს.

მჭევრმეტყველების მიზანია მოვლენების და საგნების რაობის კვლევა, ფაქტების, ჭეშმარიტების დადგენა და მათი დაძლევის გზებისა და საშუალებების მითითება. რაც შეეხება ორატორის მიერ რიტორიკული, ზემოქმედების ხერხების გამოყენებას, ეს საშუალებები მხოლოდ და მხოლოდ ორატორის სტილის გამოხატველია (ატიკურია თუ ლაკონიკური).

აღსანიშნავია, რომ ავტორს შეკრებილი აქვს ცნობილი ორატორების ქართულ ენაზე თარგმნილი სიტყვები და მალე გამოსცემს კრებულს, რაც დიდ სამსახურს გაუწევს სტილის შერჩევისა და შესწავლის საქმეში საჯარო ზეპირმეტყველებით დაინტერესებულ პირებს.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებას“ ძალისხმევა არ დაუკლია და შედეგიც სახეზეა – წიგნი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. გაეცნობით თუ არა მას, მაშინვე თვალშისაცემია გამომცემლობის რედაქტორის რ. ბუაჩიძის, მხატვრის ლ. ლომთათიძის, მხატვრული რედაქტორის ი. სიხარულიძის, ტექრედაქტორის ნ. ოკუჯავას, კორექტორების: ა. გოგეშვილისა და ე. ჩხარტიშვილის პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება.



ნიწო მარიაშიზვილი— ქორკრაზვილი

საქართველოს კროკურატურის ორბანიზაციულ-საკანონმდებლო და სანიწორ-მაციწორ-ანალიტიკური უწრუწველუწრის სამმართველოს კროკურორის ნიწო მარი-ამიზვილი-ქორკრაზვილის კოეზიზი რაც უწრო ღრმად უზვივივართ, მით უწრო ვვიმტკიციდებავ აწრი, რომ საქმე ვვაქვს ზეუწარიტი კოების ღვთითგომკებულ უწა-წეს და უსვატაკეს განციდებთან, ლირიკულ სიზაქიწესთან და, რაც მთავარია, სიწ-რწველესთან. ერთი სიტწვით, ნაწმვილად სანიწტარესთან თუ რა არის ქალბატონ ნიწოსათვის უპირწველესი კროწესინა...

თუ კი იწამებ...

ქეთილ გულსა და სუფთა სინდისს
ორივეს ერთად,
თუ კი იწამებ ამ ორ მცნებას
მიადწვევ ღმერთთან.
უბრალო იყავ, თუნდაც გერქვას
ამ ქვეწენის მეფე,
სათწოებაზე დიდ მოძღვრებას
შენც უწდა წერდე.
უბრალო იყავ, სათწოების გედგას გვირგვინი,

ზე გმწარწველობდეს სულით მწვიდი
ციური მეფე,
„ადამიანი არც მხეცივა, არც აწგელოსი“,
შენი მეფური უფლებებით —
სიკეთე თესე.
როდესაც ფლობ საკუთარ თავს
შეურწვენელ სინდისს,
სწორედ ეს არის უდიდესი ბედნიერება,
მარადიული მიწწრადება სიახლისაკენ —
ამას ამ ქვეწენად არაფერი არ შეედრება.



ამაწი ლედი


ერთი უბრალო მოკვდავი ვარ
რას მერჩი ბედო,
დღეს მადელოფლებ, ხვალ მათწოვარს
მადარებ წიწლით.
მიწლაწწნება ეს საღამოც და
გარდასულ დღეს,
ხან სიამაყით გაიყოლებს
ხან კიდევ რისწვით.
დარდის ამქარმა ჩამიარა,
როგორც გრიგალმა,
სულ ერთიანად გავატანე
სიურჩე ბედის,

სიკვდილზე ძლიერს, უკვე წაცად
ვარდისფერ გრძწოებებს,
მინდა ფარავდეს მრისხანება ძლიერი ლედის.
ვერ მოვიპოვე მორჩილებით
სიმწვიდე სული,
ცისფერ გრძწოებზე ძალადობას
თავის რიგი აქვს.
უსიტწვოდ ვენდე, ბედის ბორბალს
დავემორჩიდე,
მახსოვს, რომ ლედთან სიამაყე ქწტლმწენ
ხიბლია.

მეფის როლი

გვიან ღამით სომ უნზე ფიქრებს რითმები
ვანდე,
პაიკთა შორის მოგანიჭე თვით მეფის როლი,
წარმოვიდგინე შენ იყავი მეფე გიორგი
მე კი ბედისგან დაჩაგრული ერთგული ცოლი.
ეს ცხოვრება ზომ სცენა არის, გამიგონია,
ყველა ჩვენთაგანს ამ სცენაზე თავის
როლი აქვს.
დედოფლის როლის შესრულება ძნელი
როლია,


ვისაც ოდითგან ღირსეული მეფე ჰყოლია.
ყველაზე რთული სათამაშო მეფის როლია,
ხშირად ეშლებათ, ყველა მეფე კაცი ჰგონათ,
როდესაც ხალხი შენით ცოცხლობს ამას გაიგებ,
შენს გვერდით ყოფნა უხარიათ როცა პაიკებს.
შენი ღირსება სიყვარულით გარდაიცვლება,
როცა მეფობა კაცობაზე გადაიცვლება.
და იცით მაშინ დედოფლობა რა ადვილია?
გეამაყება, რომ მთელი გზა კაცთან
გივლია.



მანც შემეშალა

როგორ ვერ მიგიხვდი,
როგორ დამაჭერე,
შენი ფიქრის მწყემსი
ნეტა როგორ გავხდი,
მთის უმკაცრეს ფრინველს,
ჩემს დარჩენილ იმედს
მაშინ, იმ საღამოს,
უსაშველოდ გავდი.
რაც ზეციდან მერგო,
მასაც ვჭერდებოდი,
ვიცი ღვთიურ მადლით,
ვიყავ გაჩენილი.
ვითომ შემეშალა?
მანც შემეშალა,

ეს გზა გოლგოთასკენ
მქონდა დარჩენილი.
ჩემი ფიქრის ბორანს
სიყვარულით ნატარს,
ჩემი სულის მსტოვარს,
ჩემი სუნთქვის მხატვარს,
ჩემი სიყრმის რომანს,
მეფის როლში ნაყოფს,
ჩემი იმედების კანონიერ ავტორს,
მთის მტაცებელ ფრინველს,
ფრთებაწუთულს ცამდის,
ღვთიურ საგალობელს,
რა უღმერთოდ გავდი,
მანც შემეშალე..



ვევედრები მაცხოვარს

ნურც მოგონილი ღიმილით დამსჯი,
ნურც დამუქნარ ვარდებს გამიხდი კერპად,
ნურც დამიბრუნებ ჩემს ღამაზე წარსულს,
ნურც გადამაქცევ ბავშვივით ცელქად.

ნუ დამავიწყებ ჩემს თავს ვინა ვარ,
რისთვის მოვსულვარ და ვისთვისა ვარ,
ნუ გადამიქცევ აღმართებს ვაკედ,
და ნურც დაუცდი ჩემს ბედის დამკვეთს.

მხოლოდ ნამდვილი ღიმილი მანდე,
ამ ხინამდვილეს ვერ გავიქცევი,

მხოლოდ ვიცოდე, რომ მეც გიკვარვარ,
შენთვის ჯადოქრად გადავიქცევი.

იმდენ სიკეთეს ჩავიდენ ერთად,
სულ დავიცვლები მოყვრის გულისთვის,
სიყვარულისთვის ვიქცევი ღმერთად,
წამლად ვიქცევი მოკვდავთ სულისთვის.

ვერ გადავაქცევ აღმართებს ვაკედ,
ვერ გავასწორებ ვიცი მთას და ბარს,
თმებს ვერ გავიშლი, ვერც ვიჭალოქრებ,
წვიმაში, ქარში, ვერ მოვიყვან დარს.

ვხვდები, ვინცა ვარ და ვისთვისა ვარ,
ვიცი, რომ ველარ გარდავიქმნები,
ვიცოდე მხოლოდ კარგ ქალობისთვის,
დიდ საგანძურშიც არ გავიცვლები.

ნურც მოგონილი იმედით ღამსჯი,
ნურც მოგონილი გრძნობით დამწიხლავ,
ნურც დამქენარ ვარდებს გამიხიდი კერპად,
ნურც გამუქებულ ღრუბლით დამწიხლავ.

ღგას ნუში მხოლოდ!

მუხათგვერდამდე ღგას ნუში მხოლოდ,
ტრიალ მინდორზე რა უნდა მარტოს?
თურში დარაჯობს ცით წასულ სულებს,
ყველაზე მეტად ეს ნუში ღარდობს.

ამდენი ცოდვით დაკუჭიანდა,
უამრავ ცრემლებს ის იტევს მარტო,
მხოლოდ აპრილში ირთვება თეთრად,
მაგრამ მაშინაც ბავშვივით ღარდობს.


ტირილით აცმევს ბუნება თეთრებს,
ტირილით იხდის, თვითონაც ნანობს,

სული იმას ჯავრობს, ვინ გაიშეტა,
მარტო სატირლად აქ რისთვის დარგო.

არავინ ფიქრობს მის ბედზე თითქმის,
ყველა ჭოროს იტანს, რაც მასზე ითქმის
თავის გულისთქმას ვერავის ანდობს,
და გულს ხანდახან ტირილშიც ართობს.
ჩემს გარდა რამდენს უნახავს ნუში

რა გაუვლიათ ნეტავი გულში?
იქნებ და გვლოცავს ყველა გავლაზე,
ჩვენი ცხოვრების დიდ სავალ გზაზე...
წელში მოხრილი მოღლილი ნუში.

ზაურ კალანდაძე



გარდაიცვალა დეწმომოსილი, მაღალი კვალი-
ფიკაციის მქონე იურისტი, საქართველოს ად-
ვოკატთა კოლეგიის წევრი ზაურ კალანდაძე.

დაიბადა 1932 წელს. 1956 წელს დაამთავრა
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფა-
კულტეტი და იმავე წელს მუშაობას შეუდგა
სასამართლოში აღმასრულებლის თანამდებო-
ბაზე. 1959 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ორგანოებში სხვადასხვა პასუხსაგებ ოპერა-
ტიულ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1971
წელს მიიღეს საქართველოს ადვოკატთა კოლე-
გიის წევრად, ხოლო 1974 წლიდან სიცოცხლის
ბოლო დღემდე მუშაობდა გარდაბნის რაიონის
ადვოკატურის გამგის თანამდებობაზე.

ბატონი ზაური, ყველგან, სადაც კი უმოღვა-
წია, გამოიჩინა მუშაობის სწორი ორგანი-
ზაციითა და დაკისრებული მოვალეობის შესრუ-
ლებისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნო-
ბით. უაღრესად დიდი პროფესიული გამო-
ცდილებით ყოველთვის მისაბაძი მაგალითი
იყო ახალბედა კოლეგებისათვის. ამასთან, იგი
მუდამ ხიბლავდა ადამიანებს კულტურითა და
გულისხმიერებით, კაცთმოყვარეობითა და პრინ-
ციპულობით. ამიტომაც იყო, რომ კოლეგებსა

და ახლობლებს შორის სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტითა და წრფელი სიყვარუ-
ლით...

მისი ცხოვრების წესი ჭეშმარიტად ქართული იყო. ვისაც ერთხელ მინც პქონია ბედნი-
ერება მასთან პურობისა, მოესმინა მისი ხალასი და ჯანმრთელი იუმორი, მისი სიტყვა-პასუხი
და შესანიშნავი სიმღერები, ეს დღეები არასოდეს დაავიწყდება... აღსრულებამდე სულ რამდე-
ნიმე დღით ადრე, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ვაჟკაცურად იმღერა თავის მეგობრებთან
ერთად, მაგრამ, ვაი, რომ ეს მისი გედის სიმღერა აღმოჩნდა...

ბატონი ზაურ კალანდაძის ნათელი ხსოვნა ნამდვილად დიდხანს დარჩება მისი ახლობლე-
ბისა და კოლეგების მეხსიერებაში, მის წმინდა საფლავს პატივის მიმგებელი არასოდეს მოაკლ-
დება.

საქართველოს იურისტთა კავშირი,
შურნალ „სამართლის“ სარედაქციო კოლეჯია.

